178/3
1979

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—5981

3

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

თბილისი - 1979

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერიდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

№ 3

მაისი
ივნისი

1979 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შინაარსი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 3

მოწინავე — სრულვყოთ იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ფორმები და მეთოდები 6

ა. ფალავანდიშვილი სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები . . 11

ბავშვთა საერთაშორისო წლისთავისათვის

გ. ყვანია — ბავშვის ინტერესების დაცვის პრობლემა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში 13

ჯ. ხეცურიანი — სიკვდილით დასჯის გამოყენების ისტორიიდან 20

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე 32

ამაგდარი (პროფ. ე. ნეიძის დაბადების 70-ე წლისთავის გამო) 34

იურიდიული ჟურნალების ფურცლებზე 36

არბიტრაჟის პრაქტიკა 41

ოფიციალური მასალა 43

ინფორმაცია 62

გივი ყვანიას ხსოვნას 76

ნეკროლოგი — კ. ვ. გვილავა 80

ცნობები ავტორთა შესახებ 80

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

В Центральном Комитета Компартии Грузии 3

Передовая — Совершенствовать формы и методы идеологической, политико-воспитательной работы 6

А. Палавандишвили — Выборы народных заседателей народных судов . . 11

К МЕЖДУНАРОДНОМУ ГОДУ РЕБЕНКА

Г. Жвания — Проблема защиты интересов ребенка в современном международном праве 13

Дж. Хецуриани — Из истории применения смертной казни 20

На коллегии Министерства юстиции Грузинской ССР 32

Заслуженный авторитет (в связи с 70-летием проф. Е. Неидзе) 34

На страницах юридических журналов 36

Арбитражная практика 41

Официальный материал 43

Информация 62

Памяти Г. Е. Жвания 76

Некролог — К. В. Гвилава 80

Сведения об авторах 80

სარედაქციო
კოლეგია:

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი) ა. ბარაბაძე,
გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლეკვეიშვილი,
გ. ფვანია, გ. ტყეშელიაძე, ვ. ქვაჩახია,
ა. შუშანაშვილი, დ. შენგელია (პ/მგ. მდივანი), თ. წერეთელი,
ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი, თბილისი, კლეხანოვის პრ. 103. ტ. 95.58.87, 95.88.49.

გადაეცა ასაწყობად 5.IV.79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.VII.79 წ.
ფორმატი 70×108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 8,4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87
შეკვ. № 1055 ტირაჟი 17.000 უე 08369

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების მოთხოვნათა შესაბამისად კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ იმსჯელა იმის შესახებ, თუ რა საქმიანობას ეწევა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების მოთხოვნათა შესაბამისად კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი კადრებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად, სასამართლოებისა და იუსტიციის დაწესებულებების საქმიანობაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

ამაღლდა მომთხოვნელობა კადრების პროფესიული მომზადებისადმი, მეტი ყურადღება ეთმობა მათი კვალიფიკაციის სრულყოფას. რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოსთან და პროკურატურასთან ერთად ეწყობა თეორიული სემინარები, კონფერენციები, ხდება სასამართლო და სანოტარო პრაქტიკის განზოგადება. გაფართოვდა სპეციალისტების გადამზადება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებზე, იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის სრულყოფის სრულიად საკავშირო ინსტიტუტში, აგრეთვე მათი სტაჟირება უმაღლეს სასამართლოში.

იუსტიციის სამინისტრომ შეისწავლა საზოგადოებრივი აზრი თავისი სისტემის მუშაკთა შესახებ, რითაც შესაძლებლობა მიეცა ობიექტურად შეეფასებინა კადრების საქმიანი და მორალური თვისებები.

სამინისტროში უფრო ქმედითი და მომთხოვნი გახდა დისციპლინარული პრაქტიკა. ამას ხელი შეუწყო სამინისტროსთან შექმნილმა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის აქტიურმა საქმიანობამ.

იუსტიციის სამინისტროს კადრების შემადგენლობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დაისახა ხარისხობრივი გაუმჯობესების ტენდენცია: სისტემაში მომუშავეთა საერთო რაოდენობიდან უმაღლესი იურიდიული განათლება აქვს 70 პროცენტს, სახალხო მოსამართლეთა 99 პროცენტს, ნოტარიუსთა 92 პროცენტს, ადვოკატთა 97,7 პროცენტს. სამინისტროს სისტემაში სკკპ წევრია 812 კაცი ანუ მთელი შემადგენლობის 55 პროცენტი. სამეცნიერო წოდება აქვს 11 მუშაკს. 1976 და 1978 წელს გამართული არჩევნების შედეგად სახალხო მოსამართლეთა რაოდენობა განახლდა 39,9 პროცენტით, ხოლო ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და ხალხურ სასამართლოების წევრებისა — 51,1 პროცენტით.

განხორციელებულმა ღონისძიებებმა დადებითად იმოქმედა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაზე. პირველად უკანასკნელი სამი წლის მანძილზე 18 პროცენტით შემცირდა გაუქმებული და შეცვლილი განაჩენების რაოდენობა. სასჯელის ზომად უფრო ნაკლებად უფარდებენ მოკლევადიან თავისუფლების აღკვეთას, მცირემნიშვნელოვანი დანაშაულებისათვის ფართოდ არის გამოყენებული ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

დადგენილებაში ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ განხორციელებულმა ღონისძიებებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს იუსტიციის დაწესებულებათა და სასამართლო ორგანოების საქმიანობის ძირეული გარდაქმნა.

სამინისტროს მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილების და აღზრდის დარგში ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების მოთხოვნებს. სათანადოდ არ არის მოწესრიგებული სისტემის თანამშრომლების პროფესიული, საქმიანი და მორალური თვისებების შესწავლა, რის გამოც შეცდომებია დაშვებული მათი დაწინაურების დროს.

1977-1978 წლებში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ მიიღო 146 კერძო განჩინება 59 მოსამართლის მიმართ, რომლებმაც დაარღვიეს კანონი. სახელგამეტები საქციელისა და არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო ვადამდე გამოწვეულია 7 მოსამართლე, დისციპლინური წესით დაისაჯა 22 მოსამართლე. ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, პროტექციონიზმისა და კანონიერების დარღვევის ფაქტები, რომლებსაც ვხვდებით სისტემის თანამშრომლებს შორის, ავტორიტეტს ულახავს რესპუბლიკის მშრომელთა თვალში იუსტიციის დაწესებულებებსა და სასამართლოებს. არასაკმაო ყურადღება ექცევა კადრების რეზერვების

16437

კ. მარქსის სახ. სახ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანობაში ახალი ტიპის დემოკრატიას ქმნის. „ეს პირველი შემთხვევაა, ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რომ დემოკრატია ემსახურება მასებს, იგი აღარ არის დემოკრატია მდიდრებისათვის, როგორადაც რჩება დემოკრატია ყველა ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც კი. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ხალხის მასები წყვეტენ, ათეულ მილიონობით ადამიანების მასშტაბით პროლეტარებისა და ნახევარპროლეტარების დიქტატურის ამოცანას, ამოცანას, რომლის გადაუწყვეტლადაც **ლაპარაკიც კი არ შეიძლება სოციალიზმზე**“[2].

ჩვენი სახელმწიფოს სამოცი წლის გამოცდილება, ევროპისა და აზიის სოციალისტური ქვეყნების არნახული წარმატებები, რომლებიც მათ მოპოვებული აქვთ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროში, სულ რაღაც ოცდაათი წლის მანძილზე, ცხადყოფს, რომ ხალხის ხელისუფლება, ნამდვილი დემოკრატია, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სოციალისტური წყობილების პირობებში. მხოლოდ სოციალიზმი უზრუნველყოფს არჩევნებში ხალხის ნებისყოფის თავისუფალი გამოხატვის საშუალებას.

ამის მსგავსი არაფერი არ არის და არც შეიძლება იყოს ბურჟუაზიულ სამყაროში, სადაც ხდება მშრომელთა პოლიტიკური და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა, ტრადიციული დემოკრატიული ინსტიტუტების არარაობამდე დაყვანა, საარჩევნო სისტემაში რეაქციული რეფორმების შეტანა, მმართველობის აშკარა ტერორისტული მეთოდების დანერგვა.

ბურჟუაზიული ქვეყნების პარლამენტები თუმცა არჩევნების გზით იქმნება, მაგრამ საარჩევნო კანონები ისეთ ცენზებს აწესებს, წინასაარჩევნო კამპანიების მოწყობა იმდენ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომ არჩევნებში გამარჯვება უზრუნველყოფილი აქვთ გაბატონებული კლასების წარმომადგენლებს. ამავე დროს ბურჟუაზიული პარლამენტი პრაქტიკულად უკვე აღარ არის სახელმწიფო მექანიზმის მთავარი შემადგენელი ნაწილი, არსებითად მთელ პოლიტიკურ ცხოვრებას წარმართავენ მსხვილი მონოპოლიები, სამხედრო შტაბები, აღმასრულებელი ხელისუფლება. „შეხედეთ, რომელსაც გნებავთ პარლამენტალურ ქვეყანას, ამერიკიდან შვეიცარიამდე, საფრანგეთიდან ინგლისამდე, ნორვეგიამდე და სხვ... ნამდვილ „სახელმწიფოებრივ“ მუშაობას კულისებში ეწევიან და ასრულებენ დეპარტამენტები, კანცელარიები, შტაბები. პარლამენტში კი მხოლოდ ლაყბობენ იმ სპეციალური მიზნით, რომ ატყუონ „მდაბიო ხალხი“[3].

სულ სხვაგვარი მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების დაახლოებით 50 ათასი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელთა მეშვეობითაც მილიონობით საბჭოთა მოქალაქე მართავს თავის სახელმწიფოს. წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობა სავსებით გამოხატავს საბჭოთა სახელმწიფოს სახალხო ხასიათს. მარტო ადგილობრივ საბჭოებში 2 მილიონზე მეტი დეპუტატია არჩეული. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მიმდინარე არჩევნებში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან ერთად დასახელებული არიან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების მუშაკთა ყველაზე საუკეთესო წარმომადგენლები.

---

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 70.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 522.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების შემადგენლობა გამოხატავს ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ინტერესებს, განასახიერებს მათ ერთიანობასა და მჭიდრო დარაზმულობას. საბჭოების დეპუტატთა შორის ასზე მეტი ეროვნების წარმომადგენელია. ჩვენი ქვეყნის მრავალეროვნული ხასიათი სავსებით არის გათვალისწინებული როგორც საბჭოების შექმნისას, ისე მათს საქმიანობაში.

ბოლო ხანს საბჭოები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად სულ უფრო აძლიერებენ კონტროლს აღმასრულებელ და განმკარგულებელი ორგანოებისადმი. საბჭოების საქმიანობის გაღრმავებისა და გაფართოების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, კერძოდ აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ფუნქციების სფეროში, არის საბჭოების საერთოდ, მათ შორის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობის გააქტიურება. მუდმივი კომისიები თვითონ თანდათანობით კისრულობენ საბჭოს საქმიანობის ამა თუ იმ დარგის ოპერატიულ ხელმძღვანელობას. ცხადია, მომავალში საბჭოების მუდმივი კომისიების საქმიანობა კიდევ უფრო დაიხვეწება და სრულყოფილი გახდება.

მოქმედი კანონმდებლობით, საბჭოები უფლებამოსილი არიან ახორციელებდენ კონტროლს მმართველობის ორგანოების საქმიანობისადმი. ამის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIII ყრილობისადმი ნათქვამია: პრაქტიკაში უნდა შემოვიღოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენებების განხილვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებზე, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიებზე, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა — მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების სესიებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების წინ ტრადიციულად ანგარიშს აბარებს ხალხს გაწეული მუშაობის შესახებ, აჯამებს არჩევნებიდან არჩევნებამდე მიღწეულ შედეგებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებიდან განვლილ პერიოდშიც უდიდესი ცვლილებები მოხდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. 1974-1978 წლებში წარმოებულია 1,9-ჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე წინა ხუთწლეულში. ამასთან მთელი მატების ოთხი მეხუთედი შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით არის მიღებული.

განუხრელად ვითარდება სოფლის მეურნეობა, დიდი ღონისძიებები ხორციელდება, რათა იგი ეკონომიკის მაღალგანვითარებულ სექტორად გადაიქცეს. კიდევ უფრო აყვავდა საბჭოთა მეცნიერება, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მოწინავე პოზიციებზე დგას. წარმოებაში სულ უფრო ფართოდ ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები[4].

სულ სხვა სურათია კაპიტალიზმის სამყაროში, სადაც „ძლიერდება ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაცია, დღენიადაგ ფეხქვეშ ითელება მშრომელთა უფლებები, მძვინვარებს ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია, ქრონიკული უმუშევრობა. სისასტიკე და თვითნებობა, მშრომელ ადამიანთა ბედისადმი გულგრილობა, საზოგადოების ზნედაცემულობა — აი, რა არის თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება. ამიტომ განსაკუთრებით ცინიკურად გა-

[4] სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა სსრ კავშირის ყველა ამომრჩევლისადმი, ყველა მოქალაქისადმი, გაზ. „კომუნისტი“, 1979 წ. 3 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიყურება კაპიტალიზმის თავისუფალ საზოგადოებად წარმოსახვის ცდები... კაპიტალიზმი ეს არის საზოგადოება, რომელიც ადამიანის უფლებებს ახშობს. ეს არის უდღეური საზოგადოება"[5].

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების წყალობით, წინა არჩევნების შემდეგ განვლილ პერიოდში არნახული წარმატებანი მოიპოვა ჩვენმა რესპუბლიკამაც. საქართველოს სსრ საწარმოო ძალებმა მიაღწიეს თავისი განვითარების უფრო მაღალ საფეხურს, რომლის დამახასიათებელი ნიშანია ეკონომიკური და სოციალური ზრდის ტემპის დაჩქარება. „სახალხო მეურნეობის განვითარების დინამიზმი და სტაბილურობა უწინარეს ყოვლისა ვლინდება ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით სახელმწიფო საგეგმო დავალებებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებული შესრულების მყარი ტენდენციით"[6]. 1976-1978 წლებში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო-წლიური წარმოება წინა ხუთწლედის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 37,1 პროცენტით გაიზარდა. 1978 წელს რესპუბლიკის ერთ სულ მოსახლეზე წარმოებულია 20 პროცენტით მეტი ეროვნული შემოსავალი ვიდრე 1975 წელს.

ამ სასახელო წარმატებებისათვის ჩვენი რესპუბლიკა ზედიზედ მეექვსედ დაჯილდოვებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ისევე როგორც ყოველთვის, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების დროს, მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ხალხის ყურადღებას მიაპყრობს ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს, სიძნელეებს, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ყველა ამომრჩევლისადმი, ყველა მოქალაქისადმი ნათქვამია: „მიღწეულს რომ აღნიშნავს, პარტია ამასთანავე ხედავს არსებულ ნაკლოვანებებსა და გადასაჭრელ პრობლემებსაც. ჩვენ მნიშვნელოვანწილად უნდა გავაუმჯობესოთ კაპიტალური მშენებლობა, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ქვეყნის მზარდი მოთხოვნილება ლითონსა და სათბობზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, სრულყოთ ტრანსპორტის მუშაობა, განვამტკიცოთ საგეგმო, ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინა, მომჭირნეობა გამოვიჩინოთ ყველაფერში, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და წარმოების ეფექტიანობა"[7].

წინასაარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებაში დიდია ჩვენი რესპუბლიკის სწავლულ იურისტთა და პრაქტიკოს მუშაკთა როლი. ისინი მოვალენი არიან ღრმად განუმარტონ ამომრჩევლებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკა, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებები, უმაღლესი საბჭოს არჩევნების კანონი, ამ ცოტა ხნის

---

[5] სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა ამომრჩევლისადმი, ყველა მოქალაქისადმი, გაზ. „კომუნისტი", 1979 წ. 3 თებერვალი.

[6] ე. ა. შევარდნაძე, სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 161 თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის წარმომადგენელთა კრებაზე, გაზ. „კომუნისტი", 1978 წლის 8 თებერვალი.

[7] სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა სსრ კავშირის ყველა ამომრჩევლისადმი, ყველა მოქალაქისადმი, გაზ. „კომუნისტი", 1979 წ. 3 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინათ მიღებული კანონი სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ და სხვა ნორმატიული აქტები. პროკურატურის, სასამართლო ორგანოების, იუსტიციის დაწესებულებათა მუშაკებმა უნდა მოაწყონ ამომრჩეველებისათვის ლექციები, კითხვა-პასუხის საღამოები, კონსულტაცია გაუწიონ საარჩევნო კომისიის წევრებს სამართლებრივ საკითხებზე, მოაწყონ ამომრჩეველთა დასახმარებლად კონსულტაციები, საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა და სხვა.

ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, დეპუტატებთან შეხვედრის დროს ამომრჩევლები აყენებენ ბევრ საქმიან წინადადებას სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესების თაობაზე, დამნაშავეობასთან და უყაირათობასთან ბრძოლის, სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, პიროვნების კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის საკითხებზე. საჭიროა ამ კრიტიკული შენიშვნებიდან სათანადო დასკვნები იქნეს გამოტანილი. იგი საფუძვლად უნდა დაედოს ადმინისტრაციული ორგანოების ყველა რგოლის საქმიანობის გარდაქმნას, სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.

მიმდინარე საარჩევნო კამპანია დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. იგი წარმოებს მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში. საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მთლიანად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს დიდ და ნაყოფიერ მუშაობას.

ეჭვი არ არის, **რომ** არჩევნები გადაიქცევა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის **გამარჯვების, საბჭოთა** საზოგადოების იდეური და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობისა **და** თანამშრომლობის კიდევ ერთ ნათელ დემონსტრაციად. ხალხის მიერ ლენინური პარტიის **კურსის** ერთსულოვანი მხარდაჭერა ამის საიმედო საწინდარია.

საბჭოთა სოციალისტური საზოგადოებრივ კონსტიტუცია

პიროვნების უფლებების საკითხი მსოფლიოს ორი სისტემის იდეოლოგიურ ბრძოლაში

ა. აბესაძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე

მსოფლიოს ორი სისტემის იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში უაღრესად აქტუალური გახდა პიროვნების უფლებების საკითხი, რომელიც კომუნიზმის მტრებმა სპეკულაციის საგნად და სოციალიზმთან ბრძოლის ამოსავალ პრობლემად აქციეს. პიროვნების უფლების დარღვევის მომიზეზებით საერთაშორისო იმპერიალიზმი უპირველეს ყოვლისა ცდილობს სახელი გაუტეხოს სოციალიზმს, ჩაერიოს საბჭოთა კავშირის, აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნების საშინაო საქმეში, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს მოქალაქეთა უფლებების იმ უხეშ ხელყოფას, რაც ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

თუ თვალს გადავავლებთ სახელმწიფოსა და პიროვნების სამართლებრივი ურთიერთობის ისტორიას ანტიკური პერიოდიდან დღემდე — თვალნათლივ დავინახავთ, რომ ეს პრობლემა, რომელიც ყოველთვის აღელვებდა კაცობრიობას, საბოლოო ანგარიშით ყველაზე სამართლიანად სოციალიზმმა გადაწყვიტა.

რატომ გადაიქცა „პიროვნების უფლების დარღვევის“ საკითხი გააფთრებული პოლიტიკური ბრძოლის ობიექტად, რატომ აირჩია კაპიტალისტურმა სამყარომ, პირველ რიგში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ადამიანის უფლებებისათვის ზრუნვა სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ თავიანთი იდეოლოგიური ლაშქრობის მთავარ მიმართულებად?

მოქალაქის უფლებათა ისტორია იწყება იმ დროიდან, როდესაც წარმოიშვა სახელმწიფო, რომელიც ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველთვის იყო კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის პროდუქტი და გამოხატულება.[1] ექსპლოატატორული სახელმწიფო ეკონომიკურად გაბატონებულ კლასს სჭირდებოდა, როგორც პოლიტიკური ბატონობის იარაღი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის დასათრგუნავად. ცხადია, ასეთ ვითარებაში შეუძლებელი იყო სხვადასხვა კლასის პიროვნების უფლებების რაიმე თანასწორობაზე ლაპარაკი. ახასიათებდა რა უფლებებისა და თავისუფლებების საკითხს ანტიკურ ქვეყნებში, ფ. ენგელსი აღნიშნავდა: „ბერძნებსა და რომაელებს შორის ადამიანთა ურთიერთობანი ბევრად უფრო დიდ როლს ასრულებდნენ ვიდრე რაიმე თანასწორობა. ძველებს აუცილებლად გიჟურად მოეჩვენებოდათ ის აზრი, რომ ბერძნებსა და ბარბაროსებს, თავისუფლებსა და მონებს, სახელმწიფო მოქალაქეებსა და შემოხიზნულებს, რომის მოქალაქეებსა და რომის ქვეშევრდომებს (ფართო გამოთქმა რომ ვიხმაროთ) შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ თანასწორ პოლიტიკურ მნიშვნელობაზეო“.[2]

---

[1] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 472.

[2] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, სახელგამი, 1952, გვ. 123.

ანტიკურ სამყაროს იმ დროისათვის შედარებით სრულყოფილი პოლიტიკური მმართველობის მიუხედავად, გარიყული ჰყავდა პიროვნება. თუ ამას დავამატებთ, რომ მონათმფლობელური საზოგადოების აუცილებელი ატრიბუტი — მონა არ ითვლებოდა მოქალაქედ და ნივთთან იყო გათანაბრებული, გასაგები გახდება, რომ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ ამ საზოგადოებაში შეუძლებელი იყო უფლებათა რაიმე თანასწორობაზე ლაპარაკი. „ძველ რომში — აღნიშნავდა კ. მარქსი, — კლასობრივი ბრძოლა წარმოებდა მხოლოდ პრივილეგიური უმცირესობის შიგნით, თავისუფალ მდიდრებსა და თავისუფალ ღარიბებს შორის, მაშინ როდესაც მოსახლეობის დიდი მწარმოებელი მასა, მონები, მებრძოლთათვის მხოლოდ პასიურ კვარცხლბეკს შეადგენდა“.[3]

სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების ამოსავალი წყარო იყო ხალხის თვითმმართველობა ე. წ. სახალხო კრების სახით, რომელსაც მხარს არ უმაგრებდა ამ საზოგადოებაში მცხოვრები პიროვნება თავისი უფლებებით. სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად ამ გარემოებამ შემდგომ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმას, რომ ხალხის თვითმმართველობა თითქმის უბრკოლველად გარდაქმნილიყო ერთმმართველურ თვითმპყრობელად, ანუ დესპოტიად, რომლის ანტიდემოკრატიული ბუნება ყველაზე კარგად გამოჩნდა რომაელი იმპერატორების მაგალითზე.

საზოგადოების განვითარების შემდგომ საფეხურზე, კერძოდ, გერმანული ფეოდალიზმის პირობებში სახელმწიფოსთან ურთიერთობაში თანდათანობით გამოიკვეთა პიროვნების იდეა და ჩამოყალიბდა მანამდე უცნობი ურთიერთობანმი სიუზერენსა და ვასალს შორის, რომელიც სათავეს იღებდა მიწაზე კერძო საკუთრების უფლებიდან.

ფ. ენგელისის მიხედვით, ფეოდალური ევროპის სახელმწიფოთა განვითარების დაახლოებით თანაბარმა დონემ და აქედან გამომდინარე თანასწორობამ, ცალკე სახელმწიფოს საზღვრების გადამლახავი ხასიათი მიიღო, საიდანაც შემდგომ თავისუფლება და თანასწორობა ადამიანურ უფლებებად იქნენ გამოცხადებულნი.[4]

ფეოდალური საზოგადოება, პიროვნებებს ყოფდა რა წოდების მიხედვით, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე მათ სხვადასხვა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალისტურ ფუნქციას აკისრებდა. თვითოეული ეს ფუნქცია თავის გამოხატულებას პოულობდა პიროვნების განსხვავებულ უფლება-მოვალეობებში, რომელიც სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში არ იყო ერთნაირი. მაკიაველის ტიპის ფეოდალურ სახელმწიფოს, რომელშიც პოლიტიკა განთავისუფლებული იყო ზნეობრივი ნორმებისაგან და სადაც მიზნის მისაღწევად დაშვებული იყო ყველა საშუალების გამოყენება[5], არ შეეძლო თავის არსებობაში ჰქონოდა პიროვნების უფლებათა გარანტიების დემოკრატიული სისტემა. ფეოდალური ჩაგვრის ყველა საშუალების გამოყენებასთან ერთად გაბატონებული კლასი ეკლესიის დახმარებით ცდილობდა სრულ მორჩილებაში ჰყოლოდა პიროვნება.

მაგრამ პირველი დარტყმა სამეფო ხელისუფლებამ პიროვნებასთან ურ-

---

[3] იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბილისი 1963 წ. გვ. 265.

[4] იხ. ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბილისი, 1952 წ. გვ. 126.

[5] დაწვ. იხ. Л. М. Баткин, Макьявелли: опыт и умозрение, ж. «Вопросы философии», № 12, стр. 116.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიერთობაში სწორედ აქ განიცადა. შუა საუკუნეების რეფორმაციამ, რომლის უდიდესი წარმომადგენელი ლუთერი იყო, უპირველეს ყოვლისა დააყენა პიროვნების რწმენის თავისუფლების მოთხოვნა და ადამიანსა და ღმერთის ურთიერთობაში გამორიცხა შუამავლობის არსებობა. რწმენის თავისუფლების მოთხოვნამ თანდათანობით მიგვიყვანა პიროვნების პოლიტიკური და სოციალური ხასიათის მოთხოვნამდე. ლოკმა და უფრო გვიან სპინოზამ პიროვნების ინდივიდიალური თავისუფლების იდეა დაუკავშირეს საზოგადოებაში მოქმედ პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და სამართლებრივ ნორმებს. ეს პროცესი ყველაზე თვალსაჩინოდ მე-17 საუკუნის ინგლისში გამოჩნდა, სადაც პარლამენტარიზმის ბრძოლაში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ თანდათანობით გამოიკვეთა ადამიანის პირადი თავისუფლების მოთხოვნა. ეს იდეა მალე გასცდა კონტინენტური ევროპის ფარგლებს და ინგლისის მაშინდელ ამერიკულ კოლონიებამდე მიაღწია.

მაგრამ „ამ ადამიანურ უფლებათა სპეციალურ ბურჟუაზიულ ხასიათს, აღნიშნავდა ფ. ენგელსი, — მოწმობს ის გარემოება, რომ ამერიკული კონსტიტუცია, რომელმაც ადამიანური უფლებები აღიარა, ამავე დროს ადასტურებს ამერიკაში არსებულ ფერადკანიანების მონობას: კლასობრივი უპირატესობანი დაჰგმეს, რასობრივი აკურთხეს“.[6] ამასთან ექსპლოატატორული სახელმწიფოს პირობებში ადამიანთა თანასწორობა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული კერძო პირების თანსწორობა იყო, რომელიც შორს იდგა პიროვნების ნამდვილ თავისუფლებასთან.

ამ პერიოდიდან ქვეყნდება ევროპასა და ამერიკაში დიდძალი ლიტერატურა პიროვნებისა და მისი უფლებების შესახებ. მაგრამ არც ერთ ავტორს მარქსიზმის კლასიკოსებამდე ეს პრობლემა არ დაუკავშირებია კლასობრივ ბრძოლასთან, არ გაუანალიზებია საზოგადოებაში გაბატონებული წარმოების წესი, რომელზეც დაფუძნებულია პიროვნების ყველა ძირითადი უფლება. ეს ვერ მოახერხეს მე-18 საუკუნის დიდმა განმანათლებლებმაც, თუმცა მათმა იდეებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბურჟუაზიის ფეოდალიზმზე გამარჯვებაში. ბურჟუაზიული რევოლუციის ცნობილ დოკუმენტში — 1789 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში“ პირველად ჩაიწერა, რომ უფლება განუყოფელი იყო მოქალაქისაგან. ამასთან, უფლებების დაცვა ყოველგვარი პოლიტიკური კავშირის მთავარ მიზნად იქნა გამოცხადებული.

მაგრამ დეკლარაციაში სხვა ხარვეზებთან ერთად ლაპარაკი იყო ეგოისტური ინდივიდის უფლებაზე. კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ ამ საზოგადოებაში ადამიანები ერთმანეთთან საკუთრების მეშვეობით იყვნენ დაკავშირებულნი. კერძო საკუთრების უფლება გამოცხადებულ იქნა ადამიანის ბუნებით თანდაყოლილ უფლებად, რომლის ხელშეუხებლობასაც ფხიზლად იცავდა სახელმწიფო. ამიტომ დეკლარაციამ ფორმალურად თუმცა გამოაცხადა ყველა მოქალაქე პოლიტიკურად თანასწორად, ამის აუცილებელ წინაპირობად დააყენა ეგოისტური ინდივიდის ქონებრივი უთანასწორობა, რითაც ადამიანის ურთიერთობა ფაქტიურად ნივთების ურთიერთობამდე დაიყვანა[7].

ცხადია ასეთ დროს მოქალაქეთა უფლებების რეალურ თანასწორობაზე, მათი დაცვის გარანტიებზე ლაპარაკი ყალბი აღმოჩნდა, რადგან სახელმწიფო

---

[6] იხ. ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბილისი, 1952 წ. გვ. 126.

[7] დაწვრილებითი ამის შესახებ იხ. Л. И. Спирадопов, Социальное развитие и право, Л., 1973 г. стр. 144—145.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცავდა იმას, ვის ხელშიც სიმდიდრე იყო დაგროვილი. „ის რასაც წინათ თავისუფლება ეწოდებოდა — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ეს იყო ბურჟუაზიის თავისუფლება თავისი მილიონების საშუალებით მოტყუებისა, ამ მოტყუების საშუალებით თავისი ძალების გამოყენების თავისუფლება“[8]. „ბურჟუაზია განაგრძობს ვ. ი. ლენინი — იძულებულია ითვალთმაქცოს და „საერთო-სახალხო ხელისუფლება“ ან სერთოდ დემოკრატია, ან წმინდა დემოკრატია უწოდოს (ბურჟუაზიულ) დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც ნამდვილად წარმოადგენს ბურჟუაზიის დიქტატურას, ექსპლოატატორთა დიქტატურას მშრომელ მასებზე“[9].

საზოგადოების განვითარების მთელმა მსვლელობამ დაადასტურა ვ. ი. ლენინის ეს შეფასება. ბურჟუაზია იმპერიალიზმის ეპოქაში ველარ ეგუება პიროვნების ფორმალურ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ უფლებებსაც. კერძო საკუთრების პრინციპის ბატონობა, რომელიც მატერიალურ შინაარს აცლის პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებს, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ადგილს აღარ ტოვებს უფლებათა თანასწორობისათვის. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა წინააღმდეგ რეპრესიულ ღონისძიებებთან ერთად იმპერიალისტური ბურჟუაზია ფართოდ იყენებს რეაქციულ და ანტიმუშურ კანონმდებლობას. ეს კარგად ჩანს ბურჟუაზიულ კონსტიტუციურ კანონმდებლობაში ბოლო დროს შეტანილი მთელი რიგი „ცვლილებებითა“ და „დამატებებით“, რომელთა უმეტესობა მშრომელთა საზიანოდ არის მიმართული.ამის თვალსაჩინო მაგალითია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ე. წ. „განსაკუთრებული კანონმდებლობა“, რომელიც კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მთავრობას აძლევს განუსაზღვრელ უფლებამოსილებას, რათა გვერდი აუაროს წარმომადგენლობით ორგანოს, რწმენის გამო კრძალავს პიროვნების მიერ გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლებას და ა. შ.

„არც ერთი ქვეყანა ისე არ აქებს თავისი ცხოვრების წესს და ისე არ ცდილობს მოახვიოს იგი სხვას, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები. ამავე დროს არც ერთ სახელმწიფოში ისე არ არის განვითარებული ჯაშუშურ-რეპრესიული აპარატი, როგორც დღევანდელ ამერიკაში“.[10]

ამიტომ თვალთმაქცური და ცინიკურია „ადამიანის უფლების დაცვის“ ორგანიზებული კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში. სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ მიმართულ ამ ცილისწამებაში „ჩათრეულნი“ აღმოჩდნენ დასავლეთ ევროპის წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოებიც. ბრძოლის ტაქტიკურ იარაღად გამოყენებულნი არიან ე. წ. „დისიდენტებიც“. მათი უმრავლესობა სოციალისტურ ქვეყნების სასამართლო ორგანოების მიერ გასამართლებული და დასჯილია არა რწმენისა და კრიტიკული აზროვნებისათვის, როგორც ამას წარმოსახავენ ადამიანის უფლების დასავლეთელი დამცველები, არამედ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც ძირს უთხრის ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებას.

„იმპერიალისტური ბურჟუაზია, — ნათქვამია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, — თავისი ქვეყნების ხალხებზე ძალაუფლებას ინარჩუნებს

---

[8] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 396.

[9] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 460.

[10] დაწვ. იხ. Положение в области прав человека в США, М., 1978, стр. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მარტო ძალადობით, არამედ მოტყუებითაც. იგი სულ უფრო ფართო მასშტაბით მიმართავს მასების დამონების იდეოლოგიურ საშუალებებს, მთელი რეაქციული ძალების „ტოტალურ“ იდეურ მობილიზაციას ანტიკომუნიზმისა და ანტისოვეტიზმის ალმით“.[11]

სოციალიზმის ქვეყნებში ადამიანის უფლებებისათვის „ზრუნვის“ კამპანია, მიუხედავად მისი ორგანიზატორების დიდი მონდომებისა, ძალიან სწრაფად კარგავს პოპულარობას. მის მიმართ კრიტიკულად არიან განწყობილი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლებიც. ამის უპრეცენდენტო მაგალითია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლის ე. იანგის საჯარო განცხადება იმის თაობაზე, რომ დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატების საპატიმროებში პოლიტიკური რწმენისათვის ჩამწყვდეულია და სასჯელს იხდის ასობით, ხოლო შეიძლება ათასობით ადამიანიც.[12] სასაცილოა სხვა ქვეყნების მოქალაქეთა უფლებების დარღვევების გამო განგაშის ატეხა, როცა ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს არქივში პრაქტიკულად ყველა მოზრდილ ამერიკელზე გახსნილია და ინახება 160 მილიონი დოსიე. მარტო ამ უკანასკნელ წლებში ამ ბიურომ „ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის“ 500 ათას ამერიკელზე ჩაატარა გამოძიება, თუმცა მათი პოლიტიკური აქტიურობა კანონით დადგენილ ფარგლებს არ სცილდებოდა.

მარცხი განიცადა აგრეთვე ცდამ „დისიდენტების“ მოშველებით სსრ კავშირისათვის ბრალი დაედოთ ჰელსინკის ხელშეკრულებების დარღვევაში. ზ. გამსახურდიას სასამართლო პროცესმა თბილისში ნათლად გვიჩვენა ჯაშუშურ და ანტისაბჭოთა პროპაგანდისტულ კამპანიაში პოლიტიკურად მოუმწიფებელი და მერყევი ადამიანების ჩაბმის ხრიკები, რასაც ხშირად იყენებს დასავლეთის დაზვერვა. ამ პროცესმა ერთხელ კიდევ დაანახვა მსოფლიოს ამერიკის შეერთებული შტატების „თავისუფალი“ პრესის ობიექტურობაც, რომელმაც უსაფუძვლოდ შეიტანა ეჭვი ზ. გამსახურდიას მიერ თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის გულწრფელ აღიარებაში.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დღემდე არ გამოქვეყნებულა ჰელსინკის ხელშეკრულების სრული ტექსტი, რითაც ამ ქვეყნის საზოგადოებას ნათელი წარმოდგენა არა აქვს ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის შინაარსზე.[13] თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ჰელსინკის ხელშეკრულების ხელმოწერის მიუხედავად პრაქტიკულად ძალზე ცოტას აკეთებს გამალებული შეიარაღების აკრძალვის, სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისაგან თავის შეკავების ხაზით, იმ საერთაშორისო დეკლარაციებისა და ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვას ეხება და სხვა, დავინახავთ, რომ არა საბჭოთა კავშირი, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებია ჰელსინკის ხელშეკრულების დამრღვევთა სათავეში.

მილიონობით ამერიკელი მოქალაქის უფლებებს სისტემატურად არღვევს და ძირს უთხრის რასიზმი და ეროვნული დისკრიმინაცია, რასაც მწარედ განი-

---

[11] იხ. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები, თბ., 1970 წ. გვ. 51.

[12] Тысячи политзаключенных, газ. «Известия», 14 июля 1978 г.

[13] См. Положение в области прав человека в США, М., 1978 г. стр. 19.

ცდიან ამერიკელი ინდიელები, აგრეთვე ზანგი და მექსიკური წარმოშობის ხალხები. ამ უფლებებს ფეხქვეშ თელავს ის ექსცესები, რასაც მთავრობა მიმართავს იმათ წინააღმდეგ, ვინც იბრძვის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის უფლებების განხორციელებისათვის. ამ ფონზე „ნაქები" ამერიკული დემოკრატიისაგან მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის აღარაფერი რჩება.

უხეშად, ფეხქვეშ ითელება მოქალაქეთა უფლებები არა მარტო ევროპის წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში, — ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, არამედ ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში, აზიაში და აფრიკის კონტინენტზე. კაპიტალიზმის განუკურნებელი სენის — უმუშევრობის გამო ყველგან ირღვევა ადამიანის უმნიშვნელოვანესი და არსებითი — შრომის უფლება.

ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ პრაქტიკულად ვერ გადაჭრა ხალხის მასების არჩევნებში მონაწილეობის საკითხი. პოლიტიკურ კორუფციასთან ერთად, საარჩევნო კამპანიის ჩატარება, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაკავშირებულია მრავალ ფინანსურ მაქინაციასთან, რასაც არარაობამდე დაჰყავს ბურჟუაზიულ კონსტიტუციებში ჩაწერილი არჩევნებში მონაწილეობის უფლება. „დეე ბურჟუაზიამ — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — განაგრძოს სახელმწიფო ხელისუფლების მთელი აპარატის შენარჩუნება თავის ხელში, დეე ერთმა მუჭა ექსპლოატატორებმა განაგრძონ წინანდელი, ბურჟუაზიული, სახელმწიფო მანქანით სარგებლობა! ბურჟუაზიას, თავისთავად ცხადია, უყვარს ასეთ პირობებში ჩატარებულ არჩევნებს უწოდოს „თავისუფალი", „თანასწორი", „დემოკრატიული", „საყოველთაო-სახალხო" არჩევნები, რადგან ეს სიტყვები ემსახურება სიმართლის დამალვას, იმის დამალვას, რომ საკუთრება წარმოების საშუალებაზე და პოლიტიკური ძალაუფლება ექსპლოატატორთა ხელში რჩება, რომ ამიტომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება ექსპლოატირებულების, ე. ი. მოსახლეობის დიდი უმრავლესობის, ნამდვილ თავისუფლებაზე, ნამდვილ თანასწორობაზე"[14].

პიროვნების ნამდვილი თავისუფლება მოიტანა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. რევოლუციის შემდეგ შექმნილმა პირველმა საბჭოთა სახელმწიფომ ერთიანერთმა მოახერხა უღრმესი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებით სამუდამოდ მოეღო ბოლო წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებისათვის, რომელიც პიროვნების ჭეშმარიტად დემოკრატიული უფლებების პირველი მტერია. ისტორიას ჩაბარდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, კლასობრივი ანტაგონზმი და შუღლი. დამკვიდრდა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება და მშრომელი მასების ნამდვილი დემოკრატია. მართალია, ოცდაათიან წლებში სოციალისტური კანონიერების ცალკეულმა დარღვევებმა ჩრდილი მიაყენა მოქალაქის უფლებების დაცვის გარანტიებს, მაგრამ პარტიამ სიმართლე უთხრა ხალხს და დროულად აღკვეთა ეს შეცდომები. განვითარებული სოციალიზმის პირობებში კიდევ უფრო გამდიდრდა და სრულყოფილი გახდა საბჭოთა მოქალაქის უფლებათა დაცვის ორგანიზაციული და სამართლებრივი გარანტიების სისტემა. შეიქმნა პირობები, რათა ქვეყნის პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფდეს მთელი საზოგადოებრივი საქმეების ეფექტიან მართვას, მშრომელთა სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო ცხოვრებაში, მოქალაქეთა რეალურ

[14] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 452.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებათა და თავისუფლებათა შეხამებას მათს მოვალეობებთან და პასუხისმგებლობასთან საზოგადოების წინაშე.

მსგავსი რამ შეუძლებელია ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში. „მართლაცდა, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1977 წლის 4 ოქტომბერს, — რა შეუძლია დაუპირისპირონ განვითარებული სოციალიზმის ამ რეალურ მიღწევებს კაპიტალისტური წყობილების აპოლოგეტებმა? როგორია ნამდვილი უფლებანი და თავისუფლებანი, რომლებსაც მშრომელთა ფართო მასებს ანიჭებს თანამედროვე იმპერიალისტური საზოგადოება?

რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანის უმუშევრობის „უფლება“? თუ ავადმყოფთა „უფლება“ იოლად გავიდნენ საექიმო დახმარების გარეშე, რომელიც უზომოდ ძვირი ჯდება? თუ შრომასა და განათლებაში, ყოფასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნულ უმცირესობათა დამამცირებელი დისკრიმინაციის „უფლება“? ან იქნებ იმის „უფლება“, რომ ყოვლისშემძლე ორგანიზაციულ დამნაშავეთა სამყაროს წინაშე სულ მუდამ შიშით ცხოვრობდე და ხედავდე, რომ პრესა და კინო, ტელევიზია და რადიო ყველაფერს სჩადიან, რათა ეგოიზმის, სისასტიკისა და ძალადობის სულისკვეთებით აღზარდონ ახალგაზრდა თაობა?“.[15]

სოციალიზმმა, რომელმაც დიდი ხანია მოიშორა კაპიტალიზმის დამახასიათებელი სოციალური წყლულები, სათავე დაუდო სახელმწიფოსა და პიროვნების სრულიად ახალ ურთიერთობას. სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის ბაზაზე მას საფუძვლად უდევს საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესების ერთიანობა. პიროვნების თავისუფლება სოციალიზმის დროს გვევლინება როგორც რეალობა, რომელსაც ახასიათებს პიროვნების ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი განთავისუფლება ყოველგვარი ჩაგვრისაგან. უფლება და მოვალეობა გვევლინება როგორც ამ თავისუფლების გამოვლინების იურიდიული ფორმა, რომლებიც თავის მხრივ დაფუძნებულია მეცნიერულ საფუძველზე და განმტკიცებულია იმ გარანტიებით, რომლებიც საზოგადოების მიერ არის დადგენილი[16].

ეს თვალნათლივ ჩანს ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების მაგალითზე, რომლითაც მოქალაქენი თანასწორუფლებიანნი არიან ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალისტური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ასეთი თანასწორობა არ იცის ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ.

კამპანია, რომელიც გააჩაღეს ბურჟუაზიულმა ქვეყნებმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მეთაურობით სოციალიზმის ქვეყნებში თითქოს და ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ, იმპერიალიზმის სოციალიზმთან ბრძოლის ახალი იდეოლოგიური ფანდია, მაგრამ იგი თავიდანვე განწირულია დასაღუპავად.

---

[15] ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ. გაზ. „კომუნისტი“ 1977 წ. 5 ოქტომბერი.

[16] Корельский В. М. Демократия и дисциплина в развитом социалистическом обществе, М., юрид. лит. 1977, стр. 114.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო პრაქტიკის ნორმაშიული ძალის პრობლემა საბჭოთა სამართლის თეორიაში

ბ. სავანელი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

1. სამართლებრივი ნორმების განხორციელების გამოცდილების დაგროვების შედეგად სასამართლო პრაქტიკა თავის ნორმატიულ ძალას ძირითადად სასამართლოების მიერ **კონკრეტიზებული სამართლებრივი დებულებების** გამომუშავებით ავლენს. სასამართლო ორგანოების საქმიანობა რეგულირდება არა მარტო სამართლებრივი ნორმებით, არამედ აგრეთვე სამართლებრივი ნორმების შეფარდების სასამართლო პრაქტიკით გამომუშავებული დებულებებით.

კონკრეტიზებულ სამართლებრივ დებულებათა დამოუკიდებელ ნორმატიულ მნიშვნელობას უკანასკნელ დრომდე ბევრი მეცნიერი იურისტი საერთოდ უგულებელყოფდა.

მაგალითად, ი. ბ. ნოვიცკის აზრით, კონკრეტიზაცია არის მოვლენა, რომელიც ახასიათებს სამართლებრივი ნორმის გამოყენებას მხოლოდ ერთი კონკრეტული შემთხვევის მიმართ. ამ დროს არავითარი სამართლებრივი დებულებები არ გამომუშავდება. ჩვენს წინაშეა მხოლოდ კანონის შინაარსის სწორი ახსნა, მისი როგორც ზოგადი ქცევის წესის სწორი განმარტება, რომელიც მოიცავს ნორმის ჰიპოთეზას, დისპოზიციას და სანქციას და გამოიყენება მხოლოდ ინდივიდუალიზებული საზოგადოებრივი ურთიერთობის მიმართ. სახელმძღვანელო დებულებები კი მხოლოდ აღნიშნავს იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც სასამართლოებს მოსდით კანონის შეფარდების დროს, და იძლევა მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განიმარტოს კანონი[1].

ა. ფ. ჩერდანცევი უშვებს კანონების ნორმატიულ ახსნა-განმარტებას მხოლოდ უმაღლესი სასამართლო ორგანოების მიერ. მაგრამ, მისი აზრით, კონკრეტიზაცია ამ შემთხვევაშიც, სხვა არაფერია, თუ არა ახსნა-განმარტების პროცესი[2].

კ. ი. კომისაროვი კონკრეტიზაციას უკავშირებს მხოლოდ იმ ნორმებს, რომლებიც უფლებას ანიჭებს სასამართლოს იხელმძღვანელოს ამ ნორმებში მითითებული შეფასებითი კრიტერიუმებით და მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებანი კანონის ფარგლებში. კ. ი. კომისაროვი ამტკიცებს, რომ კანონს არ სჭირდება დაზუსტება, რადგან ის საკმარისად განსაზღვრულია, და ამიტომ ამოცანა ის არის, რომ ზუსტად იქნეს შეფარდებული კანონი. კონკრეტიზაცია საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას უშვებს თვით კანონმდე-

---

[2] Черданцев А. Ф. Вопросы толкования советского права, Свердловск 1972, с. 135-141.. ამ პოზიციაზე არიან ა. ს. შლიაპოშნიკოვი და ა. ვ. მიცკევიჩი.

[2] Черданцев А. Ф. Вопросы толкования советского права, Свердловск 1972, с. 38-40. ამ პოზიციაზე დგას აგრეთვე ი. ს. ტიშკევიჩი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი, სხვა შემთხვევებში კი სასამართლო მხოლოდ განმარტავს კანონის ნამდვილ აზრს[3].

ამ პოზიციასთან ახლოს დგანან ვ. ვ. ლაზარევი და ა. კ. ბეზინა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ კანონმდებელი ზოგჯერ თვით ანიჭებს სასამართლოს სამართალშემოქმედების უფლებას, აძლევს შესაძლებლობას შეავსოს, დააკონკრეტოს კანონი, მაგრამ ისე, რომ არ გასცდეს შეფასებითი კრიტერიუმის ფარგლებს. მხოლოდ ასეთ შემთხვევებში ხდება კონკრეტიზებული სამართლებრივი დებულებების გამომუშავება. ამდენად, ეს ავტორები იმაზე კი არ ლაპარაკობენ, რომ კანონმდებელმა სასამართლოებს მისცეს სამართლებრივი დებულების გამომუშავების ფართო შესაძლებლობა, არამედ იმაზე, რომ სასამართლოებს სამართალშემოქმედების უფლებამოსილება მიენიჭოთ მხოლოდ შეფასებითი კრიტერიუმების კონკრეტიზაციის დროს ამ შეფასებითი კრიტერიუმების ფარგლებში[4].

ს. ს. ალექსეევის აზრით, კანონის კონკრეტიზაცია შესაძლებელია არა მარტო კანონში „შეფასებითი ცნებების" არსებობის დროს, არამედ სხვა შემთხვევებშიც. კანონის კონკრეტიზაცია აუცილებელი პროცესია, რომელიც უკავშირდება კანონის აბსტრაქტული დებულების უფრო კონკრეტულ დებულებად გადაქცევას. ასეთი კონკრეტიზაციის შედეგად გამომუშავდებიან სამართლებრივი დებულებები, რომლებიც ქმნიან სპეციფიკურ სამართლებრივ მოვლენას და რომლებიც წარმოადგენენ სოციალისტურ მართლშეგნებას „შედედებული" სახით მათი იურიდიულ ნორმებად გარდაქმნის მიჯნაზე. ს. ს. ალექსეევი განასხვავებს ერთმანეთისაგან კონკრეტიზებულ სამართლებრივ დებულებებს, რომლებიც ფორმულირებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო მითითებებში, და სამართლებრივ დებულებებს, რომლებსაც ასეთი ფორმა არა აქვს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო მითითებებს ს. ს. ალექსეევი ანიჭებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ძალას[5].

ს. ნ. ბრატუსი (რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის როგორც სამართლისგან დამოუკიდებელი სოციალური ფენომენის აღიარება) ამბობს: რაც უფრო ზოგადი ხასიათი აქვს კანონს, მით უფრო მეტ ურთიერთობებს მოიცავს იგი, მაგრამ მან რომ კანონმდებლობის მიერ დასმული ამოცანა შეასრულოს, გაშუალებული უნდა იყოს სხვა ნორმებით, რომლებიც ასევე ზოგადია, მაგრამ უფრო კონკრეტიზებული, ვიდრე კანონი. ს. ნ. ბრატუსის აზრით — არსებობს ასეთი კონკრეტიზაციის ორი საშუალება: პირველი — სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა, მეორე — სასამართლო პრაქტიკის მიერ კონკრეტიზებული სამართლებრივი დებულებების გამომუშავება. ყველა ამ შემთხვევაში ლაპარაკია მეტ-ნაკლებად ქცევის ზოგად წესზე, მაგრამ პირველი საშუალებისაგან განსხვავებით, მეორე შემთხვევაში — ჩვენ საქმე გვაქვს სამართლებრივ დებულებებთან, რომლებიც სამართლის წყაროა არ არის. მათ მიეკუთვნება სსრ

---

[3] Комиссаров К. И. Судебное усмотрение в советском гражданском праве «Советское государство и право». 1969, № 4, с. 51.

[4] Безина А. К Лазарев В. В. — Правоконкретизирующая деятельность судов и ее роль в развитии советского права. «Вопросы социалистической законности в деятельности административных и хозяйственных органов». Казань, 1968, с. 34.

[5] Алексеев С. С. Социальная ценность права в советском обществе. М., 1971. с. 135-140. ანალოგიურ პოზიციაზეა ა. ს. პიგოლკინი .

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო მითითებებში ჩამოყალიბებული სამართლებრივი დებულებები. ამ მითითებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონკრეტიზებულ (დეტალიზებულ) სამართლებრივ ნორმებს[6]. როგორც ჩანს, ს. ნ. ბრატუსი სამართლებრივ ნორმებად გულისხმობს ნორმებს, რომლებიც წარმოადგენს სამართლის წყაროს და ნორმებს, რომლებიც ასეთი თვისების მატარებელნი არ არის.

ეს კონცეფცია შემდგომ განავითარა ლ. ვ. ვენგეროვმა წერილში „სამართლებრივი ნორმის პრეცენდეტული ახსნა-განმარტების შესახებ“.

ლ. ვ. ვენგეროვის აზრით, კონკრეტიზებული სამართლებრივი დებულებები შემუშავდება არა მარტო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს პლენუმების დადგენილებებში, არამედ აგრეთვე სხვადასხვა დონის სასამართლო ორგანოების დადგენილებებში კონკრეტული საქმეების გამო. მაგრამ კონკრეტული საქმის გამო გამოტანილი დადგენილება, მხოლოდ მაშინ იძენს სამართლებრივი დებულების სახეს, როდესაც მას სასამართლო პრაქტიკა მიიღებს და ანალოგიური კონკრეტული საქმის გადაწყვეტის დროს ნიმუშად, ახსნა-განმარტების თავისებურ პრეცედენტად იქცევა. სასამართლო და ადმინისტრაციულ პრეცენდენტისაგან განსხვავებით (რომლებიც წარმოადგენენ სამართლის წყაროს), „ახსნა-განმარტების პრეცედენტი“ დაკავშირებულია უკვე არსებულ სამართლის ნორმასთან, ანალოგიურ საქმეზე სამართლის ნორმის შეფარდების სასამართლო პრაქტიკისათვის უკვე ცნობილ სამართლებრივ შეხედულებასთან, რის გამოც იგი იღებს მყარი დებულების სახეს[7].

ს. ნ. ბრატუსის და ლ. ვ. ვენგეროვის შეხედულებები შემდგომ განვითარდა ს. ს. ალექსეევის წიგნში „სამართლის თეორიის პრობლემები“ (ტ. 2). ს. ს. ალექსეევი განასხვავებს სამართლებრივი ნორმების **სამართალშემოქმედებითს** და **სამართალშეფარდებითს** კონკრეტიზაციას და ავითარებს ს. ნ. ბრატუსის კონცეფციას კონკრეტიზებული სამართლებრივი დებულებების ორი სახეობის შესახებ. კონკრეტიზებულ სამართლებრივ დებულებებს ის უწოდებს „სამართლის შეფარდების ნორმებს“. ისევე როგორც ს. ნ. ბრატუსი, ს. ს. ალექსეევიც ამტკიცებს, რომ სამართლის სფეროში ნორმად არ შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ სამართლის ნორმა, მის გვერდით სრულიად კანონზომიერად უნდა იხსენიებოდეს **სამართლის შეფარდების ნორმა.** ამის გამო ს. ს. ალექსეევმა გადასინჯა თავისი ძველი თვალსაზრისი სამართლებრივი დებულებების იურიდიული ბუნების შესახებ და, ისევე როგორც ს. ნ. ბრატუსი და ლ. ვ. ვენგეროვი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების პლენუმების დადგენილებებს მხოლოდ პირობით შეიძლება ეწოდოს სამართლის წყაროები, არსებითად ისინი წმინდა ინტერპრეტაციული აქტებია, რომლებიც შეიცავს სამართლებრივი ნორმების შეფარდების წესებს[8].

ს. ნ. ბრატუსის და ლ. ვ. ვენგეროვის პოზიცია უფრო კონცენტრირებულად გამოიხატა მათს ერთობლივ ნაშრომში „სასამართლო პრაქტიკის ცნება, შინა-

---

[6] Братусь С. Н. Постановления Пленума Верховного Суда СССР и инструктивные указания государственного Арбитража при совета Министров СССР как предмет систематизации. В кн. «Теоретические вопросы систематизации советского законодательства». М., 1962, с. 151—153.

[7] Венгеров Л. В. О прецендентном толковании правовой нормы. «Ученые записки ВНИИСЗ. В кн. 6, 1966, с. 3—9.

[8] Алексеев С. С. Проблемы теории права. Св. 1973, т. 2, с. 93—94, 99—100.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსი და ფორმები", აგრეთვე კოლექტიურ შრომაში „სასამართლო პრაქტიკა საბჭოთა სამართლის სისტემაში" (მოსკოვი — 1975 წ.).

ამ ავტორთა აზრით, საბჭოთა სამართლის სისტემაში, სასამართლო პრაქტიკა შეფარდებით დამოუკიდებელი ობიექტური მოვლენაა, რომელსაც აქვს თავისი, მარტო მისთვის დამახასიათებელი შინაარსი, თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფორმები. სასამართლო პრაქტიკა, მათი აზრით, ერთიანობაა: 1) სამართლებრივი ნორმების შეფარდების იმ სასამართლო საქმიანობასთან, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრული სამართლებრივი დებულებების შემუშავებასთან შესაფარდებელი ნორმების აზრისა და შინაარსის გახსნის საფუძველზე მათს კონკრეტიზაციასა და დეტალიზაციასთან, და 2) ასეთი საქმიანობის შედეგისა (თვით სამართლებრივი დებულებების). მაშასადამე სასამართლო პრაქტიკა ერთდროულად ასეთი სასამართლო საქმიანობის დინამიკა და სტატიკაა მათს ერთიანობაში. სამართლებრივი დებულებების შემუშავება ხდება როგორც გარკვეული კატეგორიის საქმეების გამო მრავალი ანალოგიური სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადოების საფუძველზე (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პლენუმების დადგენილებები), ისე იმ გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომლებიც გამოტანილია რომელიმე სასამართლო ინსტანციის მიერ კონკრეტული საქმის გამო, მაგრამ რომელსაც აითვისებს და მიიღებს სასამართლო პრაქტიკა როგორც ანალოგიურ საქმეთა გამო **გადაწყვეტილების** მიღების ნიმუშს (ე. წ. „ახსნა-განმარტების **პრეცედენტი**").

სამართლებრივი დებულება როგორც ცნება, ამ ავტორების აზრით, — **ახალი იურიდიული ცნებაა,** რომელიც მოიცავს სახელმძღვანელო მითითებებს და ახსნა-განმარტების პრეცედენტებს.

სახელმძღვანელო მითითებებს და ახსნა-განმარტების პრეცენდენტებს აქვს საერთო ნიშნები: სახელმძღვანელო მითითებებისა და ახსნა-განმარტების პრეცედენტების წარმოშობის წყაროა სასამართლო ორგანოების საქმიანობა სამართლებრივი ნორმების შეფარდების ხაზით; როგორც სახელმძღვანელო მითითებანი, ისე სამართლებრივი ნორმების შეფარდების პრეცედენტები ახდენს ზოგადი სამართლებრივი ნორმების კონკრეტიზაციას; როგორც სახელმძღვანელო მითითებანი, ისე სამართლებრივი ნორმების შეფარდების პრეცედენტები შეიცავს ზოგად დებულებებს, ე. ი. დასკვნებს, პრინციპებს სამართლებრივი ნორმების შეფარდების შესახებ; როგორც სახელმძღვანელო მითითებებს, ისე სამართლებრივი ნორმების შეფარდების პრეცენდენტებს სასამართლოები ითვალისწინებენ ანალოგიური საქმეების გადაწყვეტის დროს; როგორც სახელმძღვანელო მითითებებს, ისე სამართლებრივი ნორმების შეფარდების პრეცედენტებს აქვს ავტორიტეტის ძალა, და არა ძალის ავტორიტეტი.

ამავე დროს სახელმძღვანელო მითითებებს და სამართლებრივი ნორმების შეფარდების პრეცედენტებს აქვს განმასხვავებელი ნიშნები; სახელმძღვანელო მითითებებს აქვს ოფიციალური ქვენორმატიული ხასიათი, რაც არა აქვს სამართლებრივი ნორმების შეფარდების პრეცედენტებს. სახელმძღვანელო მითითებები იქმნება გარკვეული კატეგორიის საქმეთა განზოგადოების შედეგად, ხოლო სამართლებრივი ნორმების შეფარდების პრეცედენტები — კონკრეტული საქმიდან; სახელმძღვანელო მითითებებს იღებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოების პლენუმები, ხოლო სამართლებრივი ნორმის შეფარდების პრეცედენტი შეუძლია შექმნას ყოველმა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველწლიური აღნიშვნა უთუოდ უწყობს ხელს მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას დეკლარაციის პრინციპების განსახორციელებლად; 1975 წლის 20 ნოემბერს კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ თავის XXXI სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1979 წელი, როცა ბავშვის უფლებათა დეკლარაციას 20 წელი უსრულდება, გამოცხადდეს ბავშვის საერთაშორისო წელიწადად. ამ ღონისძიების მიზნად გენერალურმა ასამბლეამ აღიარა ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად საყოველთაო ბრძოლის აქტივიზაცია და მოუწოდა ყველა სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გააფართოონ მეცადინეობა ბავშვთა კეთილდღეობის სტაბილური გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

ყოველივე ეს მართლაც გადაუდებელი საჭიროებაა. ამჟამად დედამიწაზე 15 წლამდე ასაკის ბავშვთა რიცხვმა მილიარდ-ნახევარს გადააჭარბა; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მოპოვებული ინფორმაციით მათი მესამედი ძალიან ცუდ პირობებშია. ამიტომაც ჯერ კიდევ ძალიან მაღალია ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი (განვითარებადს ქვეყნებში ყოველი მეხუთე ბავშვი კვდება, სანამ ხუთი წლისა გახდებოდეს); კაპიტალის სამყაროში შიმშილის გამო 52 მილიონი ბავშვი იძულებული გახდა სკოლა მიეტოვებინა და ფიზიკური შრომა დაეწყო... და კიდევ მრავალი ამგვარი მონაცემის მოყვანა შეიძლებოდა, საიდანაც მხოლოდ ერთი დასკვნა გამომდინარეობს: ბავშვის უფლებათა დეკლარაციის პრინციპების განხორციელება მთელმა კაცობრიობამ უნდა მიიჩნიოს თავის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად, რომლის გადაწყვეტის ყველაზე უფრო რეალურ შესაძლებლობას მოგვცემდა გამალებული შეიარაღების შეწყვეტის შედეგად გამოთავისუფლებული სახსრები, სახელმწიფოების მთავრობათა კეთილი ნება და იმის ღრმა შეგნება, რომ ჩვენ გვაკისრია პასუხისმგებლობა მომავალ თაობათა კეთილდღეობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილით დასჯის გამოყენების ისტორიიდან

ჯ. ხეცურიანი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

იურისპრუდენციის არც ერთ პრობლემას არ გამოუწვევია ისეთი ცხოველი ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა, როგორც სიკვდილით დასჯას. კაცობრიობას დღემდე ვერ გადაუწყვეტია ან უკეთეს შემთხვევაში ვერ დაურწმუნებია საკუთარი თავი, არის თუ არა აუცილებელი და საჭირო სასჯელის ეს სახე. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი მრავალჯერ შემოუღიათ და ასევე მრავალჯერ გაუუქმებიათ მთელ რიგ ქვეყნებში. სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, საზოგადოებრივი აზრი ხან იწონებს სიკვდილით დასჯას და ხან უარყოფითად ეკიდება მას. ერთსა და იმავე ქვეყანაში ამ საკითხზე განსხვავებული აზრი აქვს მოსახლეობის სხვადასხვა ფენას, სხვადასხვა ასაკის, განათლების თუ სქესის პირებს[1].

სიკვდილით დასჯის პრობლემა დიდი ხანია გასცდა წმინდა იურისპრუდენციის ფარგლებს. მასზე სამართლისმცოდნეებთან ერთად მსჯელობენ ფილოსოფოსები, ეთიკოსები, სოციოლოგები, ლიტერატორები. არ დარჩენილა ალბათ არცერთი ცნობილი პრროვნება, რომელიც არ შეხებოდეს ამ პრობლემას და არ გამოეთქვას მასზე საკუთარი აზრი. პოლემიკა ამ საკითხის ირგვლივ დღესაც გრძელდება.

მოსაზრებები, რომლებიც სიკვდილით დასჯის თაობაზეა გამოთქმული, ბუნებრივად, სამ ძირითად მიმდინარეობად ჩამოყალიბდა.[2]

პირველი მიმდინარეობა საერთოდ უარყოფს სიკვდილით დასჯას როგორც სასჯელის ზომას და მოითხოვს მის სრულ გაუქმებას.[3]

მეორე მიმდინარეობა თეორიულად ამართლებს სიკვდილით დასჯის გამოყენებას და მოითხოვს მის შენარჩუნებას ან შემოღებას.

მესამე პრინციპულად ურიგდება სასჯელის ამ სახეს, ოღონდ მოითხოვს მისი გამოყენების სფეროს შეზღუდვას. ყველაზე უფრო მეტი მომხრეები მესამე მიმდინარეობას ჰყავს.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით შეძლებისდაგვარად გავაანალიზოთ ის ძირითადი, არსებითი ხასიათის არგუმენტები, რომლებითაც სიკვდილით დასჯის მომხრენი და მოწინააღმდეგენი ასაბუთებენ თავიანთ პოზიციებს. უწინარეს ყოვლისა განვიხილოთ პირველი მიმდინარეობის წარმომადგენლების არგუმენტები.

1. ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად სიკვდილით დასჯის მომხრეებს ის მიაჩნიათ, რომ ამ სასჯელს აქვს დიდი გამაფრთხილებელი, პრევენციული მნიშვნელობა, რომ მისი გაუქმება გამოიწვევს საერთოდ დამნაშავეობის, განსაკუთრებით კი მძიმე დანაშაულობის ზრდას. მათი შეხედულებით, რადგანაც სიცოცხლე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სიკეთეა, რაც ადამიანს გააჩნია, ამდენად დანაშაულის ჩადენისათვის მისი წართმევის მუქარა არის დანაშაულის თავიდან აცილების ყველაზე უფრო ეფექტიანი საშუალება.

ცნობილი იურისტის, პროფესორ პ. ლოდის აზრით, სიკვდილით დასჯა მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფის აუცილებელი საშუალებაა. სიკვდილით დასჯის, ისე როგორც სხვა სასჯელების მთავარი მიზანია

---

[1] Capital Punisment, United Nations, Department of Economic and Social Affairs, New York, 1962, § 203–212 1967, § 162–163.

[2] Г. З. Анашкин. Смертная казнь в капиталистических государствах. «Юридическая лит-ра», М., 1971, стр. 68.

[3] ამ მიმდინარეობის მომხრეებს სხვაგვარად აბოლიციონისტებსაც უწოდებენ. აბოლიციონისტი ინგლისური სიტყვაა და თავის მხრივ მომდინარეობს ლათინური abolitio-დან, რაც გაუქმებას, მოსპობას ნიშნავს. სიტყვა „აბოლიციონიზმით“ აღნიშნავენ საზოგადოებრივ მოძრაობას, რომლის მიზანია ამა თუ იმ კანონის გაუქმება. ამ სიტყვით XVIII საუკუნის დამლევს და XIX საუკუნის დამდეგს აღნიშნავდნენ მოძრაობას მონობის, კერძოდ კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ზანგთა მონობის გასაუქმებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსიქოლოგიური ზემოქმედებით აიძულოს პიროვნება თავი შეიკავოს დანაშაულის ჩადენისაგან.[4]

ეს არგუმენტი, ერთი შეხედვით, იმდენად დამაჯერებელია, რომ მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში იგი სიკვდილით დასჯის ფართო გამოყენების საფუძველი და, შეიძლება ითქვას, მთავარი მიზეზიც კი გახდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ ძველი ქვეყნების კანონების მიხედვით სიკვდილით დასჯა უმნიშვნელო სამართალდარღვევებისთვისაც კი იყო გათვალისწინებული. მაგალითად, ძველ რომში XII ტაბულის კანონებით სიკვდილით ისჯებოდა მოვალე, რომელსაც არ გამოისყიდდნენ ან არ ყიდულობდნენ; სიკვდილით ისჯებოდა აგრეთვე ისიც, ვინც თხზავდა ან მღეროდა სხვის შესახებ ცილისმწამებლურ სიმღერას. ძველ საბერძნეთში დრაკონის კანონების მიხედვით მკვლელობის თანაბრად სიკვდილით ისჯებოდა ბოსტნეულისა და ხილის ქურდობა.[5] ამ მხრივ არც ფეოდალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა ჩამორჩებოდა მონათმფლობელურს. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი „კაროლინა", რომელიც 1532 წელს შემოიღო სამოქმედოდ იმპერატორმა კარლოს V-მ, სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა 44 სახის დანაშაულისათვის. ხოლო ე. ვ. ტარლეს მტკიცებით, XVI საუკუნის ინგლისში სიკვდილით ისჯებოდა ისეთი უმნიშვნელო დანაშაულებრივი ქმედობები, როგორიც იყო ერთ შილინგზე მეტი ღირებულების ნივთების ქურდობა, სხვის ტყეში ხის მოჭრა და სხვა.[6]

სიკვდილით დასჯის პრევენციულ-გამაფრთხილებელ მნიშვნელობაზე გაზვიადებულმა წარმოდგენამ განაპირობა ისიც, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოებიც არ დარჩენილან გულგრილნი ამ სასჯელის გამოყენებისადმი და მათ კანონმდებლობაში სიკვდილით დასჯას ფართო ასპარეზი მიეცა. თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობების მიხედვით სიკვდილით დასჯა საერთო ანკარიშით გათვალისწინებულია 30 სახის დანაშაულისათვის. სხვა დანაშაულთა გვერდით სიკვდილით დასჯა დაწესებულია ისეთი ქმედობებისთვისაც, როგორიც არის მდვდლის (რელიგიის მსახურის) ცემა; ძალადობა ისეთი იარაღით, რომლითაც შეიძლებოდა პიროვნების მოკვლა (აშშ—ტენესის შტატი); აბორტი, რომელმაც გამოიწვია ქალის სიკვდილი (აშშ — კენტუკის შტატი), უბრალო აბორტი (აშშ — ჯორჯიის შტატი); ავღანეთის კანონმდებლობით სიკვდილით ისჯება ცოლქმრული ერთგულების დარღვევა ქალის მიერ და სხვ.[7]

სიკვდილით დასჯის გამაფრთხილებელი და დამაშინებელი მნიშვნელობის ზედმეტად შეფასების შედეგია ისიც, რომ საუკუნეების განმავლობაში თითქმის ყველა ქვეყანაში ამ სასჯელს საჯაროდ აღასრულებდნენ. ამ მიზნისათვის დიდი ქალაქების მოედნებზე აღმართული იყო ქვის სპეციალური მყარი ნაგებობები, სადაც განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ ქალაქის მოსახლეობის თანდასწრებით[8].

სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულების წესს დღესაც ითვალისწინებს ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა. მაგალითად, სალვადორში სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანა, თუკი ეს შესაძლებელია, უნდა მოხდეს იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი, ხოლო ფილიპინებში სიკვდილით დასჯა საჯაროდ შეიძლება მოეწყოს გუბერნატორის განკარგულებით. თვით ისეთ ცივილიზებულ ქვეყანაშიც კი, როგორიც საფრანგეთია, 1939 წლის 27 ივლისის კანონის მიღებამდე სიკვდილით დასჯა გილიოტინით საჯაროდ სრულდებოდა განაჩენში მითითებულ მოედანზე.

2. შემდეგი არგუმენტი, რომელიც სიკვდილით დასჯის მომხრეებს მოჰყავთ, ის არის, რომ ამ სასჯელის გამოყენებით დამნაშავეს ესპობა საშუალება ჩაიდინოს სხვა დანაშაული. ერთი სიტყვით, დამნაშავის ფიზიკური მოსპობით თავიდან ვიცილებთ მისგან მოსალოდნელ და შესაძლებელ სხვა მძიმე დანაშაულს. მათი აზრით, არიან ადამიანები, რომელთა გამოსწორება და ხელახლა აღზრდა შეუძლებელია, ამიტომ საზოგადოებას უფლება აქვს თავი დაიცვას მათგან. სოციალური დაცვის ყველაზე ეფექტიან საშუალებად კი მათ მიაჩნიათ დამნაშავის სიკვდილით დასჯა. ამგვარად, სიკვდილით დასჯა მიჩნეულია სოციალური დაცვის იძულე-

[4] П. Людий. Теория общих прав, СПБ, 1828, стр. 124, 166, 169.
[5] В. С. Сергеев. История Древней Греции, М., 1963, стр. 171.
[6] Е. В. Тарле. Общественные воззрения Томаса Мора, СПБ, 1901, стр. 117.
[7] Г. З. Анашкин. Смертная казнь в капиталистических государствах, стр. 87 — 98.
[8] ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი სახრჩობელა აღმართული იყო პარიზში, რომელიც ცნობილი იყო „მონტფიკონ"-ის სახელწოდებით.

ბით ღონისძიებად. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ერთ-ერთი ინგლისელი მოსამართლის სიტყვები: თუ თქვენ დამნაშავეს ინგლისის საპატიმროში მოათავსებთ, მალე მისგან მიიღებთ უფრო უარეს პიროვნებას დამნაშავის მთელი კომპლექსებით. ხოლო თუკი მათ გადაასახლებთ ოკეანის გაღმა ტერიტორიებში, ამით კიდევ უფრო გაამრავლებთ დამნაშავეობის თესლს და გარყვნით ხალხებს, რომლებიც პატიოსნად ცხოვრობენ. დღევანდელ საზოგადოებაში არ არის საშიში დამნაშავის გამოსწორების საშუალება, ამიტომ საზოგადოებისთვისაც და თვით დამნაშავისთვისაც უკეთესი იქნება, თუკი მას ჩამოახრჩობენ.[9] რევოლუციამდელი რუსი იურისტის, პროფესორ ს. ბ. ბარშევის აზრით, მხოლოდ სიკვდილით დასჯა, რომელიც ფიზიკურ საშუალებას უსპობს დამნაშავეს შემდგომში ჩაიდინოს დანაშაული, შეიძლება განცილულ იქნეს სასჯელის ყველაზე უფრო მიზანშეწონილ სახედ.[10] ეს მოსაზრება უშუალოდ აისახა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაშიც. მაგალითად, ეკატერინეს განაწესის 205-ე მუხლში ჩაწერილი იყო: **«Намерение установленных наказаний не то, чтоб мучити тварь, чувствами одаренную; они на тот конец предписаны, чтобы воспрепятствовать виноватому, дабы он впредь не мог вредить обществу и чтобы отвратить граждан от соделания подобных преступлений»**[11].

საზოგადოების დაცვის, მის წევრთა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების ინტერესები იმდენად დიდი სოციალური მნიშვნელობისაა, რომ ზოგიერთ ავტორს ,რომელიც არსებითად სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია, შესაძლებლად მიაჩნია მისი გამოყენება ზემოაღნიშნული მოტივებით. მაგალითად, ვოლტერი, რომელიც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილაშქრებდა და ცდილობდა დაესაბუთებინა მისი მიზანშეუწონლობა, ამავე დროს თვლიდა, რომ როცა არ არსებობს მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის სხვა საშუალება, მაშინ დამნაშავე უნდა განადგურდეს, როგორც „ცოფიანი ძაღლი“.[12] ჟან-ჟაკ რუსოს აზრით, თითოეული დამნაშავე, რომელიც თავს ესხმის საზოგადოებრივ სამართალს, თავისი დანაშაულის წყალობით იქცევა მეამბოხედ და სამშობლოს გამცემად; არღვევს რა ამ უკანასკნელის კანონებს, იგი უკვე აღარ არის მისი წევრი; იგი ებმება მის წინააღმდეგ ომში. ასეთ პირობებში სახელმწიფოს არსებობა შეუთავსებელი ხდება დამნაშავის არსებობასთან; აუცილებელია ერთ-ერთი მათგანი დაიღუპოს; და როცა დამნაშავეს სჯიან, მას სიცოცხლეს ართმევენ როგორც მტერს და არა როგორც მოქალაქეს.[13] რუსოს ეს აზრი შემდეგში გაიზიარა ცნობილმა დეკაბრისტმა ა. ბ. კუნიცინმა. მისი აზრით, დამნაშავე დანაშაულის ჩადენის შემდეგ სახელმწიფოს მტერი ხდება. თუ გარეშე მტრების მოკვლა ნებადართულია, რატომ არ შეიძლება შინაური მტრების განადგურება?[14] — წერს იგი. ამავე მოსაზრებით სიკვდილით დასჯის გამოყენებას ხმარს უჭერდა, ჩეზარე ბეკარია[15] და სხვები.

3. სიკვდილით დასჯის მომხრენი აღნიშნავენ, რომ პიროვნების დასჯა ყოველთვის გულისხმობს სამაგიეროს გადახდას, სამაგიეროს მიზღვას, შურისძიებას.[16] ამიტომ მათი აზრით, რადგანაც დამნაშავე უნდა დაისაჯოს მის მიერ ჩადენილი ბოროტების შესაბამისად, ამდენად მკვლელობისათვის და სხვა მძიმე დანაშაულისათვის სამაგიეროს გადახდის ერთადერთი საშუალება სიკვდილით დასჯაა. პლატონის აზრით, სიკვდილით უნდა დაისაჯონ მკვლელები, **«чтобы человек неизбежно подвергся сам тому, что он совершил»**[17].

სასჯელის ასეთი გაგება განსაკუთრებით მკაფიოდ მოჩანს გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის წარმომადგენლების კანტისა და ჰეგელის შრომებში. კანტი სასჯელის სა-

---

[9] G. Godwin. Crime and Social Action. London, 1956, p. 115.

[10] С. Б. Баршев. О мере наказаний, М., 1840, стр. 15.

[11] Наказ ее императорского величества Екатерины Второй. С.—Петербург, 1796, стр. 77.

[12] Ф. М. Вольтер. Избранные произведения по уголовному праву и процессу, М., 1956, стр. 225.

[13] Ж.—Ж. Руссо. Об общественном договоре, М., 1938, стр. 29.

[14] Избранные социально-политические и философские произведения декабристов, т. I, М., 1951, стр. 618.

[15] Чезаре Беккариа. О преступлениях и наказаниях, М., 1939, стр. 316—317.

[16] სწორედ ამ მოსაზრებაზეა აგებული ყველასათვის ცნობილი ტალიონის პრინციპი — „jus talionis“ — „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ, სისხლი სისხლისა წილ“.

[17] Платон, Законы и послесловия к законам, т. XIV, Петроград, 1923, стр. 107.

ფუძვლად მიიჩნევდა ჩადენილი დანაშაულის შესაბამის შურისძიებას, სამაგიეროს მიზღვას. თუ დამნაშავე ვინმეს კლავს — აღნიშნავდა კანტი, — იგი უპირველეს ყოვლისა კლავს საკუთარ თავს. მხოლოდ სრულ შურისძიებას შეუძლია ზუსტად დაადგინოს სასჯელის რაოდენობა და ხარისხი. შურისძიება ბოროტებით ბოროტების წინააღმდეგ არის სასჯელის საფუძველი. რამდენი მკვლელია ასკვნის კანტი იმდენი უნდა დავსაჯოთ სიკვდილით: ასე სურს სამართლიანობას.[18]

ჰეგელის მიხედვით, დამნაშავე სამართლის დარღვევას აცხადებს თავის უფლებად. მისი დანაშაული სამართლის უარყოფაა, ხოლო სასჯელი ამ „უარყოფის უარყოფა", „მოხსნილი დანაშაული", დარღვეული სამართლის აღდგენა. ამის საფუძველზე ჰეგელი სასჯელს მიიჩნევდა შურისძიებად, სამაგიეროს მიზღვად ჩადენილი ქმედობისათვის. ამიტომ მკვლელობა, ჰეგელის აზრით, აუცილებლად სიკვდილით უნდა ისჯებოდეს.[19]

ამავე თვალსაზრისს ადგას რევოლუციამდელი რუსი პროფესორი ს. დესნიცკი. იგი მიიჩნევდა, რომ სიკვდილით დასჯას საფუძვლად უდევ შურისძიების გრძნობა („мздовоздояния злом на зло")[20].

სიკვდილით დასჯის, როგორც სამაგიეროს მიზღვის, შურისძიების საშუალებად გაგება აისახა კანონმდებლობაშიც. ძველი ქვეყნების სამართლის ძეგლები პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ სიკვდილით დასჯა დაწესებულია სამაგიეროს მიზღვის, შურისძიების, სამაგიეროს გადახდის მიზნით. მაგალითად, მოკლე **«Русская Правда»** — ში (XIს) მითითებული იყო: **«Если убъет человек человека, то пусть мстит брат за брата, сын за отца, отец за сына, племянник за дядю и тетку»**[21].

გერმანიაში ძველად გაუპატიურებისათვის, ბავშვთა მკვლელობისა და სხვა დანაშაულისათვის გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯის ისეთი სახეობა, როგორიც არის პალოს გაყრა მკერდში. წვერწამახვილებულ მუხის პალოს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დამაგრებულ დამნაშავეს მკერდზე დაადებდნენ და შემდეგ ჩაასობდნენ მას. აღსანიშნავია, ამ სახის სასჯელის აღსრულების ერთი საყურადღებო დეტალიც, რომელშიც ნათლად მოჩანს შურისძიების, სამაგიეროს მიზღვის მომენტი, კერძოდ, პირველ სამ დარტყმას პალოზე, როგორც წესი, აკეთებდა დანაშაულისაგან დაზარალებული მხარე, დანარჩენს კი ჯალათი.[22]

სამაგიეროს მიზღვით იყო ნაკარნახევი ისიც, რომ დამნაშავეს სჯიდნენ ისეთი საშუალებებით, რომლებიც მას მაქსიმალურ ტანჯვასა და წამებას მიაყენებდა. ისტორიამ შემოგვინახა სიკვდილით დასჯის მრავალი სახე, რომლებსაც სხვანაირ ახსნას ვერ მოვუძებნით. ასეთი იყო, მაგალითად, სარზე ჩამოცმა, ნაწლავების გამოღება, დაბორბვლა, ოთხად გაპობა, შიმშილით სულის ამოხდა, დამნაშავის მიგდება მხეცების დასაგლეჯად ან გასათელად მიცემა, ადუღებულ წყალში ჩაგდება, ცოცხლად დამარხვა და სხვ. არცთუ ისე შორეულ წარსულში მათ იშვიათად როდი იყენებდნენ.

4. სიკვდილით დასჯის მომხრეები აღნიშნავენ, რომ ეს სასჯელი ერთადერთია, რომლის გამოყენებაც შეიძლება განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. შეუძლებელია სიკვდილით დასჯის შეცვლა სასჯელის ისეთი სახით, რომელიც მისი ეკვივალენტური იქნება. რაც შეეხება სამუდამო პატიმრობას, რომელსაც ზოგიერთი ავტორი სიკვდილით დასჯის მომხრეებს სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ სთავაზობს მას მიუღებლად თვლიან შემდეგი გარემოებების გამო:

ჯერ ერთი, განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ სიკვდილით დასჯის გამოყენება, ე. ი. მათი მოსპობა საზოგადოების გარკვეულ მორალურ კმაყოფილებას იწვევს. ამ აქტით ადამიანებს ექმნებათ შთაბეჭდილება, თითქოს ისინი მორალურად უფრო მაღლა დგანან დამნაშავეზე. ამიტომ საზოგადოებრივი აზრი ვერასდროს ვერ შეეგუება იმ ფაქტს, რომ უმძიმესი, ხშირად კი უსასტიკესი დანაშაულის ჩამდენს რჩება სიცოცხლის უფლება.

მეორე, სიკვდილით დასჯა უფრო საიმედოა, ვიდრე სამუდამო პატიმრობა, რადგანაც

---

[18] Кант. Метафизика нравов. Метафизические начала учения о праве, СПБ, 1903, стр. 58—59.

[19] Гегель, Философия права, Соч. т. VII, стр. 115—117; В. С. Нерсесянц, Гегеловская философия права, «Наука», М., 1974, стр. 81—82.

[20] С. Десницкий. Слово о причинах смертных казней по делам криминальным, М., 1770, стр. 11—19.

[21] Памятники русского права, выпуск первый, Госюриздат, 1952, стр. 77.

[22] А. Ф. Кистяковский. Исследование о смертной казни. С.—Петербург, 1836, стр. 254.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უკანასკნელის დროს მსჯავრდებულს შეესაძლებელია შეეხოს ამნისტია.

მესამე, სიკვდილით დასჯა უფრო ეკონომიურია, ვიდრე სამუდამო პატიმრობა. სიკვდილით დასჯის შეცვლა სამუდამო პატიმრობით იწვევს იმას, რომ განსაკუთრებით საშიში დამნაშავეების შენახვა მძიმე ტვირთად აწვება იმ საზოგადოებას, რომელსაც მან ზიანი მიაყენა.

მეოთხე, გარკვეული თვალსაზრისით სამუდამო პატიმრობა უფრო მძიმე სასჯელია, ვიდრე სიკვდილით დასჯა. სიკვდილით დასჯა ზნეობრივად და ფსიქოლოგიურად უფრო ჰუმანური საშუალებაა, ვიდრე სამუდამო პატიმრობა[23].

5. დაბოლოს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელიც სიკვდილით დასჯის მომხრეებს მოჰყავთ, ის გარემოებაა, რომ საზოგადოებრივი აზრი ფაქტიურად იწონებს სიკვდილით დასჯას. ამის დასასაბუთებლად მოჰყავთ სხვადასხვა ფაქტი. მაგალითად, ხალხს ზოგჯერ თვით შეუსრულებია ჯალათის მოვალეობა უმძიმესი დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, ზოგიერთ ქვეყანაში თვით ხალხს მოუთხოვია სიკვდილით დასჯის შემოღება და სხვ[24]. თანამედროვე ავტორები იშველიებენ სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებს, რომლებიც შესრულდა საფრანგეთში, საბერძნეთში, თურქეთში, ესპანეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და ევროპისა და ამერიკის სხვა ქვეყნებში. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შერჩევითი ანკეტური გამოკვლევების მიხედვით 1952 წელს სიკვდილით დასჯის შემოღების მომხრე იყო გამოკითხულთა 55 პროცენტი, 1957 წელს — 72 პროცენტი, ხოლო 1958 წელს — 75 პროცენტი.[25]

ასეთია ძირითადად ის არგუმენტები, რომლებითაც სიკვდილით დასჯის მომხრენი ახასიათებენ სასჯელის ამ უმაღლესი და უკიდურესი ზომის გამოყენების აუცილებლობას.

ახლა განვიხილოთ ის მოსაზრებები, რომლებითაც სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეები ცდილობენ სიკვდილით დასჯის მომხრეთა არგუმენტების გაბათილებას და ამ სასჯელის მიზანშეუწონლობისა და არასამართლიანობის დასაბუთებას.

1. პირველი, რაზეც სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეები, ე. ი. აბოლიციონისტები მიუთითებენ, არის ის, რომ სიკვდილით დასჯა თავისი ბუნებით სასჯელის პრინციპის უარყოფაა. ცნობილია, რომ სასჯელის მიზნებია, ერთი მხრივ, დამნაშავის გამოსწორება, მისი გაფრთხილება, რომ მომავალში არ ჩაიდინოს აკრძალული ქმედობა (კერძო პრევენცია) და, მეორე მხრივ, საზოგადოების სხვა წევრების გაფრთხილებაც, რომ მათაც თავი შეიკავონ ასეთი მოქმედებისაგან (ზოგადი პრევენცია). სიკვდილით დასჯის გამოყენების დროს კი სასჯელი ვერ ასრულებს თავის უპირველეს მიზანს, რაც დამნაშავის გამოსწორებას გულისხმობს. დამნაშავე ფიზიკურად ნადგურდება, ხდება მისი მთლიანი უარყოფა, ამით მას არ რჩება გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის შესაძლებლობა. დამნაშავის დასჯა ასეთ შემთხვევაში ემსახურება მხოლოდ სხვების გაფრთხილებისა და დაშინების მიზანს. ამასთან დაკავშირებით მეტად ნიშანდობლივია კ. მარქსის სიტყვები: «Наказание как правило, оправдывалось как средство либо исправления, либо устрашения. Но какое право вы имеете наказывать меня для того, чтобы исправлять или устрашить других»[26].

სიკვდილით დასჯის გამოყენებისას ჩვენ ხშირად სიცოცხლეს ვუსპობთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც უკვე ნანობენ მათ მიერ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულს და მზად არიან გამოისყიდონ თავიანთი ბრალი. ამიტომ დამნაშავის სიკვდილით დასჯის გამართლება ასეთ შემთხვევაში, — დაასკვნის ა. ფ. კისტიაკოვსკი, — სხვა არა არის რა, თუ არა ცხოველური შურისძიება.[27]

სიკვდილით დასჯის მომხრეთა აზრით, სასჯელის ეს ზომა აუცილებელია გამოუსწორებელი დამნაშავეების მიმართ. მაგრამ ხშირად,

---

[23] Г. З. Анашкин. Смертная казнь в капиталистических государствах, М., 1971, стр. 78-86. ლიტერატურაში ხშირად მოჰყავთ მაგალითი, როცა დამნაშავემ, რომელიც შეიწყალეს და სიკვდილით დასჯა შეუცვალეს სამუდამო პატიმრობით, თვითმკვლელობა ამჯობინა ციხეში სამუდამოდ ყოფნას, 1759 წელს კი, როცა ინგლისის მეფემ 23 დამნაშავეს სიკვდილით დასჯა შეუცვალა სამუდამო კატორღით, ექვსმა მსჯავრდებულმა უარი თქვა შეწყალებაზე И. С. Джабадари, Смертная казнь в связи с правом наказания. С.—Петербург, 1895, стр. 160—161).

[24] М. Н. Гернет. Смертная казнь, М., 1913, стр. 1—34.

[25] «Capital Punishment», 1967, S. 162.

[26] К. Маркс. Смертная казнь. — Памфлет г-на Кобдена. — Мероприятия Английского банка, Соч., т. 8, стр. 530.

[27] А. Ф. Кистяковский, მითითებული შრომა, გვ. 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნავს ი. ი. ფოინიცკი, გამოუსწორებელი დამნაშავეა არა მძიმე დანაშაულის ჩამდენი, არამედ წვრილმანი ხულიგანი, ქურდი და ა. შ., რომლებიც მზად არიან ყოველგვარ ხელსაყრელ მომენტში ჩაიდინონ დანაშაული. ამიტომ თუ დავუშვებთ, რომ სიკვდილით დასჯა საჭიროა გამოუსწორებელი დამნაშავის მიმართ მაშინ იგი უპირველესად უნდა გამოვიყენოთ არა მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირებისადმი, არამედ შედარებით ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების დანაშაულის ჩამდენისადმი. ამ მოსაზრების გამო ი. ი. ფოინიცკი სიკვდილით დასჯას არ მიიჩნევს აუცილებელ და მიზანშეწონილ სასჯელის ზომად.[28]

2. აბოლოციონისტები იმითაც ასაბუთებენ თავიანთ პოზიციას, რომ სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანის შემდეგ ფაქტიურად შეუძლებელია სასამართლო შეცდომების გამოსწორება. პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ ასეთი შეცდომები არცთუ ისე იშვიათია. ამერიკელი კრიმინოლოგის დ. მაკნამარას გამოანგარიშებით, 406 მსჯავრდებულიდან, რომლებიც 1886—1927 წლებში სიკვდილით იქნენ დასჯილნი „სინგ-სინგ"-ის საპატიმროში, 50 შეცდომით იყო გასამართლებული.[29]

მართლმსაჯულებას, აღნიშნავს მ. ნ. გერნეტი, ჯერ არ მიუღწევია ისეთი ორგანიზებულობისათვის, რომლის დროსაც გამორიცხება სასამართლო შეცდომები. რუსულმა სინამდვილემ იცის სიკვდილით დასჯის განაჩენის შეცდომით გამოტანის რამდენიმე შემთხვევა. ზოგი მათგანი თავიდან იქნა აცილებული, ზოგი კი — სისრულეშია მოყვანილი.[30]

ამ აზრის საბუთად მ. ნ. გერნეტს იქვე მოყავს მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან.

ეჭვი არ არის, წერდა ა. ფ. კისტიაკოვსკი, რომ ძველ დროში უდანაშაულოთა დასჯა ხშირად ხდებოდა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ ჭეშმარიტების დადგენის საშუალებები მაშინ უკიდურესად არასრულყოფილი იყო. წამება, სასამართლო წარმოების გასაიდუმლოება, დამცველის არარსებობა, მოსამართლეთა მიდრეკილება ბოროტი განზრახვა დაენახათ იქ, სადაც ის არ არის და სხვა, ხელს უწყობდა უდანაშაულოთა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას. სასამართლო წარმოების ფორმების გარდაქმნამ და ჭეშმარიტების დადგენის საუკეთესო საშუალებების გამონახვამ თითქმის მთლიანად მოსპო ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობდა უდანაშაულოთა დასჯას. შესაბამისად, მათი რიცხვიც ძალზე შემცირდა. ამასთან ერთად, თანამედროვე პერიოდშიც ისე არ გაივლის წელი, რომ საზოგადოებამ არ შეიტყოს უდანაშაულოთა დასჯის ფაქტი ამა თუ იმ ქვეყანაში. ამის მიზეზია, აღნიშნავს ა. ფ. კისტიაკოვსკი, არა რაიმე დროებითი გარემოებები, არამედ ადამიანის ბუნების არასრულყოფილება.[31]

3. სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეები ილაშქრებენ სასჯელის, როგორც სამაგიეროს მიზღვის, შურისძიებად გაგების წინააღმდეგ. ტალიონის პრინციპის მომხრეებს ვოლტერი ეკითხება: გეკნებათ თქვენ ერთი თვალით მეტი, თუ იმას, ვინც დაგაბრმავათ, ერთი თვალით ნაკლები გაუხდება? გაცოცხლდება თქვენი ძმა, თუ მე წამებით მოვკლავ მის მკვლელს?[32]

სასჯელის მიზანია, — წერდა ბეკარია, — არა ადამიანის წამება და გვემა, არამედ ის, რომ ხელი შეუშალოს დამნაშავეს კვლავ ჩაიდინოს დანაშაული და თავი შეაკავებინოს სხვებსაც ანალოგიური ქმედობის ჩადენისაგან.[33]

---

[28] И. Я. Фоиницкий. Учение о наказании. СПБ, 1889, стр. 151.

[29] Г. З. Анашкин. Смертная казнь в капиталистических государствах, стр. 71.

[30] М. Н. Гернет. Смертная казнь, М., 1913, стр. 148.

[31] А. Ф. Кистяковский. Исследование о смертной казни, стр. 60. სიკვდილით დასჯის მომხრეები ამ არგუმენტის საპასუხოდ აღნიშნავენ, რომ, ჯერ — ერთი, ასეთი შეცდომა იშვიათია და, მერეც , თუ დავდებთ სასწორზე ადამიანთა სიცოცხლეს, რომელიც დაკარგულია სიკვდილით დასჯის არსებობით და იმ უდანაშაულოთა სიცოცხლეს, რომლებიც შეცდომით არიან სიკვდილით დასჯილნი — პირველი ყოველთვის გადასწონის მეორეს. გამომდინარე აქედან, სიკვდილით დასჯის გამოყენება მათი აზრით, უფრო შეესაბამება კაცთმოყვარეობას, ვიდრე მისი გაუქმება

(K. Mittermeier. Die Todesstrafe, nach den Ergebnissen der Wissenschaftlichen Vorschungen, der Fortschritte Gesetzgebung und der Erfarungen, Hailedberg, 1862, S. 145–148.

[32] Ф. М. Вольтер. Избранные произведения по уголовному праву и процессу, М., 1956, стр. 223.

[33] Чезаре Беккариа. О преступлениях и наказаниях, М., 1939, стр. 243.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბოლიციონისტებს ეჭვი შეაქვთ სიკვდილით დასჯის ზოგადპრევენციულ მნიშვნელობაშიც. ისინი სვამენ კითხვას: არის თუ არა სიკვდილით დასჯა ეფექტიანი საშუალება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად და გამოიწვევს თუ არა მისი გაუქმება განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა ზრდას?

ამერიკელი სენატორი ჰარტი, რომელიც მოითხოვდა საერთოდ სიკვდილით დასჯის გაუქმებას, აღნიშნავდა, რომ ერთი და იგივე დანაშაულობანი თანაბარი რაოდენობით აღინიშნება იმ ქვეყნებში, სადაც დაშვებულია სიკვდილით დასჯა, და იმ ქვეყნებშიც, სადაც იგი გაუქმებულია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სიკვდილით დასჯის გამოყენება კი არ არის გადამწყვეტი, არამედ სხვა ფაქტორები.[34]

სიკვდილით დასჯის გამართლება, წერს პ. დ. კალმიკოვი, შეუძლებელია რაიმე თეორიული თუ ფილოსოფიური მოსაზრებებით. მისი ერთადერთი საფუძველი ის არის, რომ იგი თითქოს საჭირო იყოს საზოგადოების უშიშროებისათვის, მაშინ როცა გამოცდილება მოწმობს, რომ მართლმსაჯულებას ჩვენს ქვეყანაში ოდნავაც არ დაუკარგავს თავისი სადამსჯელო ძალა სიკვდილით დასჯის არარსებობით, და რომ საზოგადოების უშიშროებას ამის გამო ჩრდილიც არ მისდგომია. ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ დადგება დრო, როცა სიკვდილით დასჯა საერთოდ ამოიშლება ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსიდან და ეს ზოგადი წესი არ დაუშვებს არავითარ გამონაკლისს ცალკეულ დანაშაულთათვის[35].

დამნაშავის დასჯისას, აღნიშნავდა ჟან-პოლ მარატი, მართლმსაჯულება უნდა ისწრაფვოდეს, რომ კანონის დამრღვევზე შური კი არ იძიოს, არამედ იზრუნოს, იმაზე, რომ მან თავი შეიკავოს სამართალდარღვევისაგან. ნუთუ ის დანაშაულობანი, რომელთა ჩადენაც უსასტიკესი ფორმებით ისჯება, ამის გამო ნაკლებ გავრცელებული გახდა? თვით საჯაროდ დასჯასაც, წერს იგი, არა აქვს ყოველთვის გამაფრთხილებელი ძალა. რამდენჯერ ჩაუდენიათ ეშაფოტთან შეკრებილ ხალხს ისეთი დანაშაული, რისთვისაც მსჯავრდებულს იქვე სიკვდილით სჯიდნენ?[36]

ცნობილი რუსი კრიმინალისტი პროფესორი ვ. სპასოვიჩი პოლიტიკური დანაშაულის მაგალითზე საინტერესო არგუმენტებით ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ სიკვდილით დასჯას არ შეიძლება ჰქონდეს დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა. პოლიტიკური დანაშაულობანი, წერდა იგი, — ხშირად ჩნდება მხოლოდ პოლიტიკურად ავადმყოფ ორგანიზმზე. იგი უტყუარი პათოლოგიური ნიშანია არადამაკმაყოფილებელი სახელმწიფოებრივი წყობილებისა... საზოგადოებრივი ხელისუფლება, რომელსაც ისინი საშიშ მტრებად მიაჩნია, სიკვდილით სჯის ამ უკანასკნელთ სხვების დაშინების მიზნით, მაგრამ ცდება, რამდენადაც იგი ფიქრობს დასჯილ პიროვნებასთან ერთად მოსპოს ის იდეა, რომლისთვისაც დამნაშავე იბრძოდა. იდეა კი ხელშეუხებადია. მომავალ დანაშაულობათა ფესვები ყოველთვის რჩება ამა თუ იმ მოკვეთილი მეამბოხე თავის ადგილზე; ეს ფესვები შემდგომში ყოველთვის ამოიყრის ახალ ყლორტებს.[37]

პროფესორ ს. პ. მოკრინსკის არ სწამს სიკვდილით დასჯის გამაფრთხილებელი მნიშვნელობა იმ მოსაზრებით, რომ ადამიანებს ძლიერი მიდრეკილება აქვთ გასწიონ სიცოცხლის რისკი. ვის არ გაუგონია, აღნიშნავს იგი, ეშაფოტთან ჩადენილი ქურდობების შესახებ, როცა იქვე სიკვდილით სჯიდნენ ქურდებს. ამაში საკვირველი არაფერია. ჩვეულება გამორიცხავს შიშს. ადამიანს რისკისადმი ყველაზე უფრო მყარი მიდრეკილება სწორედ საკუთარი სიცოცხლის მიმართ აქვს. მატროსი ან მეთევზე მშვიდად შედის ამ ზღვაში, რომელშიც მისი მამა და პაპა და-

---

[34] Hart. Abolishment of Death Penalty under all Laws of the United States. «Congressional Record», 1966. Vol. 112, № 119. ჰარტს თავისი პოზიციის განსამტკიცებლად მოჰყავს ასეთი მაგალითი: პატიმარმა, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა დახმარება გაეწია ელექტროსკამზე დასჯის აღსრულებაში, რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა ამ უკანასკნელის გასაუმჯობესებლად. როცა იგი შემდეგში გათავისუფლეს (პატიოსანი სიტყვით) ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული. იგი დაბრუნეს ციხეში და დასაჯეს მის მიერ გაუმჯობესებულ სკამზე.

[35] П. Д. Калмыков. Учебник уголовного права, СПБ, 1866, стр. 212.

[36] Ж.—П. Марат. План уголовного законодательства, стр. 47, 48. მარატს იქვე მოჰყავს ერთი საინტერესო ფაქტი, კერძოდ, ტულუზში სახრჩობელის პლატფორმის ქვეშ წლების განმავლობაში იმალებოდა მკვლელების მთელი ბანდა.

[37] В. Спасович. Учебник уголовного права. СПБ, 1863, стр. 186—187.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისრჩვნენ. მეშახტე თავისი ამხანაგის დაღუპვიდან ორი-სამი საათის შემდეგ ისევ განაგრძობს მუშაობას... არავის არ სურს სიკვდილი, მაგრამ ყველა შეეგუა აზრს, რომ ადრე თუ გვიან იგი მაინც მოკვდება, რომ სიცოცხლე და სიცოცხლის რისკი თითქმის სინონიმებია. თვით გართობებიც კი, მაგალითად, სპორტის ბევრი სახეობა, არცთუ იშვიათად დაკავშირებულია სიცოცხლის დიდ რისკთან. ამის გამო ს. პ. მოკრინსკის მიაჩნია, რომ სიკვდილით დასჯის მუქარას ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენისათვის არ შეიძლება ჰქონდეს დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა[38].

სიკვდილით დასჯა მძიმე დანაშაულობათა აღკვეთის მთავარი ფაქტორი რომ არ არის, და მას რომ დიდი გამაფრთხილებელი ძალა არა აქვს, ამას სტატისტიკური გამოკვლევებიც ადასტურებს.

ტოსკანაში სიკვდილით დასჯა რამდენჯერმე შემოიღეს და გააუქმეს. მიტერმაიერის დაკვირვებით, რომელიც ოფიციალურ მონაცემებს ეყრდნობა, სიკვდილით დასჯის გაუქმების პერიოდში არ გაზრდილა იმ დანაშაულობათა რიცხვი, რომლებზეც დაწესებული იყო ეს სასჯელი[39] ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნა შვეიცარიასა და ჰოლანდიაში.[40] 1887 წელს იტალიაში საკანონმდებლო წესით სიკვდილით დასჯის გაუქმებას არ მოჰყოლია მძიმე დანაშაულობათა რიცხვის ზრდა. მაგალითად, სიკვდილით დასჯის გაუქმებამდე 1880-1886 წლებში იტალიაში ყოველწლიურად ჩადენილი მკვლელობის საშუალო რიცხვი იყო 4692, 1887—1889 წლებში — 4089, 1890 წლის, ე. ი. სიკვდილით დასჯის საბოლოო გაუქმების შემდეგ იგი არათუ არ გაზრდილა, არამედ საგრძნობლად შემცირდა კიდეც და 1890—1892 წლებში შეადგინა მხოლოდ 3993, 1893—1895 წლებში — 4043, ხოლო 1896 წლისათვის — 3866[41].

ბელგიაში სიკვდილით დასჯის გამოყენება ფაქტიურად შეწყდა 1863 წლიდან. მაგრამ ამას არავითარი ზიანი არ მოუტანია საზოგადოებრივი უშიშროებისათვის, სამხედრო დისციპლინისათვის და არ გამოუწვევია მძიმე დანაშაულობათა ზრდა. 1841-1855 წლებში ბელგიის სასამართლოებმა 191 სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოიტანეს (მათგან სისრულეში მოიყვანეს 43), ხოლო 1876—1890 წლებში სიკვდილი მიუსაჯეს მხოლოდ 124 დამნაშავეს (აქედან არც ერთი არ ყოფილა სისრულეში მოყვანილი), თუმცა ამ დროისათვის ბელგიის მოსახლეობა თითქმის 50 პროცენტით გაიზარდა.[42]

ყველაზე უფრო ძლიერი არგუმენტი, რომელიც სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეებს მოჰყავთ, არის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შესრულებული სოციოლოგიური და სტატისტიკური გამოკვლევების შედეგები.

1959 წლის ნოემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს ევალებოდა სიკვდილით დასჯის პრობლემის შესწავლა, კერძოდ, უნდა გამოეკვლიათ კანონმდებლობა სიკვდილით დასჯის შესახებ, მისი გამოყენების პრაქტიკა და ის, თუ რა გავლენას ახდენდა სიკვდილით დასჯის გაუქმება თუ შემოღება დამნაშავეობის დინამიკაზე. გამოიკვლიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 66 წევრი და 5 არაწევრი ქვეყნის მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ სიკვდილით დასჯის სრულ გაუქმებას ან მისი გამოყენების საგრძნობ შემცირებას იქ ქვეყნებში, სადაც იგი მოქმედებდა, არ გამოუწვევია იმ დანაშაულობათა რიცხვის შესამჩნევი ზრდა, რომლებისთვისაც წინათ გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა. პირიქით, ზოგიერთ ქვეყანაში აღინიშნა საწინააღმდეგო შედეგები. მაგალითად, ავსტრიაში 1934 წელს სიკვდილით დასჯის აღდგენის შემდეგ დამნაშავეობა საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო 1945 წელს მისი გაუქმების შემდეგ მკვლელობათა რიცხვი ისეთ დონემდე შემცირდა, რომლის მსგავსიც საერთოდ არ ყოფილა ამ ქვეყანაში. ასეთივე მდგომარეობა აღინიშნა ავსტრალიაში, არგენტინასა და სხვა ქვეყნებში. კანადაში 1954 წელს გაუქმდა სიკვდილით დასჯა გაუპატიურებისათვის. ამ დანაშაულის რიცხვი იმ წელს შეადგენდა 27-ს, მაშინ როცა 1950 წელს 37 იყო.

ინგლისში 1965 წელს ხუთი წლით შეაჩერეს სიკვდილით დასჯის გამოყენება. ამ ხნის განმავლობაში მძიმე დანაშაულობათა რიცხვი ხან მცირდებოდა, ხან იზრდებოდა. მიუ-

---

[38] С. П. Макринский. Смертная казнь и борьба с политическими преступлениями. «Право», 1906, № 22.

[39] К. Ю. Митермайер. Смертная казнь. СПБ, 1864, стр. 87.

[40] D'Olivecrona. Dela peine de mort, 1894, стр. 209, 263.

[41] А. А. Пионтковский. Смертная казнь в Европе. Казань, 1908, стр. 106—109.

[42] Francart. La peine de mort. Bulletin de L'Union Internationale de Droit Penal, VIII, 1893, S. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავად ამისა, ინგლისის პარლამენტის ორივე პალატამ მოიწონა პროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1952 წლის დემოგრაფიული წელიწადეულის მონაცემების მიხედვით 1948 წლისათვის მკვლელობათა რიცხვი იმ ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა გამოიყენება, იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც იგი გაუქმებულია, 100 ათას მცხოვრებზე შემდეგი იყო:

ა) ქვეყნები, სადაც სიკვდილით დასჯა გამოიყენება: ამერიკის შეერთებული შტატები — 5,8 პროცენტი, ესპანეთი — 1,4 პროცენტი, კანადა — 1,2 პროცენტი, საფრანგეთი — 0,8 პროცენტი, სალვადორი — 44,3 პროცენტი.

ბ) ქვეყნები, სადაც სიკვდილით დასჯა არ გამოიყენება: ფინეთი — 4,6 პროცენტი, იტალია — 2,4 პროცენტი, შვეიცია — 0,8 პროცენტი, ნიდერლანდები — 0,4 პროცენტი.[43]

ეს მონაცემები არ იძლევა რაიმე საფუძველს იმის მტკიცებისათვის, ახდენს თუ არა გავლენას საერთოდ სიკვდილით დასჯა დამნაშავეობის დინამიკაზე.

4. სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეები აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია ამ სასჯელს გამოეძებნოს ეკვივალენტი, ე. ი. ისეთი სასჯელით შეიცვალოს, რომელიც მიზანშეწონილიც იქნება და ამავე დროს საზოგადოების მორალურ კმაყოფილებასაც გამოიწვევდა.

ვოლტერის აზრით, საზოგადოების ინტერესებისათვის უფრო მიზანშეწონილია სიკვდილით კი არ დავსჯოთ დამნაშავე მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, არამედ დავაკისროთ მას სხვადასხვა მძიმე საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულება. ადამიანი, რომელიც არხებს გათხრის, კაშხალებს აგებს, ჭაობებს დააშრობს, სახელმწიფოს უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს, ვიდრე რკინის ჯაჭვზე ჩამოკიდებული თავის ქალა ან ურმის თვლით დაგლეჯილი სხეული[44].

დენი დიდრო წერდა: იმ ფაქტებიდან, რომ ერთი ადამიანი მოკლულია, სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ საჭიროა მეორის მოკვლაც; მკვლელი, როცა იგი სიკვდილით დასჯილია, უკვე არაფერში გამოსადეგი აღარ არის, მაშინ როცა არსებობს მრავალი საზოგადოებრივი სამუშაო, რომელთა შესრულებაც შეიძლებოდა მათთვის დაგვეკისრებინა.[45]

ჟან-პოლ მარატი გამოუსწორებელი დამნაშავეების შესახებ ამბობდა: თუკი ისინი გამოუსწორებელი არიან, მაშინ მათი დასჯა უნდა გამოვიყენოთ საზოგადოების ინტერესებისათვის, კერძოდ, მივუსაჯოთ სხვადასხვა მძიმე და საშიში სამუშაოს შესრულება.[46]

რუსი ფილოსოფოსი — მატერიალისტის თ. ვ. უშაკოვის აზრით, იმისათვის, რომ ამა თუ იმ დამნაშავისაგან თავიდან ავიცილოთ სხვა დანაშაული, საკმარისია საპყრობილე, დილეგი. ხოლო რაც შეეხება სხვების გაფრთხილებას, ამისათვის საჭიროა გამოიძებნოს ისეთი სასჯელი, რომელიც უფრო ძლიერად და ხანგრძლივად იმოქმედებს ადამიანის სულზე, ვიდრე სიკვდილით დასჯა. სასჯელის ასეთ სახედ თ. ვ. უშაკოვს მიაჩნია მუდმივი პატიმრობა. იგი საკმარისია, რათა დამნაშავემ კვლავ აღარ ჩაიდინოს დანაშაული და ამავე დროს უფრო ძლიერად და ხანგრძლივად მოქმედებს ადამიანის ცნობიერებაზე, ვიდრე სიკვდილით დასჯა.[47] პროფესორი ს. ბ. მოკრინსკიც უერთდება ამავე აზრს და მიაჩნია, რომ სამუდამო პატიმრობას უფრო მეტი დამაშინებელი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სიკვდილთი დასჯას.[48] საინტერესო არგუმენტებით ამაგრებს ამ მოსაზრებას აგრეთვე ი. ს. ჯაბადარი.[49]

ჩეზარე ბეკარია თვლიდა, რომ სამუდამო პატიმრობა უფრო ეფექტიანია და უფრო დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობისაა, ვიდრე სიკვდილით დასჯა. არა სასჯელის სიმკაცრე, წერდა იგი, არამედ მისი გარდუვლობა და ხანგრძლივობა ახდენს ყველაზე უფრო დიდ ზემოქმედებას ადამიანზე.

---

[43] Г. З. Анашкин. Смертная казнь в капиталистических государствах, стр. 77.

[44] Вольтер. Избранные произведения по уголовному праву и процессу, стр. 225.

[45] Дени Дидро. Замечания на наказ ее императорского величества депутатам комиссии по составлению законов, Соч., М.-Л., 1947, стр. 443.

[46] Ж.—П. Марат. План уголовного законодательства, стр. 49.

[47] Ф. В. Ушаков. Размышления о праве наказания и о смертной казни, в кн. А. Н. Радишев, Полн. собр. соч., т. I, М.—Л., 1938, стр. 186—199.

[48] С. П. Мокринский. Смертная казнь и борьба с политическими преступлениями, «Право», 1906, № 22.

[49] И. С. Джабадари, Смертная казнь в связи с правом наказания, 1895, стр. 157—179.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის გრძნობაზე უფრო ეფექტიანად მოქმედებს სუსტი, მაგრამ განმეორებითი შთაბეჭდილებები, ვიდრე ძლიერი, მაგრამ სწრაფად წარმავალი ფაქტები. სიკვდილით დასჯის აღსრულება ბევრს მალე ავიწყდება, ხოლო სამუდამო პატიმრობა, რომლითაც შეიძლებოდა მისი შეცვლა, ხაკმარისი სიმკაცრის სასჯელი იქნებოდა, რომელიც ყველაზე გაბედულებსაც კი ხელს აიღებინებდა დანაშაულის ჩადენაზე.[50]

მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი გ. ე. კოლოკოლოვი წერს: პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გამოუსწორებელი დამნაშავეები არ არიან. თუ ეს ასეა, მაშინ რეციდივის აღკვეთა ყოველთვის შეიძლება გამასწორებელი სასჯელებით. მაგრამ თუ დავუშვებთ კიდეც, რომ ზოგჯერ ნამდვილად გამოუსწორებელ დამნაშავესთან გვაქვს საქმე, მაშინ რეციდივის აღკვეთისათვის საჭიროებათ საკმარისი იქნება ისეთი ზომა, როგორიც არის სამუდამო პატიმრობა.[51]

ასეთია მოკლედ სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებები. სიკვდილით დასჯის მომხრეთა და მის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებების გაცნობისას ბუნებრივად იბადება კითხვები: რომელია მათ შორის უფრო დასაბუთებული, უფრო დამაჯერებელი? რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ მათი შედარებისას? ჩვენ შეეცდებით პასუხი გავცეთ მათ.

ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ შეამჩნიეს, რომ სიკვდილით დასჯის უმკაცრესი სახეებიც დაწესებას არასოდეს არ გამოუწვევია მძიმე დანაშაულობათა რიცხვის შემცირება. მაგრამ იდგა საკითხი: ვინ იქნება იმის თავდები, რომ მისი ვაუქმების შემდეგ მათი რიცხვი არ გაიზრდებაა? შემდგომში, როგორც დაინახეთ, ბევრ ქვეყანაში გააუქმეს სიკვდილით დასჯა, ზოგში ექსპერიმენტიც ჩატარეს, კერძოდ, დროებით შეაჩერეს მისი გამოყენება. აღმოჩნდა, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება არ იწვევს იმ დანაშაულობათა ზრდას, რისთვისაც წინათ დაწესებული იყო ეს სასჯელი. მაშასადამე, სიკვდილით დასჯის დაწესება ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენისათვის არ არის ის ფაქტორი, რომლის გამოც დამნაშავე თავს შეიკავებს მძიმე დანაშაულის ჩადენისაგან. აქ უდავოდ სხვა ფაქტორებიც მოქმედებს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დამნაშავეობის დინამიკის უშუალო დაკავშირება სიკვდილით დასჯის შემოღების თუ გაუქმების ფაქტთან სწორი არ არის. მხოლოდ სიკვდილით დასჯის შემოღება თუ გაუქმება არ არის მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც მძიმე დანაშაულობათა რიცხვზე ახდენდეს ზემოქმედებას. შესაბამისად, დამნაშავეობის ზრდის ხაბაბით სიკვდილით დასჯის შემოღება (როგორც ეს ზოგიერთ ქვეყანაში მოხდა) არ არის გამართლებული. «История — წერდა კ. მარქსი. — и такая наука, как статистика, с очевидностью доказывают, что со времени Канна мир никогда не удавалось ни исправить, ни устрашить наказанием»[52].

ზემოთქმულის მიუხედავად, თუ ჩვენ დავუშვებთ კიდეც, რომ სიკვდილით დასჯას დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მისი მთავარი ძალა მისი საჯაროობაა, კერძოდ, ის, რომ მისი აღსრულება წარუსოცელ შთაბეჭდილებას ახდენს უშუალო მნახველზე. ალბათ არავის არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს იმ უბრალო ჭეშმარიტებაში, რომ ადამიანზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის, რაც მის თვალწინ ხდება, ვიდრე ის, რასაც იგი სხვებისაგან გაიგებს. ყოველივე ამის მიუხედავად, დღესდღეობით თითქმის ყველა ქვეყანაში სიკვდილით დასჯის აღსრულება საზოგადოებისაგან ფარულად ხდება. თავისთავად ისმის კითხვა: თუკი სიკვდილით დასჯის საჯაროდ აღსრულებას, რაც მთელი საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა, არასდროს არ მოუტანია ის შედეგები, რომლებსაც მისგან მოელოდნენ, მაშინ რაღასა უნდა ნოველოდეთ მისი ფარული, გასაიდუმლოებული აღსრულებისაგან?

სიკვდილით დასჯის შიში დამნაშავეს იპყრობს მხოლოდ მაშინ, როცა დგება მისი აღსრულების დრო. მაგრამ ეს შიში სისხლის სამართლის პოლიტიკის პოზიციებიდან დაგვიანებულია, ადამიანზე უშედეგო ზემოქმედებაა. მთავარია არა ის, რომ დამნაშავე იტანჯებოდეს, როცა მას სჯიან, არამედ ეშინოდეს ადრევე, სანამ დასჯად ქმედობას ჩაიდენდეს. როცა ვასაბუთებთ იმას, რომ სიკვდილით დასჯას არა აქვს დიდი ვამაფრთხილებელი და დამაშინებელი მნიშვნელობა, ამასთან ერთად, სწორი არ იქნება ვამტკიცოთ, რომ სხვა სასჯელის სასჯელს, ვთქვათ, სამუდამო პატიმრობას უფრო დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს, როგორც ეს ზოგიერთ ავ-

[50] Чезаре Беккариа, О преступлениях и наказаниях, стр. 318—3211.
[51] Г. Е. Колоколов. Уголовное право, 1899, стр. 568.
[52] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 8, стр. 530.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორს მიაჩნია. საკითხი შემდეგნაირად დგას: სიკვდილით დასჯის გამოყენებას არ მოაქვს ის ეფექტი, რომელსაც მისგან უნდა ველოდეთ, ამიტომ საჭიროა მისი გაუქმება, რათა უსარგებლოდ არ შეეწიროთ ადამიანთა სიცოცხლე. ადამიანთა სიცოცხლესთან არის დაკავშირებული აგრეთვე სასამართლო შეცდომების საკითხიც. კერძოდ, უტყუარი მონაცემებით რომ იყოს დამტკიცებული, რომ სიკვდილით დასჯის გამოუყენებლად შეუძლებელი იქნებოდა მართლმსაჯულების განხორციელება და საერთოდ, საზოგადოების ნორმალური არსებობა და განვითარება, მაშინ სასამართლო შეცდომები სიკვდილით დასჯისას, უფრო სწორად, უდანაშაულოთა შეცდომით დასჯა, ის მცირე ბოროტება იქნებოდა, რომელსაც, როგორც სხვა ბოროტებას, ითმენს დღევანდელი საზოგადოება უფრო დიდი ბოროტების თავიდან ასაცილებლად. მაგრამ მაშინ, როცა დამტკიცებულია, რომ მართლმსაჯულების განხორციელება და საზოგადოების ნორმალური არსებობაც სავსებით შესაძლებელია სასჯელის გამოუყენებლად, სასამართლო შეცდომის, უდანაშაულო პიროვნების სიკვდილით დასჯის თვით ერთი ფაქტიც კი ყოვლად შეუწყნარებელი და აუტანელია დღევანდელი ცივილიზებული საზოგადოებისათვის. ეს ასეთი შეცდომაა, რომლის გამოსწორებაც შემდეგში, როგორაც უნდა ვეცადოთ, შეუძლებელი ხდება. ჩვენი აზრით, მარტო ეს არგუმენტიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ უარი გვეთქვა სიკვდილით დასჯაზე. სასამართლო შეცდომებისაგან არავინ არის დაზღვეული, შესაბამისად, უდანაშაულოთა სიკვდილით დასჯა ყოველთვის მოსალოდნელია. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სანამ მედიცინა ბკვლრის გაცოცხლებას ვერ შეძლებს და ალბათ ამას იგი ვერასოროს ვერ შეძლებს, ეს არგუმენტი ყოველთვის ძალაში დარჩება.

ახლა რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, უფრო სწორად, იმ ადამიანებს, რომლებიც იწონებენ სიკვდილით დასჯას. ჯერ ერთი, მათ ალაპარაკებთ შურისძიების გრძნობა და, თუ კერძო შურისძიებას ვერსად წაუვალთ, უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში იგი შეიძლება საღიც იყოს, მაშინ მისი დაკმაყოფილება საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე სავსებით შესაძლებელია სხვა საშუალებებით, გარდა სიკვდილით დასჯისა. მეორეც, ვფიქრობთ, ყველა დაგვეთანხმება, თუ ამ ადამიანებს შევთავაზებთ, რომ სიკვდილით დასჯა თვითონ მოიყვანონ სისრულეში, ალბათ ყველა ზიზღით უარს იტყვის და ყველაზე უფრო თავგამოდებული მომხრეც კი უკან დაიხევს. რატომ? პასუხი იმდენად ნათელია, რომ ახსნას არ საჭიროებს.

მას შემდეგ, რაც გაეარკვიეთ, რომ სიკვდილით დასჯა არ არის სასჯელის მიზანშეწონილი და სამართლიანი სახე, ბუნებრივად იბადება კითხვა: რით შეიძლება შევცვალოთ სიკვდილის დასჯა? სასჯელის რომელი სახე იქნებოდა ასეთ შემთხვევაში ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და სამართლიანი? საერთოდ ცნობილია, რომ შეუძლებელია აბსოლუტური სამართლიანობის მიღწევა სასჯელთა სისტემაში. შეუძლებელია, როგორც ამას კანტი და ჰეგელი მოითხოვდნენ, ყოველი სასჯელი ზუსტად უდრიდეს ჩადენილი დანაშაულის ხარისხს, ამაზე მეტყველებს თუნდაც სხვადასხვა სასჯელის არსებობა ერთსა და იმავე დანაშაულისათვის სხვადასხვა ქვეყანაში.

ჩვენი აზრით, სიკვდილით დასჯის სხვა სასჯელით შეცვლისას მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოებები:

ა) საზოგადოება ყოველთვის პასუხისმგებელია თავისი წევრებისათვის. პიროვნება ყალიბდება იმ სოციალური გარემოს ზემოქმედებით, სადაც მას მოღვაწეობა უხდება. ცუდი და ბოროტი ადამიანი არ იბადება, იგი ცუდი ხდება იმიტომ, რომ მას ცუდად ექცევიან. შესაბამისად, დანაშაულის ჩადენაში ბრალი მიუძღვის არა მარტო დამნაშავეს, არამედ საზოგადოებასაც. ამიტომ საზოგადოებამ მძიმე დანაშაულის ჩამდენს სიკვდილით დასჯის განაჩენი კი არ უნდა გამოუტანოს, არამედ საჭიროა იზრუნოს მისი გამოსწორებისათვის.

ბ) გამოუსწორებელი დამნაშავენი არ არსებობენ. ჩვენ თუ ვერ შევძელით ამა თუ იმ დამნაშავის გამოსწორება, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს საერთოდ შეუძლებელია;

გ) დამნაშავის დასჯით გარკვეულწილად უნდა ისარგებლოს იმ საზოგადოებამ, რომელსაც მან ზიანი მიაყენა;

დ) სასჯელის ზომა უნდა იწვევდეს საზოგადოების კმაყოფილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ სასჯელის შედარებით უფრო გამართლებულ ზომად გვესახება „სამუდამო პატიმრობა“, მაგრამ გარკვეული პირობებით. კერძოდ, მსჯავრდებული გამოყენებული უნდა იქნეს სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად და სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლება განაჩენის გამოტანისას განსაზღვროს ვადა, რომლის გასვლის შემდეგ შეიძლება დაისვას მისი გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების საკითხი. ეს ვადა ამავე დროს 15 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს. თუმცა ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე უნდა შესრულდეს სათანადო სოციოლოგიური გამოკვლევა.

დასასრულ, თვალი გადავავლოთ სისხლის სამართლის და საერთოდ ადამიანის კულტურისა და ზნეობის განვითარებას. აქ აშკარად შეიმჩნევა პროგრესი. რამდენიმე საუკუნის წინათ წამება გამართლებული იყო ჭეშმარიტების დასადგენად. შემდგომში იგი ყველგან აკრძალეს. ასევე აიკრძალა სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეობებიც. არა იმიტომ, რომ მათ გამაფრთხილებელი მნიშვნელობა არ ჰქონდა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი ეთიკურად დაუშვებელი გახდა. წარმოიდგინეთ დღეს ადამიანი, რომელიც სარზე ჩამოცმის, ოთხად გაპობის, ნაწლავების გამოღების და სიკვდილით დასჯის სხვა კვალიფიციური სახეების აღდგენას მოითხოვს. მას უდავოდ ყველა ზნეობრივად დეგრადირებულ პიროვნებად მიიჩნევს. ამიტომ, საბოლოო ანგარიშით, ჩვენი აზრით, სიკვდილით დასჯის საკითხი შემდეგნაირად უნდა დაისვას: აზრი არა აქვს გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს თუ არა სიკვდილით დასჯას, მთავარია ის, რომ მის გამოყენებას ეთიკური საფუძველი არა აქვს. სწორედ ამის გამო იგი უნდა გაუქმდეს.

საჭირო არ არის წინასწარმეტყველი იყო, წერდა პროფ. ნ. ს. ტაგანცევი, — რომ თქვა: შორს არ არის ის დრო, როცა სიკვდილით დასჯა გაქრება სისხლის სამართლის კოდექსებიდან და თვით კამათიც კი მისი მიზანშეწონილობის შესახებ ჩვენს მომავალ თაობას თვით ისევე უცხოდ მოეჩვენება, როგორადაც გვეჩვენება ჩვენ დღეს დავა დამნაშავის ცეცხლზე დაწვის თუ სარზე ჩამოცმის აუცილებლობისა და სამართლიანობის შესახებ[53]. აქვე არ შეიძლება არ მოვიგონოთ კ. მარქსის სიტყვები: «Весьма трудно, а, может быть, вообще невозможно, найти принцип, посредством которого можно было бы обосновать справедливость и целесообразность смертной, казни в обществе, кичащемся своей цивилизацией»[54].

---

[54] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 8, стр. 530.
[55] Смертная казнь, сборник статьей Н. С. Таганцева. С.-Петербург, 1913 г. стр. 139.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე

უაზბეგის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ვ. ფაჯიშვილის მიერ სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევებისა და მინდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შესახებ

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უაზბეგის რაიონის სახალხო სასამართლოში უხეშად ირღვევა სოციალისტური კანონიერების პრინციპები, უაღრესად დაბალ დონეზეა სასამართლოს ორგანიზაციული მუშაობა, სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ფაჯიშვილი იჩენს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას მინდობილი საქმისადმი, ასეთი მანკიერი პრაქტიკა კი გავლენას ვერ ახდენს რაიონში სამართალდარღვევათა შემცირებაზე. სასამართლოს სამუშაო გეგმები სქემატურია, დამნაშავეობის წინააღმდეგ ღონისძიებების დასახვისას არ არის გათვალისწინებული რაიონის სპეციფიკა, სათანადო ყურადღება არ ექცევა საქმეთა განხილვის ვადების დაცვის, განაჩენთა და გადაწყვეტილებათა სტაბილურობის, სასამართლო პრაქტიკის შესწავლას, განზოგადების, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან მუშაობის კოორდინაციის საკითხებს. სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ბევრი ღონისძიება შეუსრულებელი რჩება.

საწარმოო თათბირებზე საკითხებს განიხილავენ ზერელედ, არ ამხელენ სასამართლოს საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებს დაბალია საშემსრულებლო დისციპლინა. ხშირად ურეაგირებოდ რჩება იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებები და ინსტრუქციები.

ყურადღება არ ექცევა სამსჯავრო სხდომების მომზადებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საქმეთა განხილვის ვადების დაცვაზე. მეტად დაბალია სამსჯავრო სხდომათა მოწყობის კულტურა. სხდომის ოქმები დგება კანონის მოთხოვნათა დაუცველად, მათში გამოკვეთილი არ არის საქმეში მონაწილე პროკურორის და ადვოკატის პოზიცია. ოქმებში ხშირად მითითებული არ არის სასამართლო პროცესზე გამოცხადებულ ან გამოუცხადებელ მოწმეთა რიცხვი.

დამაკმაყოფილებელი არ არის დამნაშავეობის პროფილაქტიკის მიზნით სასამართლოს მიერ წარმოებული მუშაობა. ფაქტიურად არაფერი კეთდება რაიონის მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისათვის. სასამართლოს ინიციატივით არ ეწყობა თემატური საღამოები სამართლებრივ თემებზე. მიუხედავად მცირე დატვირთვისა (1978 წელში სასამართლოში განხილულია 15 სიხლის სამართლის და 70 სამოქალაქო სამართლის საქმე) ვ. ფაჯიშვილს მთელი წლის განმავლობაში წაკითხული აქვს მხოლოდ 16 ლექცია.

სასამართლო საქმეთა განხილვისას არ აღვლენს დანაშაულის ხელშემწყობ მიზეზებს და პირობებს და არ გამოაქვს კერძო განჩინებები მაშინაც კი, როცა არსებობს საამისო საფუძველი. 1978 წლის პირველ ნახევარში სასამართლოს არ გამოუტანია არცერთი კერძო განჩინება. სამოქალაქო საქმეებზე კერძო განჩინება არ არის გამოტანილი.

ყურადღება არ ექცევა საქმეთა გამსვლელ სხდომებზე განხილვას და პროცესებში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობას. 1978 წლის პირველ ნახევარში გამსვლელ სხდომაზე არცერთი საქმე არ არის განხილული, საზოგადოებრივი წარმომადგენლის მონაწილეობით განხილულია მხოლოდ ორი სიხლის სამართლის საქმე. სამოქალაქო დავების დიდი ოდენობის მიუხედავად სასამართლომ ვერ შეძლო საზოგადოებრიობის წარმომადგენლის მონაწილეობით გაერჩია თუნდაც ერთი საქმე.

სასამართლოში ფორმალურად არის შექმნილი სახალხო მსაჯულთა საბჭო და მისი სექციები. არ არის მსაჯულებთან მეცადინეობის ჩატარების აღრიცხვის წიგნიც კი. სასამართლომ ვერ უზრუნველყო არჩეულ მსაჯულთა სრული მონაწილეობა სიხლის და სამოქალაქო საქმეთა განხილაში. 70 მსაჯულიდან, საქმეთა განხილვაში მთელი წლის განმავლობაში მონაწილეობდა მხოლოდ 11 მსაჯული.

სიხლის სამართლის საქმეთა განხილვისას სასამართლო ხშირად უხეშად არღვევს სოციალისტური კანონიერების მოთხოვნებს. მაგალითად, გ. ჩოფიკაშვილის ბრალდების საქმის განხილვისას ვ. ფაჯიშვილმა დაარღვია კანონი განაჩენის დადგენისა და გამოცხადების შესახებ. უგულვებელყოფილი იქნა მოსამართლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი. კერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოდ, განაჩენის დადგენის დროს ვ. ფაჯიშვილი წინასწარ არ მოეთათბირა ხახალხო მსაჯულებს, დამოუკიდებლად დაწერა განაჩენი და სამართალს. მიცემულ გ. ჩოფიკაშვილს საქართველოს სსკ 91-ე მუხლის I ნაწილით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით, რაც 251 მუხლით ჩაუთვალა პირობითად და იმავე ვადით ჩაბა სავალდებულო შრომაში. ხახალხო მსაჯულებმა განაჩენს ხელი არ მოაწერეს და დაწერეს თავისი აზრი, რომ ეამოდ საქმეში აღმოჩნდა ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო არასრულყოფილი დოკუმენტი განაჩენი, რომელსაც ხელს აწერს მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარე და განსაკუთრებული აზრი, რომელსაც ხელს აწერენ სახალხო მსაჯულები, ამასთან ეს უკანასკნელი უსათაურო, უთარიღო და შედგენილია დადგენილი წესის უხეში დარღვევით. დაირღვა აგრეთვე სსსკ 322-ე მუხლის მოთხოვნა — განაჩენის გამოცხადების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ ეს განაჩენი, როგორც უკანონო, გაუქმდა, ხოლო მოსამართლე ვ. ფაჯიშვილის მიმართ გამოტანილია კერძო განჩინება.

სახალხო მოსამართლის ვ. ფაჯიშვილის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების მაჩვენებელია აგრეთვე ტ. დავითაშვილის სისხლის სამართლის საქმის განხილვის გაჭიანურება. ვ. ფაჯიშვილმა შეგნებულად აარიდა თავი ტ. დავითაშვილის საქმის განხილვას, ეს მაშინ, როდესაც მან სოფელ გარდანაში ჩაიდინა იმდენად ხერიოზული დანაშაული, რომ იგი ყაზბეგის რაიკომის ბიუროს სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა.

საქმე არაკვალიფიციურად და კანონის უხეში დარღვევით განიხილა ს. კობაიძემ (სახალხო მსაჯულმა) რომელსაც არა აქვს იურიდიული განათლება და წინათ განთავისუფლებული იყო შინაგან საქმეთა ორგანოებიდან. ს. კობაიძემ უმართებულოდ მოუხსნა ბრალდება სამართალში მიცემულ ს. წიკლაურს, ხოლო ტ. დავითაშვილის ბრალდება გადააკვალიფიცირა: სასამართლოს განაჩენს საფუძვლად დაედო არა საქმეში არსებულ მტკიცებულებანი, არამედ მხოლოდ სამართალში მიცემულთა ჩვენებები. ეს განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ, როგორც უკანონო, გაუქმებულ იქნა.

ნინდობილი საქმისადმი უპრინციპო და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, რასაც მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში მოჰყვა სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევები, ყაზბეგის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ფაჯიშვილი ვადამდე იქნა გამოწვეული დაკავებული თანამდებობიდან.

ამაგდარი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორს ევგენი გიორგის ძე ნეიძეს დაბადების 70, ხოლო სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-პრაქტიკული მუშაობის 45 წელი შეუსრულდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1929 წლიდან 1939 წლამდე, გ. ნეიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებში იურისკონსულტად, ამავე დროს იყო ქ. თბილისის დამცველთა კოლეგიის წევრი. შეიძინა რა საკმარისი პრაქტიკული გამოცდილება, 1939 წლიდან ე. ნეიძე სამუშაოდ გადადის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. აქ იგი სამ ათეულ წელზე მეტია წარმატებით კითხულობს საბჭოთა შრომის სამართლის და სამოქალაქო სამართლის პროცესის ლექციების კურსს, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის საფუძვლების სპეციალურ კურსს. ე. ნეიძის მიერ წაკითხული ლექციები გამოირჩევა მაღალი მეცნიერული და იდეური დონით.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ე. ნეიძე იცავს საკანდიდატო დისერტაციას და პედაგოგიურ მოღვაწეობას უთავსებს რესპუბლიკის პროკურატურაში განყოფილების პროკურორად მუშაობას. პროკურატურაში მუშაობის დროს მას დავალებული ჰქონდა ხელმძღვანელობა გაეწია უკრაინისა და ბელორუსიის განთავისუფლებულ რაიონებში სამუშაოდ გასაგზავნი პროკურორებისა და გამომძიებელთა მომზადებისათვის. იურიდიული კურსების სამეცნიერო ნაწილისათვის, სასწავლო პროცესის კარგი ორგანიზაციისა და კადრების ხარისხიანი მომზადებისათვის ე. ნეიძეს გამოეცხადა სსრ კავშირის პროკურორის მადლობა.

ე. ნეიძეს ეკუთვნის 80-ზე მეტი შრომა, მათ შორის რვა მონოგრაფია და ბროშურები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნაშრომები: „მუშაკთა მატერიალური პასუხისმგებლობა“, „ამხანაგური სასამართლოები წარმოება-დაწესებულებებში“, „შრომის დისციპლინის რეგულირების არსი და მეთოდები სსრ კავშირში“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50-ე წლისთავს ე. ნეიძემ მიუძღვნა 27 საავტორო ფორმის მოცულობის ორიგინალური სახელმძღვანელო „საბჭოთა შრომის სამართალი“, რომელშიაც განხილულია საბჭოთა შრომის სამართლის ყველა ინსტიტუტი და სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხები. იგი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, რომელთაც საშუალება ეძლევათ მშობლიურ ენაზე შეისწავლონ ისეთი აუცილებელი დისციპლინა, როგორიც შრომის სამართალია. წიგნი დიდ დახმარებას უწევს აგრეთვე პროკურატურის, სასამართლო ორგანოებისა და პროფკავშირულ მუშაკებსაც. ამ სახელმძღვანელოს გამოსვლამდე ქართულ ენაზე არ გვქონდა შრომის სამართლის არც ორიგინალური და არც თარგმნილი სახელმძღვანელო.

წიგნი „შრომის დისციპლინის რეგულირების არსი და მეთოდები სსრ კავშირში“, რომელიც 1964 წელს გამოსცა უნივერსიტეტის გამომცემლობამ, იკვლევს საბჭოთა შრომის დისციპლინის — შრომის სოციალისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისციპლინის მოწესრიგების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. მასში საკანონმდებლო აქტებისა და პრაქტიკის მასალების ანალიზის საფუძველზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წარმოებებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებასა და დისციპლინის განმტკიცებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობას.

1975 წელს გამოვიდა ე. ნეიძის წიგნი „სოციალური უზრუნველყოფა საბჭოთა კავშირში", რომელშიც განხილულია სოციალური უზრუნველყოფის საკითხების განსაზღვრული წრე, მათ შორის სსრ კავშირის მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფისა და მომსახურების სახეობანი და ფორმები, გაშუქებულია მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა, სამხედრო და აგრეთვე სხვა პირთა ამ მიზნით გათვალისწინებული დაფინანსების წყაროები, განმარტებულია საბჭოთა პროფკავშირის როლი და ფუნქციები სოციალური დაზღვევის სფეროში. წიგნი განკუთვნილია სოცუზრუნველყოფის სისტემის მუშაკთათვის, პროფაქტივისა და სოცუზრუნველყოფის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

პროფესორ ე. ნეიძის ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ და რუსულ ენებზე

პროფ. ე. ნეიძე, როგორც მაღალკვალიფიციური იურისტი, პედაგოგიურ მოღვაწეობას წარმატებით უთავსებს მეცნიერულ მუშაობას — სისტემატურად მონაწილეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციებში. კომუნისტი ე. ნეიძე აქტიურად მონაწილეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში — არაერთხელ ყოფილა არჩეული ფაკულტეტის პარტბიუროს შემადგენლობაში და პროფბიუროს თავმჯდომარედ. ამჟამად იგი მეოთხედ აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარედ.

ე. ნეიძე არის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული შრომის სამართლისა და სოცუზრუნველყოფის პრობლემათა საკავშირო სექციის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭოს წევრი და ამ საბჭოს შრომის დისციპლინის პრობლემათა სექციის ხელმძღვანელი, აგრეთვე საზოგადოება „ცოდნის" სამართლის მეთოდიკური საბჭოს წევრი, ოთხი წლის განმავლობაში იგი იყო ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.

ევგენი გიორგის ძე ნეიძე როგორც პედაგოგი, მეცნიერი და საზოგადოებრივი მუშაკი დაჯილდოვებულია ნიშნით „1973 წლის სოცშეჯიბრებაში გამარჯვებული", საიუბილეო მედლით — ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, აგრეთვე მედლით „დიდ სამამულო ომში შრომითი მამაცობისათვის" და სხვ. იგი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის.

იურიდიული საზოგადოებრიობა აფასებს და პატივს ცემს ე. ნეიძეს მისი დამსახურებისათვის და უსურვებს წარმატებებს სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასა და პირად ცხოვრებაში.

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

№ 4

ე. **შორინა** — საბჭოებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების ურთიერთობათა კონსტიტუციური საფუძვლები. ა. **პოტაპოვი** — ავტონომიური ოკრუგის სამართლებრივი მდგომარეობა. ს. **გუსევი** — სამართალდამცველი ორგანოების კოორდინაცია დამნაშავეობასთან ბრძოლაში. ბ. **უალეიკო, ნ. მოროზოვი** — სსრ კავშირის სახელმწიფო ჯილდოები. ა. **ბონერი** — კანონის შეფარდება და სასამართლოს მიხედულება. ს. **პალასტინა** — ოჯახი, სამართალი, სოციოლოგია. ს. **პოლენინა, ნ. კოლდაევი** — კანონმდებლობის განვითარების გრძელვადიანი პროგნოზირება. ზ. **ახტემიროვი** — იურიდიული პასუხისმგებლობის ცნება. ბ. **სეინაროვი** — პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტიმულირება. ვ. **ნიკიტინსკი, ო. ბოხრიაკოვა** — შრომის ხელშეკრულების გაბათილება. ვ. **ტოლსტოი** — სამართლებრივი ურთიერთობანი სახალხო მეურნეობაში და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. ს. **ზელდოვი** — ნასამართლევი პირების სამართლებრივი სტატუსის შესახებ. ი. **ლედიახი** — ხანდაზმულობის შეფარდება ნაცისტი დამნაშავეებისადმი დაუშვებელია. ვ. **დანილენკო** — ბურჟუაზიული ქვეყნების პოლიტიკური პარტიების მოღაწეობის ნორმატიული რეგულირება. ვ. **ზორკინი** — ლ. პეტრაჟიცკის ფსიქოლოგიური თეორიის კრიტიკა. მ. **მასევიჩი** — შრომის ხელშეკრულება შეთავსებითი მუშაობის შესახებ. ი. **ლარკინი** — საბინაო კანონმდებლობა საცხოვრებელი ფართობის გაცვლის შესახებ და მისი სრულყოფა, ს. **სანგინოვი** — კანონის აღსრულების მაკონტროლებელი ორგანოს ინფორმაციული უზრუნველყოფა. ვ. **ჟარკოვი** — ქონებრივი ურთიერთობანი მოქალაქეებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის დროს. ს. **ეგოროვი** — ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ მეცნიერებათა ძირითადი მიმართულებანი 70-იან წლებში. ვ. **ბატურენკო** — სამართლის თეორიის პრობლემების განხილვა საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერების შეხვედრის დროს. ი. **კისელიოვი** — შრომის სამართლის პრობლემების ბიუროს სექციაში. ა. **ნეჩაევა** — კონფერენცია საბჭოთა შრომის სამართლის პრობლემებზე. ფ. **ლიბერმანი** — არბიტრაჟის პრაქტიკა ანგარიშსწორების დავებზე. ც. **იამპოსკაია, ა. პიგოლკინი — ლ. ივანჩი.** განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სამართალი. გ. **ტუმანოვი — ა. ვენგეროვი.** სამართალი და ინფორმაცია ავტომატიზებული მართვის პირობებში. ა. **კაბალკინი —ე. პავლოდსკი.** შემთხვევა და დაუძლეველი ძალა სამოქალაქო სამართალში. ო. **სადიკოვი — რ. როდიერი.** სატრანსპორტო სამართალი.

№ 5

მოწინავე — სახალხო სასამართლოების სახალხო მოჯულების არჩევნები. ო. **სმირნოვი** — სსრ კავშირის მოქალაქეების შრომის კონსტიტუციური უფლებები. ო. **ლაპტევი** — სასოფლო-სამეურნეო **ტექნიკის დაცულობა** საერთო-სახელმწიფოებრივი საზრუნავია. მ. **კოზირი** — პირადი დამზმარე მეურნეობის სამართლებრივი რეგულირება. რ. **ნაბიულინი** — სამინისტროს პარტიული კომიტეტის როლი კადრებთან მუშაობაში. პ. **ვალკოვი** — მკაცრად დავიცვათ კანონმდებლობა ელექტროენერგიის მომმარაგებლობით ხარჯვის შესახებ. ვ. **ტარასენკო** — აქტიურად გამოვიყენოთ **სამოქალაქო-სამართლებრივი** საშუალებები ვაგონების მოცდენის წინააღმდეგ. ვ. **ბოკისოვი** — სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის შესრულების კანონიერებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ. ა. **შეპელი** — სოფლის ყრილობები **სამართალდარღვევათა** თავიდან აცილების ეფექტიანი ფორმაა. გ. **ლობოდა** — სამართლებრივ აღზრდას ხელმძღვანელობს ქარხნის პარტკომი. ლ. **ანდრეევი** — განზრახ მკვლელობის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჯვნა სნეულის განზრახ მძიმე დაზიანებისაგან, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა. **გ. სმირნოვი** — ინვალიდობის პენსიის გაცემა პენსიონერებზე, რომლებიც მუშაობენ. **ნ. ოსოკინი, ი. ფარიკოვი** — მიწათმოსარგებლეთა სასარგებლოდ ზარალის ანაზღაურების წესი. **ა. კეუოიანი** — გამომძიებელთა ჯგუფის მიერ დანაშაულის გამოძიების ორგანიზაცია. **მ. როვინსკი** — მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ხელშეკრულებები. **ნ. სლავინი** — მზვერავი. **ა. მედვედევი** — მცირე მიწაზე. **ფ. პელევინი** — 40 წელი კანონიერების სამსახურში. **ა. იუდინი** — შრომის დავების განხილვა დაქვემდებარების წესით უნდა გაუქმდეს. **ი. შინაგა, ა. ეისმანი** — მართვის ავტომატიზებული სისტემა საოლქო პროკურატურაში. **ი. კლივერი** — განგრძობითი და განმეორებითი დანაშაულის გამიჯვნა. **ა. კოუევნიკოვა, ა. მედვედევი** — სამართლებრივი პროპაგანდა კინოს საშუალებით. **პ. ვიქტოროვი** — სპეციალიზებული იურიდიული კონსულტაციები. **ვ. კრიგერი** — საქმეების მომზადება განსახილველად. **ლ. ნადი** — სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება არასრულწლოვანთა საქმეების გამო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში. **გ. ალექსანდროვი, ნ. ეუკოვი** — ხანდაზმულობა თუ ამნისტია? **ვ. პავლოვი** — წიგნი ნაცისტი დამნაშავეების ბოროტმოქმედებათა შესახებ. **ვ. ვლასიხინი** — ამერიკული სამართლწარმოების „ირაციონალური პროცედურები". **გიუნტერ პროდლი** — ერთი მკვლელი თემთა პალატიდან, მეორე — ლორდთა პალატიდან. **საპროკურორო ზედამხედველობის პრაქტიკა. ვ. კალმიკოვი** — „ბელორუსიის სსრ სისხლის სამართალი". **გ. ბუშეევი, ს. მაქსიმოვი.** მაღალი, საპატიო მოვალეობა. **ვ. შიმანოვსკი, ლ. ზახოუი** — **ვ. ბიკოვი, ვ. ლომოვსკი** — სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეჩერება.

№ 6

მოწინავე — ავამაღლოთ აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობა. **ა. ხოლიავჩენკო** — თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლები. **გ. დოროხოვი** — სსრ კავშირის კონსტიტუცია მოქალაქეთა განათლების უფლების შესახებ. **ა. ფილატოვი** — დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების კანონმდებლობის გამოყენება სასამართლოს მიერ. **ა. ზდანოვიჩი** — სამართლებრივი ცოდნა — ყველას. **ი. ბენიტოლი** — არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების გზები. **ლ. ზუბანოვა** — **ვ. ფროლოვი** — სამუშაოდან უკანონო დათხოვნის თავიდან აცილება. **ი. ტროპინი** — დატაცებებთან და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებთან ბრძოლის ქმედითობა. **ტ. სიმკინა** — გამაფრთხილებელი მუშაობის ორგანიზაცია ქარხანაში. **ი. პორტნოვი** — აფექტირებული განზრახვის თავისებურებანი. **ა. პროხოროვი** — მუშაკთა ატესტაცია და დათხოვნის გამო შრომის დავათა განხილვის ქვემდებარეობა. **ტ. ევდოკიმოვა** — ბავშვებისათვის ალიმენტის გადახდა. **რ. რიაბინი** — **ნ. მიხნო** — წყლის დაცვის კანონმდებლობის შესრულების შემოწმება. **გ. ანაშკინი** — სახალხო მსაჯულების მომზადება სისხლის სამართლის საქმის განხილვისათვის. **ვ. კრიგერი** — ეუპასუხებთ მკითხველთა წერილებს. **დ. ოლხოვი** — საუბარი რუსეთის სფს რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელ ნუშაკებთან. **კ. კაჩკურკინი** — იურიდიული სამსახურის ეფექტიანობა. **ი. უტკინი.** სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეების განხილვაზე ზედამხედველი განყოფილების მუშაობის ორგანიზაცია. **ა. ბერენზონი, ნ. შახილო** — სსრ კავშირის პროკურატურის კანონის შესახებ შემოსულ წინადადებათა მიმოხილვა. **ი. ორლოვი** — ექსპერტიზის ჩატარების დროს ექსპერტისა და საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ. **ვ. ვასილევი** — **ა. იუდინის** წინადადებას ვერ დავეთანხმებით. **კ. ველიჩკინი** — კი არ გავაუმჯობესებთ, არამედ სრულვყოფთ. **ა. კრავცოვი** — შრომითს კოლექტივში. **ვ. კუზნეცოვი** — საბჭოთა იურისტების ასოციაციაში. **სსრ კავშირის პროკურატურის** დელეგაცია **ბულგარეთის სახალხო** რესპუბლიკაში. **საპროკურორო ზედამხედველობის** პრაქტიკა. **ვ. კოზაკი, ა. უშაკოვი** — **ნ. სტრუჩკოვი.** სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მისი რეალიზაცია დამნაშავეობასთან ბრძოლაში. **ვ. სოიფერი** — **ა. ზაიკინი, ე. ვოილენკო, ვ. გეიხანი.** სსრ კავშირის შრომის კანონმდებლობის საფუძვლები. **ი. ტროფიმოვი, მ. ბრუსკინი** — **ი. ტკაჩკევსკი.** ხანდაზმულობა საბჭოთა სისხლის სამართალში. **დ. ოლხოვი** — არასრულწლოვანთა შრომის სამართალდარღვევათა თავიდან აცილება. **ი .გორიანოვი** — ლიტერატურა დედათა და ბავშვთა ინტერესების დაცვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 3



ვ. ლაზარევი (ყაზანი) — სამართლებრივი რეგულირების როლის ამაღლება განვითარებული სოციალიზმის კანონზომიერებაა. ნ. ვიტრუკი (მოსკოვი) — პიროვნების უფლებრივი მდგომარეობის თეორიის საფუძვლები (საკითხის მეთოდოლოგიისათვის). დ. ჩეჩოტი — სსრ კავშირის კონსტიტუცია და ადმინისტრაციის საქმიანობისადმი სასამართლო კონტროლი. პ. დაგელი, ტ. ბუშუევი (ვლადივოსტოკი) — სსრ კავშირის კონსტიტუცია და გარემოს საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის კრიმინალიზაცია. დ. ბახრახი (პერმი) — ადმინისტრაციული უწყება: ცნება, სამართალსუბიექტობა. დ. საფიულინი (სვერდლოვსკი) — არბიტრაჟის პრაქტიკა და წინასახელშეკრულებო დავები. ი. გურევიჩი— საკრედიტო და საანგარიშსწორებო კანონმდებლობის კოდიფიკაცია. ვ. რასსუდოვსკი (მოსკოვი) — დასესხება და პლაგიატი საავტორო სამართალში. ე. პუშმინი, ა. პორკი (მოსკოვი) — ევროპის ახლანდელი საზღვრების საერთაშორისო-სამართლებრივი განმტკიცება. ი. სტრუჩკოვი (მოსკოვი) — ბ. ს. უტევსკი (1887—1970) ე. სუბოტინი — (ხარკოვი) — სეზონური და დროებითი მუშაკების შესახებ კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები. ო. ბაევი (ვორონეჟი) — კონფლიქტები წინასწარი გამოძიების დროს. ნ. სემიდერუინი (მოსკოვი) — რუსეთის სფს რესპუბლიკის 1925 წლის კონსტიტუციის შემუშავება. ვ. ლიხაჩოვი (მოსკოვი) — ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუცია და რევოლუციურ-დემოკრატიული არმიის შექმნა. ი. მატვეევი (კიევი) — მთარგმნელთა უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი დაცვა. ს. ჰუსეინოვი. — ვ. შევცოვი. ეროვნული სუვერენიტეტი (თეორიისა და მეთოდოლოგიის საკითხები) ი. როუკო, ვ. შუტკო (მოსკოვი) — ა. შჩიგლივი. სსრ კავშირის საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნისა და განვითარების კანონზომიერებანი. პოლიტიკურ-სამართლებრივი გამოკვლევა. ს. ალექხეევი (სვერდლოვსკი) — ვ. კუზნეცოვი. სამართალი და ყოფაქცევა. ლ. გალპერინი, ნ. ბოჩკარიოვი, ა. ლოსკუტოვი (ნოვოსიბირსკი) — სამართალმცოდნეობაში კიბერნეტიკის გამოყენების საფუძვლები. ტ. ფატალსკი (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა) ბ. ზავადსკაია. წარმომადგენლობა სოციალისტურ სახელმწიფოში. ბ. მოლოდცოვი, ვ. პოპოვი, ვ. შაიხატდინოვი (სვერდლოვსკი) — ვ. შუბერტი. შრომის სამართლის ნარკვევი. ი. ბიხოვსკი, ე. პოდგოლინი — ბ. ხოლისტი. კრიმინალისტიკა. ა. შლიაპოჩნიკოვი, ზ. იაკოვლევა (მოსკოვი) — ს. ოსტროუმოვი. საბჭოთა სასამართლო სტატისტიკა. ზოგადი და სპეციალური ნაწილი. ზ. ზინატულინი (ყაზანი) — ვ. პონარინი. სამოქალაქო სარჩელის წარმოება სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას.

№ 7



მიწინავე — სოფლის მეურნეობის განვითარების თაობაზე პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულებას იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების შეუნელებელი ყურადღება. ვ. სემენკო — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურება ნ. გუდიმოვი — პრემიები სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის. ვ. კონდრატევა — სამართალდმზრდელობითი მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობას შორის. ე. ეიდინოვა — სამემკვიდრეო სამართლის საკითხები ნოტარიალურ და სასამართლო პრაქტიკაში ვ. ტეპლოვი, ვ. შვიდკოვი — სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლების მასალების განხილვა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქით შეცვლა. ვ. ტკაჩენკო — აუცილებელი მოგერიების გამიჯვნა უკიდურესი აუცილებლობისაგან. გ. ანაშკინი, ნ. შიმბარევა — ბუნების დაცვა სსრ კავშირის ძირითადი კანონის მოთხოვნაა. ვ. კოლოუანინი — ადმინისტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაციული სამართალდარღვევით მიყენებული ქონებრივი ზარალის ანაზღაურება, ვ. **სტუკოვი**— ადვოკატების ინდივიდუალური შეფობა არასრულწლოვანთა მიმართ. ვ. **ოკოლოვი** — ცხოვრების პრინციპი. მ. **კოკოვი** — ასანაზღაურებელი თანხის განაწილება ამნაზღაურებელთა შორის. ა. **პავლოვი** — სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო ნადირობისათვის. ნ. **კოროლიოვი** — სახალხო სასამართლოს ბრძოლა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში გატაკებებისა და უყაირათობის წინააღმდეგ. ი. **მოვშიჩი** — ვინ უნდა ჩაატაროს ექსპერტიზა სახლთმფლობელობის გაყოფის საქმეებზე. ვ. **ვაკენკოვი** — თავიდან ავიცილოთ სამართალდარღვევა. საერთაშორისო სემინარი.

№ 3

მოწინავე — სახალხო მეურნეობის გეგმიანი განვითარება — მნიშვნელოვანი კონსტიტუციური პრინციპია. ვ. **როდიონოვი** — სამართლებრივი პროპაგანდის და სამართლებრივი აღზრდის ორგანიზაცია. ვ. **პორტნოვი** — მართლმსაჯულების ლენინური საფუძვლები პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებებში. პ. **პონომარიოვი** — სასჯელის სოციალური არსის ლენინური იდეების რეალიზაცია. ი. **ლუბშევი** — ლენინის ანდერძის გზით. ო. **მარკინი** — სამართალდარღვევის თავიდან აცილების ადმინისტრაციული კომისიების მუშაობა. ნ. **ნიკოლსკაია**— სასამართლო პრაქტიკა მოქალაქეთა ქმედუნარიანობის შეზღუდვის საქმეებზე. ი. **ივანოვი** — ახალი კანონმდებლობაში მებაღეობის ამხანაგობათა შესახებ. ნ. **ლებედევი** — მოსამართლე ბელოიარსკიდან. ნ. **ვორონინი** — პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის მნიშვნელოვანი ფაქტორი. რ. **კიზალოვი** — თანამშრომლობა ფართოვდება. პ. **ლაგელი** — გარემოს დაცვა გაბინძურებისაგან მინერალური სასუქებას გამოყენების დროს **რ. იასანდაიკინი** — სამართალმზრდელობითი მუშაობა ოლქში. ხ. **აქსელროდი** —ეს ხელს შეუწყობს საწარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. ლ. **ნადი** — ექსპერტიზა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართალში. ვუპასუხებთ შეკითხვებზე.

№ 4

РАДЯНСЬКЕ ПРАВО

ვ. **ფილონენკო** — საბჭოების მხრივ კონტროლის განხორციელება მიწების რაციონალურად გამოყენებისათვის. ვ. **ვასილენკო** — უკრაინის სსრ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის კონსტიტუციური რეგლამენტაცია. ვ. **ოლეფირენკო** — მშრომელთა მორალურ-სამართლებრივი აღზრდის მარად ცოცხალი ლენინური მემკვიდრეობა. ა. **კულიბაბა** კონტროლის ორგანიზაცია ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში. ნ. **მაზანი** — საბჭოების მუშაობა ბუნების დაცვის უზრუნველსაყოფად. გ. **სკრიმა** — მუდმივი კომისიების მუშაობის კოორდინაცია აღმასკომის მიერ. ნ. **ლეშჩენკო** — საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ზოგიერთი საკითხი. მ. **კულიაში** — ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მიწის კანონმდებლობის დარღვევისათვის ვ. **გრეჩკო, ვ. ჩუიკოვი** — ბუნების დაცვის საკითხები სასამართლო პრაქტიკაში. ვ. **გოლინა, ხ. კაზაკოვი** — ნასამართლობის გაქარწყლება. ა. **ლისიუკი**— მშობლიური უფლების ჩამორთმევის საქმეების განხილვა სასამართლოებში მ. **ზინჩენკო** — საპროკურორო ზედამხედველობა შრომის დისციპლინის კანონმდებლობის დაცვაზე. პ. **მელნიკი, ა. კოლტოვსკი** — საზოგადოებრივი გაერთიანებანი და მათი როლი სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში. **მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში.** ახალი კანონმდებლობაში. **უკრაინის სსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკიდან, არბიტრაჟის პრაქტიკა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 5

ო. პავშუკოვი — საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა ბავშვთა ბედნიერებისათვის. **ი. კირილენკო** — გმირი ქალაქი მომავლის გზას იკაფავს. **ი. ოვჩინიკოვი** — ადგილობრივი საბჭოების მასობრივ-ორგანიზაციული მუშაობის არსი და ეფექტიანობა. **ვ. სამსონოვი** — ჯანმრთელობის დაცვის დარგში მართვის პრობლემები. **კ. ზუი** — მუდმივმოქმედი კომისიები აკონტროლებენ. **ა. ნოვოშიცკი** — იურიდიული სამსახურის როლი საკავლევ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა წესრულებისათვის. **ნ. ბარანეცი** — რაიონის კოლმეურნეობების სამართლებრივი მომსახურება. **ი. დრუჟინინი** — ნარკოტიკული ნივთიერებების გატაცების კვალიფიკაცია. **გ. ულიტინი** — შემოხვევის ადგილის დათვალიერება სავაჭრო გემზე დატაცების საქმეთა გამოძიების დროს. **ე. კრიგინი** — ადმინისტრაციულ პროცესში კრიმინალისტიკური ექსპერტიზის გამოყენება. **მ. გოლოდნი** — საცხოვრებელი ბინის აღრიცხვიდან მოხსნის საფუძვლები. **ი. ალექსანდროვი**— სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უკრაინის სსრ სსკ 211 მუხლით. **ა. შიმანსკი** — ადვოკატის ურთიერთობა პროცესში სასამართლოს შემადგენლობასთან და სხვა მონაწილეებთან. **ი. ბუტკო** — აღმასკომის მუშაობის პრაქტიკაში მეცნიერული რეკომენდაციების დანერგვის საკითხები. **ვ. გონჩარენკო** — სისხლის სამართლის სამართლწარმოებაში მეცნიერების მიღწევების დანერგვის მდგომარეობა და პერსპექტივები. **მ. სივოლობოვა** — საცხოვრებელი ფართობის და კომუნალური მომსახურების გადახდა. სამამულო ომის მონაწილეების მიერ. **ა. ზლენკო** — აპარტეიდი ადამიანის უფლებათა ყველაზე უხეში დარღვევაა. **ახალი კანონმდებლობაში. უკრაინის სსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა. ნ. გორლანი** — განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია — ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი. **ვ. ცვეტკოვი, ვ. ივანოვი, ვ. კუბკო** — **ი. ტიხომიროვი** მართვის მექანიზმი განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში.

არბიტრაჟის პრაქტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ჯარიმა უხარისხო საქონლის მიწოდებისათვის, თუ სავაჭრო გარიგებაში ამის შესახებ პირდაპირ არის აღნიშნული

1977 წლის 16 თებერვლის № 273 სავაჭრო გარიგების თანახმად სტავროპოლის სარაიონთაშორისო უნივერსალურმა ბაზამ ივანოვის ოლქის ქალაქ კინეშმის № 4 უნივერმაღს მიჰყიდა თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკის შეკერილი ნაწარმი.

ვინაიდან ბაზის მიერ ფაბრიკის ნაწარმის უნივერმაღისათვის გადგზავნა არ გამომდინარეობდა მათ შორის დადებული ხელშეკრულებიდან, არამედ იგი საქონელს ჰყიდდა სავაჭრო გარიგებით, მოვალე იყო გაყიდვის წინ შეემოწმებინა საქონლის ხარისხი.

გარიგების მეორე პუნქტით გამყიდველი ვალდებული იყო მყიდველისათვის საქონელი მიეყიდა სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად. ამასთან, გარიგება ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ვალდებულების არასათანდოდ შესრულებისათვის სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების მიხედვით.

საქმის მასალებით სტავროპოლის ბაზას საქონლის ხარისხი გაყიდვის წინ არ შეუმოწმებია, ხოლო უნივერმაღის შემოწმებით ნაყიდ საქონელს აღმოაჩნდა საწარმოო ხასიათის დეფექტები, რითაც დარღვეული იყო სავაჭრო გარიგებების მეორე პუნქტის მოთხოვნა.

ამასთან დაკავშირებით უნივერმაღმა მოითხოვა გადაეხადა ფაბრიკას ან ბაზას ჯარიმის თანხა — 1041 მანეთი.

ფაბრიკა არ უარყოფდა უხარისხო პროდუქციის მიწოდების ფაქტს, მაგრამ მის მიმართ გასული იყო კანონით გათვალისწინებული ექვსთვიანი ხანდაზმულობის ვადა.

იმის გამო, რომ სავაჭრო გარიგებაში აღნიშნული იყო მხარეთა პასუხისმგებლობა საერთო წესით, ბაზის მიმართ მოთხოვნა წაყენებული იყო კანონით გათვალისწინებული ექვსი თვის ფარგლებში, სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების 62-ე პუნქტის, თანახმად ჯარიმის თანხის გადახდა დაეკისრა ბაზას.

2. ტრანსპორტირების დროს დაზიანებული ტვირთის ღირებულება ტვირთის გამგზავნს დაეკისრება, თუ იგი ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი გადამზიდველის ბრალით არის გამოწვეული

თბილისის სარკეებისა და მექანიკურ ნაკეთობათა კომბინატმა სახელმწიფო არბიტრაჟში აღძრა სარჩელი, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ან სარატოვის მინის ქარხანას გადაეხადა 1795 მანეთი, რაც შეადგენდა რკინიგზით ტრანსპორტირების დროს დაზიანებული მინის ღირებულებას.

ტვირთის გამგზავნი — მინის ქარხანა უარყოფდა სარჩელს ტვირთის დაზიანებაში მისი ბრალის არარსებობის საფუძველზე.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მიერ საქმეზე წარმოდგენილ განმარტებაში ნათქვამი იყო, რომ გამგზავნის მიერ მინა გადასაზიდად კონტეინერში ჩატვირთული იდო სათანადო გამაგრების გარეშე, რომ ტვირთი ჩაბარდა მიმღებს ტექნიკურად გამართული გადასაზიდი საშუალებით, გამგზავნისავე წესივრული პლომბებით. ვინაიდან ასეთი განმარტება ემყარებოდა საქმეში არსებულ კომერციულ და ექსპერტიზის აქტს, იგი მიღებულ იქნა არბიტრაჟის მიერ და პასუხისმგებლობა ტვირთის გამგზავნს დაეკისრა.

საქმეში არსებული მასალებით და მხარეთა განმარტებით აღნიშნული დავის გარშემო დადგინდა სსრ კავშირის რკინიგზების წესდების 149-ე მუხლისათვის დამახასიათებელი გარემოება, რაც იმით გამოიხატება, რომ ტრანსპორტირების პროცესში გამორიცხულია ტვირთის ხელყოფა (ულხლება) როგორც რკინიგზის, ასევე სხვა გარეშე პირთა მიერ. ამასთან დაკავშირებით, მტკიცების ტვირთი სარჩელის წარმომდგენზე გადაეიდა. უკანასკნელმა ვერ დაამტკიცა, რომ პროდუქციის მტვრევა გადამზიდველის ბრალით მოხდა. ასეთი ვერც ტვირთის გამგზავნმა დაამტკიცა.

ზარალის ანაზღაურება სსრ კავშირის რკინიგზის წესდების 149-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, მინის ქარხანას დაეკისრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს არბიტრაჟის მთავარმა არბიტრმა ქარხნის საჩივარი არ გაიზიარა უსაფუძვლობის გამო და გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

3. სახელმწიფო არბიტრაჟი უფლებამოსილია თავისი ინიციატივით საქმეზე მოპასუხედ ჩართოს რკინიგზა, მიუხედავად იმისა, წაყენებული ჰქონდა თუ არა მას პრეტენზია

სახელმწიფო არბიტრაჟის სამეურნეო დავების განხილვის წესდების 23-ე პუნქტი ითვალისწინებს სათანადო საფუძვლის არსებობისას გადაწყვეტილების გამოტანამდე საქმეში სხვა მოსარჩელის ან მოპასუხის ჩაბმას. ეს საპროცესო მოქმედება ხდება სათანადო განჩინების გამოტანით.

ეს წესი ვრცელდება სატრანსპორტო ორგანიზაციის, კერძოდ, რკინიგზის მიმართაც იმ გამონაკლისით, რომ საქმეში რკინიგზის ჩაბმა, როცა მის მიმართ პრეტენზიის და სარჩელის წაყენების უფლება ეკუთვნის მოპასუხეს და არა მაძიებელს, არ დაიშვება (სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1962 წლის 29 მარტის № ი-1-9 ინსტრუქციული წერილის მე-9 პუნქტი).

ასეთ შემთხვევაში პირველადი მაძიებელი ვალდებულია საქმეში ჩაბმულ მხარეს (საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას) გაუგზავნოს სარჩელის ასლი და ამის შესახებ მტკიცებულება წარმოუდგინოს სახელმწიფო არბიტრაჟს.

4. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, საზოგადოებრიობის წარმომადგენელი შეიძლება მონაწილეობდეს საქონლის (პროდუქციის) მიღებაში არა უმეტეს ორჯერ თვეში

მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის მთავარ სამმართველოში შემავალმა კუიბიშევის რაიონულმა ხილბოსტანვაჭრობის კანტორამ სარჩელით სასოფლო პროდუქტების დაქზადების ბოლნისის გაერთიანებისაგან მოითხოვა 7671 მანეთის გადახდა, რაც შეადგენდა გაერთიანების მიერ მიწოდებული უხარისხო კარტოფილის, დანაკლისის და ტარაში სხვაობის ღირებულებას.

სადავო პროდუქციის მიწოდება და გადაზიდვა განხორციელდა № 029362 და № 625030 სარკინიგზო ხელშეკრულებით. დანიშნულების სადგურში ტვირთი მოვიდა რაიმე ხელყოფის ნიშნების გარეშე. ამასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული სარკინიგზო ზედდებულების შესაბამის გრაფაში სატრანსპორტო ორგანოს მიერ გაკეთებული იყო სათანადო აღნიშვნა 1978 წლის 24 ივნისს მიმღებისათვის ტვირთის წესივრულ მდგომარეობაში გაცემის შესახებ.

კარტოფილისა და ხილბოსტნეული პროდუქციის მიწოდების განსაკუთრებული პირობების 21-ე, 24-ე პუნქტები უფლებას აძლევს მიმღებს შეამოწმოს, მიღებული პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი სატრანსპორტო ორგანოს მიერ ტვირთისგაცემის შემდეგ სათანადო კომისიის მეშვეობით. მიმღები კომისიის წევრთა გამოყოფა უნდა მოხდეს საკავშირო არბიტრაჟის მიერ დამტკიცებული საქონლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიღების შესახებ № 3-6, № 3-7 ინსტრუქციების შესაბამისად. საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის რაოდენობრივი მიღების წესის შესახებ ინსტრუქციის (№ 3-6) მე-20 პუნქტით გათვალისწინებულია მიმღები საწარმოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლის მონაწილეობა სათანადო რწმუნებით საქონლის მიღებაში არა უმეტეს ორჯერ თვეში.

საქმის მასალების შესწავლით დადგინდა, რომ საზოგადოებრივ წარმომადგენელს საქონლის მიღებაში მონაწილეობა მიუღია გასული წლის ივნისში სამჯერ, მათ შორის მესამედ — სადავო გზავნილებათა ტვირთის მიღებისას. ამის გამო რწმუნება საზოგადოებრივი წარმომადგენლის რაოდენობრივ მიღებაში მონაწილეობის შესახებ არ იქნა მიჩნეული მტკიცებულებად და საქმის მასალებით მოპასუხის (გამგზავნის)ბრალი ვერ იქნა დადგენილი.

ამის საფუძველზე სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული.

ოფიციალური მასალა

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ სსრ კავშირის კანონისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად დაერქვას:

— საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს — საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტი;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარ სამმართველოს — საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარ სამმართველოს — საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო;

— საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს — საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველო.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს სსრ მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე შედიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი შეუსაბამოს საქართველოს სსრ კანონს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ.

4. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ სახალხო კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სართა საბჭოს დებულება, რომელიც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკ-ის მესამე სესიის მიერ 1924 წლის 8 ოქტომბერს და სამოქმედოდაა შემოღებული სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკ-ის 1925 წლის 12 იანვრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ., 1925 წ., № 1, მუხ. 2).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1978 წ. 21 დეკემბერი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო — საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო — საქართველოს სსრ მთავრობა — საქართველოს სსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა.

საქართველოს სსრ კონსტიტუცია ლენინური იდეებისა და პრინციპების საფუძველზე სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს როლსა და ამოცანებს სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ფუნქციათა განხორციელებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხი, რომლებიც საქართველოს სსრ რესპუბლიკის გამგებლობაშია, რამდენადაც ეს საკითხები კონსტიტუციის თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციაში არ შედის.

თავის საქმიანობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირის კანონებითა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კანონების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ კანონების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს, ორგანიზაციას უწევს და ამოწმებს მათს შესრულებას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულება სავალდებულოა საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებისა და სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს მთავარი ამოცანების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ეწევა საქმიანობას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

ახორციელებს ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას სოციალიზმის ეკონომიკურ კანონთა და უპირატესობათა ყოველმხრივი გამოყენების საფუძველზე;

უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის დინამიკურ, გეგმაზომიერ და პროპორციულ განვითარებას, აჩქარებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ამაღლებს წარმოების ეფექტიანობასა და მუშაობის ხარისხს საბჭოთა ადამიანების მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების მიზნით;

აუმჯობესებს ხალხის კეთილდღეობას და ამაღლებს მის კულტურას, იცავს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ქმნის ხელშემწყობ პირობებს პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის;

კიდევ უფრო განამტკიცებს ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების შეკავშირებას კომუნიზმის ერთობლივი მშენებლობის მიზნით, უზრუნველყოფს საქართველოს სს რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ინტერესების შეხამებას.

უზრუნველყოფს ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას ახლანდელ და მომავალ თაობათა ინტერესებისათვის;

სრულყოფს სახელმწიფო მართვას;

იცავს სახელმწიფო ინტერესებს, იცავს და ამრავლებს სოციალისტურ საკუთრებას, კიდევ უფრო განამტკიცებს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას;

მონაწილეობს ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ღონისძიებათა განხორციელებაში;

ახორციელებს საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას სსრ კავშირის კონსტიტუციით განსაზღვრული საგარეო პოლიტიკის მიზნების, ამოცანებისა და პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს დემოკრატიული ცენტრალიზმის, სოციალისტური ფედერალიზმის, სოციალისტური კანონიერების, საჯაროობისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით:

უზრუნველყოფს, რომ ერთმანეთთან შეხამებული იყოს სახელმწიფო მმართველობის საკითხთა ცენტრალიზებული გადაწყვეტა და რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი ორგანოების ინიციატივის განვითარება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საკითხების კოლეგიური განხილვა და გადაწყვეტა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და მუშაობის მინდობილ უბნებზე საქმის ვითარებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წევრთა პერსონალური პასუხისმგებლობა;

ორგანიზაციას უწევს შესაბამისი საკითხების გადაწყვეტის დროს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და მოქალაქეების წინადადებათა გამოვლენასა და გამოყენებას, ინფორმაციას აწვდის მოსახლეობას თავისი მუშაობისა და მიღებულ ძირითად გადაწყვეტილებათა შესახებ;

უზრუნველყოფს სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის კანონების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას;

ხელს უწყობს სსრ კავშირის უფლებამოსილებათა განხორციელებას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, ახორციელებს სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოთა გადაწყვეტილებებს.

იმ საკითხთა განხილვაში, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო წყვეტს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაწილეობენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რესპუბლიკური ორგანოები მათი საწესდებო ამოცანების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო იყენებს მეცნიერების მიღწევებს სახელმწიფო მმართველობის საკითხთა გადაწყვეტის დროს.

მუხლი 4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნის წესი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქმნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, საქართველოს სსრ მინისტრები, საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგენით საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს შეუძლია საქართველოს სსრ მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანოს საქართველოს სსრ სხვა ორგანოთა და ორგანიზაციათ ხელმძღვანელები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილებები შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო სესიებს შუა პერიოდში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალ ცალკეულ პირებს თანამდებობიდან ათავისუფლებს და თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგენით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს მის მორიგ სესიაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავის უფლებამოსილებას იხსნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს წინაშე მის პირველ სესიაზე.

მუხლი 5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

ახლად შექმნილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარადგენს განცხადებას თავისი მომავალი საქმიანობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო რეგულარულად აბარებს ანგარიშს თავისი მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წევრი, რომელსაც შეკითხვით მიმართავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოვალენი არიან სიტყვიერი ან წერილობითი პასუხი გასცენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიათა რეკომენდაციებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა წინადადებებს და დაწესებულ ვადაში აცნობებს მათ განხილვის შედეგების ან განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

II. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კომპეტენცია

მუხლი 6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კომპეტენციის ზოგადი საკითხები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირის კანონებით, ამ კანონითა და საქართველოს სსრ სხვა კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით გათვალისწინებული თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

უზრუნველყოფს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული მშენებლობისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა სფერრების ხელმძღვანელობას, ახორციელებს საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების დარგების ხელმძღვანელობას;

ორგანიზაციას უწევს სამრეწველო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და გაერთიანებათა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა, სამეცნიერო დაწესებულებათა, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მართვას;

განსაზღვრავს სახელმწიფო საწარმოთა, გაერთიანებათა, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს;

განსაზღვრავს სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ამოცანებსა და ფუნქციებს, მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს; ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სისტემის, მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობას საქართველოს სსრ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მის კომპეტენციაში შემავალი სახელმწიფო მმართველობის ცალკეული საკითხების გადაწყვეტა გადასცეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო დეპუტატთა რაიონულ და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტებს, თავის საქვეუწყებო სხვა ორგანოებს.

მუხლი 7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი ეკონომიკის განვითარების დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ ეკონომიკის როგორც სსრ კავშირის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შემადგენელი ნაწილის განვითარებას ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების საფუძველზე, დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების გათვალისწინებით, საწარმოთა, გაერთიანებათა და სხვა ორგანიზაციათა სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან ცენტრალიზებული მართვის შეხამების პირობებში;

2) იღებს ზომებს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ოპტიმალური ტემპის, ეროვნული შემოსავლის ზრდისა და მისი რაციონალური განაწილების უზრუნველსაყოფად; ხელს უწყობს საჭირო სახელმწიფო რეზერვების შექმნას;

3) შეიმუშავებს წინადადებებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ, ორგანიზაციას უწევს მისი ერთგვაროვანი დარგების ჯგუფების მართვას, კოორდინაციას უწევს სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებას; ახორციელებს ღონისძიებებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად;

4) მონაწილეობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი კომპლექსური საერთო-სახელმწიფოებრივი, სადარგთაშორისო და ტერიტორიული პრობლემების გადაწყვეტაში; უზრუნველყოფს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტას;

5) უზრუნველყოფს სამეურნეო ანგარიშის, მოგების, თვითღირებულებისა და სხვა ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების აქტიურ გამოყენებას; ახორციელებს ღონისძიებებს სოციალისტური წარმოების შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერებისათვის;

6) შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს მიწისა და მისი წიაღისეულის, წყლის რესურსების, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენებისათვის, ჰაერისა და წყლის სისუფთავის დაცვისათვის, ბუნებრივ სიმდიდრეთა კვლავწარმოების უზრუნველყოფისა და ადამიანის გარემომცველი ბუნების გაუმჯობესებისათვის.

მუხლი 8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი სოციალური განვითარებისა და კულტურის დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) იღებს ზომებს შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე შრომის ანაზღაურების დონის ამაღლებისათვის, მშრომელთა რეალური შემოსავლის, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გადიდებისათვის;

2) ახორციელებს ღონისძიებებს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სისტემის და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და სრულყოფისათვის, მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვისა და გაკაჟებისათვის, ხელს უწყობს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას;

3) მონაწილეობს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკის განხორციელებაში; ორგანიზაციას უწევს სოციალური უზრუნველყოფის მართვას საქართველოს სს რესპუბლიკაში; ხელს უწყობს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ღონისძიებათა განხორციელებას;

4) ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განვითარებისა და დაცვისათვის; ხელს უწყობს კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას; უზრუნველყოფს ხელმძღვანელობას ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისადმი;

5) იღებს ზომებს საჯალხო განათლების ერთიანი სისტემის, კულტურის დაწესებულებათა ქსელის განვითარებისა და სრულყოფისათვის, საბჭოთა ადამიანების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მიზნით სულიერ ღირებულებათა დაცვის, გამრავლებისა და ფართოდ გამოყენებისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის; ხელს უწყობს პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას; იღებს ზომებს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დასაცავად;

6) ახორციელებს ღონისძიებებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სახელმწიფო სისტემების განვითარებისათვის; ორგანიზაციას უწევს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის მართვას; ხელს უწყობს კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობას მოსახლეობის მომსახურების ყველა სფეროში.

მუხლი 9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვის დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში შეაქვს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სიმდიდრე და პერსპექტიული სახელმწიფო გეგმები, იღებს ზომებს სახელმწიფო გეგმების განხორციელებისათვის, წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს ანგარიშებს გეგმების შესრულების შესახებ;

2) ორგანიზაციას უწევს იმ მუშაობას, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა — საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურმა ორგანომ დაგეგმვის დარგში, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, საჯალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ სამინისტრო-

ებმა და სახელმწიფო კომიტეტებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოებმა მოამზადონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტები; უზრუნველყოფს გეგმების შეწონასწორებასა და სტაბილურობას, დაგეგმვის მეთოდების სრულყოფას; იღებს ზომებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საწარმოო ძალების რაციონალური განლაგებისათვის, საქართველოს სს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების, რაიონების და რუსპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველსაყოფად;

3) მონაწილეობს კომპლექსური საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში, ორგანიზაციას უწევს ეკონომიკური, სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების კომპლექსური რესპუბლიკური პროგრამების შემუშავებას და უზრუნველყოფს მათს შესრულებას;

4) ხელს უწყობს აღრიცხვისა და სტატისტიკის ერთიანი სისტემის ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელებას.

მუხლი 10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი ფინანსების, კრედიტისა და ფასების დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) იღებს ზომებს საქართველოს სს რესპუბლიკაში საბჭოთა სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკის განხორციელებისათვის;

2) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში შეაქვს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს, იღებს ზომებს მისი განხორციელებისათვის, წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს ანგარიშს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

3) ხელს უწყობს ფულადი და საკრედიტო სისტემის განმტკიცების, სახელმწიფო დაზღვევის ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელებას;

4) მონაწილეობს ფასების ერთიანი პოლიტიკის განხორციელებასა და ფასების სისტემის სრულყოფაში.

მუხლი 11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი შრომისა და ხელფასის დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) ახორციელებს მოქალაქეთა შრომის უფლების უზრუნველყოფის ღონისძიებებს; უზრუნველყოფს შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას; მონაწილეობს შრომის ანაზღაურების დარგში ერთიანი პოლიტიკის განხორციელებაში;

2) შეიმუშავებს ღონისძიებებს სახალხო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის, საწარმოო პროცესთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის თანამედროვე საშუალებების ფართოდ დანერგვის უზრუნველსაყოფად, შრომის პირობებისა და დაცვის, მისი მეცნიერული ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, სოციალისტური შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად;

3) მონაწილეობს სსრ კავშირის კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში ხელფასის ნორმირებაში; ახორციელებს ღონისძიებებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ხელფასის მასტიმულირებელი როლის გაძლიერებისათვის; უზრუნველყოფს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპისა და ხელფასის ზრდის ტემპის საჭირო თანაფარდობას, მატერიალური და მორალური სტიმულების შეხამებას;

4) საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად იღებს ზომებს სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისა და მისი ქმედითობის ამაღლებისათვის;

5) დადგენილი წესით საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მონაწილეობით წყვეტს მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დროისა და დასვენების დროის რეგულირების ცალკეულ საკითხებს;

6) საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით უზრუნველყოფს კადრების მომზადებისა და გამოყენების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციას.

მუხლი 12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) მონაწილეობს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ერთიანი პოლიტიკის განხორციელებაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგნოზების შემუშავებაში;

2) განსაზღვრავს უმნიშვნელოვანესი რესპუბლიკური მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტის სამუშაოთა პროგრამებს;

3) შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის, მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მეცნიერული კვლევის შედეგების, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვისათვის;

4) წარმართავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობას.

მუხლი 13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) ახორციელებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისა და დაცვის ღონისძიებებს;

2) წარმართავს სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას სოციალისტური საკუთრების დასაცავად;

3) უზრუნველყოფს კანონმდებლობის დაცვას საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, მისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების მიერ, სამართლებრივი მუშაობის ორგანიზაციას სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, საწარმოებში, გაერთიანებებში, სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

4) იღებს ზომებს მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

მუხლი 14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) ახორციელებს სსრ კავშირის კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში ღონისძიებებს ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად და თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) მონაწილეობს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების აღჭურვაში ყოველივე იმით, რაც აუცილებელია, რომ მათ მოიხადონ თავიანთი ვალი ხალხის წინაშე — საიმედოდ დაიცვან სოციალისტური სამშობლო;

3) იღებს ზომებს მოქალაქეთა სამხედრო მომზადებისა და ნამდვილ სამხედრო სამსახურში გასაწვევად;

4) ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვას.

მუხლი 15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძირითადი უფლებამოსილებანი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის დარგში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო:

1) ახორციელებს სსრ კავშირის მიერ დადგენილი წესით ხელმძღვანელობას უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს სს რესპუბლიკის ურთიერთობის დარგში;

2) ახორციელებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს სს რესპუბლიკის წარმომადგენლობას უცხოეთის სახელმწიფოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში;

3) იღებს ზომებს საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად და იმ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან საქართველოს სს რესპუბლიკისათვის;

4) ამტკიცებს და გაუქმებულად აცხადებს საქართველოს სსრ სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

მუხლი 16. საკითხები, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომებზე წყდება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომებზე წყდება სახალხო მეურნეობის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების და კულტურის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ბუნების რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფის, საქართველოს სსრ საერთაშორისო ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, განიხილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული სახელმწიფო გეგმების, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, სახელმწიფო გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შედეგები, საქართველოს სსრ კანონთა პროექტები, აგრეთვე განიხილება და წყდება სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები.

მუხლი 17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი. საკითხები, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე წყდება

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა საკითხების გადასაწყვეტად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი ორგანოს სახით მოქმედებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შედიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია შეიყვანოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში საქართველოს სსრ მთავრობის სხვა წევრებიც.

III. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ურთიერთობა სხვა სახელმწიფო ორგანოებთან

მუხლი 18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ურთიერთობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოებთან

სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მონაწილეობს სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში სსრ კავშირის მთავრობასა და სსრ კავშირის სხვა ორგანოებში და შეაქვს მათ განსახილველად წინადადებანი საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ურთიერთმოქმედებს სსრ კავშირის სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოებთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და ამ ორგანოების კომპეტენციის განხორციელებისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, უმნიშვნელოვანესი კომპლექსური საერთო-სახელმწიფოებრივი, სადარგთაშორისო და რეგიონალური პროგრამების შესრულებისას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველდღიური კავშირურთიერთობის უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, სსრ კავშირის კონსტიტუციით განსაზღვრული ამოცანებისა და მიზნების შესაბამისად ურთიერთმოქმედებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტისას.

მუხლი 19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ურთიერთობა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში წარმართავს და ამოწმებს აფხაზების ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მუშაობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც საქართველოს სსრ გამგებლობას განეკუთვნება, მონაწილეობენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად შეაქვთ წინადადებანი იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო უზრუნველყოფს საჭირო ურთიერთმოქმედებას აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებსა და საქართველოს სსრ სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოებს შორის მათი კომპეტენციის განსახორციელებლად და ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, უმნიშვნელოვანესი კომპლექსური საერთო-სახელმწიფოებრივი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური, სადარგთაშორისო და რეგიონალური პროგრამების შესასრულებლად, წყვეტს ამ დროს წამოჭრილ საკითხებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს შეაჩეროს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულება.

მუხლი 20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ურთიერთობა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელობას უწევს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც მის გამგებლობას განეკუთვნება, დადგენილი წესით მონაწილეობენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად შეაქვთ წინადადებანი იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო უზრუნველყოფს საჭირო ურთიერთმოქმედებას სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს სსრ სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოებს შორის მათი კომპეტენციის განსახორციელებლად და ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, უმნიშვნელოვანესი კომპლექსური საერთორესპუბლიკური, სადარგთაშორისო და რეგიონალური პროგრამების შესასრულებლად, გადაწყვეტს ამ დროს წამოჭრილ საკითხებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ახორციელებს კონტროლს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს გააუქმოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების განყოფილებათა და სამმართველოთა დებულებებს.

მუხლი 21. ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტებისადმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოებისადმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აერთიანებს და წარმართავს საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სახელმწიფო კომიტეტების, თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების მუშაობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სეიებს შუა პერიოდში — მის პრეზიდიუმში შეაქვს წინადადებები საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების შექმნისა და გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ქმნის საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საქმეთა კომიტეტებს, მთავარ სამმართველოებსა და სხვა უწყებებს, აგრეთვე გარდაქმნის და აუქმებს ამ ორგანოებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ამტკიცებს დადგენილი წესით დებულებებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების შესახებ, დებულებებს (წესდებებს) თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების შესახებ, აგრეთვე მათი ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და რიცხოვნობას და განსაზღვრავს მასში ცვლილებათა შეტანის წესს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კომიტეტების, მთავარი სამმართველოებისა და სხვა უწყებების ხელმძღვანელებს, საქართველოს სსრ მინისტრების მოადგილეებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეებსა და თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების ხელმძღვანელთა მოადგილეებს, ამტკიცებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების კოლეგიათა წევრებს. აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტების წევრებს.

მუხლი 22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კონტროლი თავისი საქვეუწყებო ორგანოების საქმიანობისადმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სისტემატურ კონტროლს უწევს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების საქმიანობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო იღებს ზომებს იმისათვის, რომ საქართველოს სსრ სამინისტროები და სახელმწიფო კომიტეტები, თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოები სრულად იყენებდნენ მინიჭებულ უფლებებს მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისა და თავიანთი ფუნქციების განხორციელებისათვის, მათ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების, თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების აქტები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია დაადოს საქართველოს სსრ მინისტრებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებს, თავისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების ხელმძღვანელებს, აგრეთვე მათს მოადგილეებს დისციპლინური სასჯელი.

თავის საკონტროლო საქმიანობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ეყრდნობა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს, რომელსაც ქმნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, წარმართავს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაობას სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სფეროსა და სახელმწიფო მმართველობის სხვა სფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როებში კონტროლის განსახორციელებლად, განიხილავს მის მიერ შემოწმებათა შედეგების საფუძველზე შეტანილ საკითხებსა და წინადადებებს.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე შედის საქართველოს სსრ მთავრობის შემადგენლობაში.

მუხლი 23. საქართველოს სსრ სამინისტროები

საქართველოს სსრ სამინისტროები საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოებია. საქართველოს სსრ სამინისტროები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს და პასუხს აგებენ ამ დარგების მდგომარეობისა და განვითარებისათვის, სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და შესაბამისი დარგების წინაშე დასახული სხვა ამოცანების გადაწყვეტისათვის.

საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს, ამასთან ემორჩილებიან როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისევე სსრ კავშირის შესაბამის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — სსრ კავშირის შესაბამის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამინისტროები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს, ამასთან ემორჩილებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია დააკისროს საქართველოს სსრ სამინისტროებს სადარგთაშორისო მმართველობის ცალკეული ფუნქციების განხორციელება.

საქართველოს სსრ სამინისტროები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ აქტებს სსრ კავშირის კანონების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ კანონების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, და განკარგულებების, სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების აქტების საფუძველზე და შესასრულებლად, ორგანიზაციას უწევენ და ამოწმებენ მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ სამინისტროებს სათავეში უდგანან მინისტრები, რომლებიც პერსონალურად აგებენ პასუხს იმისათვის, რომ შესაბამისმა სამინისტროებმა შეასრულონ მათთვის დაკისრებული ამოცანები და განახორციელონ თავიანთი ფუნქციები.

მუხლი 24. საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტები

საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტები საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოებია. საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტები ახორციელებენ სადარგთაშორისო მართვას და პასუხს აგებენ მათთვის მინდობილი მმართველობის სფეროს მდგომარეობისა და განვითარებისათვის.

საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტები ახორციელებენ სადარგთაშორისო მართვას, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — დარგობრივ მართვას. ამასთან ემორჩილებიან როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისევე სსრ კავშირის შესაბამის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტები ახორციე-

ლებენ სადარგთაშორისო მართვას, ამასთან ემორჩილებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია დააკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტებს მმართველობის დარგების ხელმძღვანელობის ცალკეული ფუნქციების განხორციელება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ აქტებს სსრ კავშირის კანონების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ კანონების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის შესაბამისი სახელმწიფო კომიტეტების აქტების საფუძველზე და შესასრულებლად, ორგანიზაციას უწევენ და ამოწმებენ მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტებს სათავეში უდგანან სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებიც პერსონალურად აგებენ პასუხს იმისათვის, რომ შესაბამისმა სახელმწიფო კომიტეტებმა შეასრულონ მათთვის დაკისრებული ამოცანები და განახორციელონ თავიანთი ფუნქციები.

IV. საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების ნუსხა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოები

მუხლი 25. საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები

საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს განეკუთვნებიან:

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო,
საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო,
საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო,
საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო,
საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო,
საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო,
საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო,

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 26. საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამინისტროები

საქართველოს სსრ რესპუბლიკურ სამინისტროებს განეკუთვნებიან:
საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო,
საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო,
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო,
საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო,
საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

მუხლი 27. საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტები

საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტებს განეკუთვნებიან:
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი,
საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი,
საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი,
საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი,
საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტი,
საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი,
საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი,
საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი,
საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი,
საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი.

მუხლი 28. საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტები

საქართველოს სსრ რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტებს განეკუთვნებიან საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი.

მუხლი 29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო ორგანოებია საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტი, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო, საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართვე-

ლო, რომელთა ხელმძღვანელები დადგენილი წესით შეჰყავთ საქართველოს სსრ მთავრობის შემადგენლობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებოა აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო და სამეურნეო, სოციალურ-კულტურული მშენებლობის საქმეთა სხვა კომიტეტები, მთავარი სამმართველოები, უწყებები და — საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად — სხვა ორგანოები.

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის წამოჭრილი სამეურნეო დავის გადასაწყვეტად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან მოქმედებს საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟი.

V. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუშაობის ორგანიზაცია

მუხლი 30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომები და სხდომებზე გადაწყვეტილებათა მიღების წესი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომები ეწყობა კვარტალში ერთხელ მაინც. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები ეწყობა რეგულარულად (საჭიროების კვალობაზე).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებზე გადაწყვეტილებებს იღებს შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წევრთა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა.

მუხლი 31. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეთაურობს საქართველოს სსრ მთავრობას და წარმართავს მის საქმიანობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დავალებით ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას და წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს შესაბამის წინადადებას:

წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — მის პრეზიდიუმს წინადადებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალ პირთა თანამდებობიდან განთავისუფლებისა და თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ;

ორგანიზაციას უწევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის მუშაობას და ხელმძღვანელობს მათს სხდომებს;

კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების საქმიანობას;

უზრუნველყოფს კოლეგიურობას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუშაობაში;

წარმომადგენლობს საქართველოს სს რესპუბლიკას საერთაშორისო ურთიერთობაში საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კანონების შესაბამისად;

გადაუდებელ შემთხვევებში იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები მოვალეობათა განაწილების შესაბამისად კოორდინაციას უწევენ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოების საქმიანობას, ახორციელებენ კონტროლს ამ ორგანოების საქმიანობისადმი და აძლევენ მათ ოპერატიულ წესით მითითებებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად და მათი საქმიანობის სხვა საკითხებზე; წინასწარ განიხილავენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შეტანილ წინადადებებსა და დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით ასრულებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

მუხლი 32. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მუდმივი კომისიები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხვა სამუშაო ორგანოები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს აქვს მუდმივი კომისიები. ამ კომისიათა ამოცანებს, ფუნქციებსა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სახალხო მეურნეობის დარგების ან მმართველობის სფეროების განვითარებასთან დაკავშირებულ წინადადებათა მოსამზადებლად, საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა პროექტების შესამუშავებლად და გადაწყვეტილებათა პროექტების გამო უთანხმოების განსახილველად, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის ცალკეულ დავალებათა შესასრულებლად შეიძლება შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დროებითი კომისიები და სხვა სამუშაო ორგანოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წინადადებათა შეტანისა და განხილვის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომელთაც ნორმატიული ხასიათი ან დიდი სახალხო-სამეურნეო და ზოგადი მნიშვნელობა აქვთ, გამოიცემა დადგენილებათა ფორმით. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი ქვეყნდება საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებულში, ხოლო თუ აუცილებელია მათი ფართო და დაუყოვნებლივ გამოქვეყნება, მათს საყოველთაო გაშუქებას უზრუნველყოფენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

გადაწყვეტილებანი ოპერატიულ და სხვა მიმდინარე საკითხებზე გამოიცემა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებათა ფორმით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს ხელს აწერენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებებს ხელს აწერენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარე ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

მუხლი 34. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატი

საქართველოს სსრ მთავრობის აპარატს, რომელიც ამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში განსახილველ საკითხებს და უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატურ შემოწმებას, წარმოადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა, რომელიც შედგება განყოფილებებისა და სხვა სტრუქტურული ქვეგანაყოფებისაგან.

საქართველოს სსრ მთავრობის აპარატს სათავეში უდგას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, რომელიც დადგენილი წესით შეჰყავთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

დებულებას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის შესახებ და მის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1978 წლის 21 დეკემბერი

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 14 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები „წვრილმანი სპეკულაციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1969 წ., № 6, მუხ. 123):

1) პირველი მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „პატიმრობით ვადით ათიდან თხუთმეტ დღემდე, ან“;

2) მე-3 და მე-4 მუხლებში სიტყვა „ღონისძიებათა“ შეიცვალოს სიტყვით „ღონისიების“;

3) მე-5 და მე-6 მუხლები ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი.

2. შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 5, მუხ. 81; 1975 წ., № 11, მუხ. 204):

1) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„1. დაწესდეს, რომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება, თუ იგი ჩადენილია პირველად, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე, მატერიალური ზარალის ანაზღაურებით“;

2) მე-6, მე-7 და მე-9 მუხლები ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლის მეორე ნაწილს ციფრების „150-153“ შემდეგ დაემატოს ციფრები „240, 252[1]“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1979 წლის 20 მარტი.

ინფორმაცია

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე აკ. კარანაძე.

მოხსენება — „თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ სასამართლოს მიერ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 30 ივნისის № 4 დადგენილება „სასამართლო განაჩენის შესახებ“ — გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ი. ჟორდანიამ.

რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებმა, — თქვა მომხსენებელმა, — 1978 წელს განახორციელეს ღონისძიებანი სისხლის სამართლის საქმეთა გამო მართლმსაჯულების სწორად გასატარებლად, კანონიერი განაჩენების დადგენის უზრუნველსაყოფად. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოები ითვალისწინებენ იმას, რომ მათი საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის პრაქტიკის მუდმივი სრულყოფა და განაჩენის დადგენის დროს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის განუხრელი დაცვა.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადება ცხადყოფს, რომ საქმეთა უმრავლესობაზე განაჩენები დადგენილია კანონის ზუსტი შესაბამისობით. გაუმჯობესდა განაჩენების სტაბილობა, შემცირდა შეცდომები მტკიცებათა შეფასების, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს.

ამავე დროს, სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება მოწმობს, რომ ცალკეულ საქმეთა გამო განაჩენების დადგენისას, ზოგიერთი სასამართლო არ იცავს კანონის მოთხოვნას და „სასამართლო განაჩენის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 30 ივნისის № 4 დადგენილების სახელმძღვანელო მითითებებს.

სახალხო სასამართლოები არც თუ იშვიათად არღვევენ განაჩენების შედგენის წესსა და ფორმას. აღწერილობითს ნაწილში ისინი ყოველთვის არ უთითებენ იმ კონკრეტულ მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებს სამართალში მიცემულის ბრალეულობას, არ ასაბუთებს, თუ რატომ დაეყრდნო სასამართლო სწორედ მოცემულ მტკიცებულებებს და უარყო სხვა. ზოგიერთი სასამართლო განაჩენში შეფასებას არ აძლევს სამჯავრო სხდომაზე განხილულ ყველა მტკიცებულებას, არ აღნიშნავს სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ გარემოებებს, შეცდომებს უშვებს სამართალში მიცემულისათვის სასჯელის სახეობის და ზომის განსაზღვრაში.

ცალკეული სასამართლოები არ იცავენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნას სასჯელის დანიშვნის დროს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის, დამნაშავის პიროვნების და მისი პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებათა გათვალისწინების შესახებ. ზოგჯერ განაჩენში არ აღინიშნება დანაშაულის, აგრეთვე დამნაშავის პიროვნების დამახასიათებელი რა კონკრეტული გარემოებანი გაითვალისწინა სასამართლომ სასჯელის ღონისძიების შერჩევის დროს.

ჯერ კიდევ გვხვდება განაჩენებში მითითება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ისეთ გარემოებებზე რომლებსაც კანონი არ ითვალისწინებს, ან ეს გარემოება თვით დანაშაულის შემადგენლობაშია მოცემული, როგორც ქმედობის მაკვალიფიცირებელი ნიშანი.

კვლავ ბევრი განაჩენი უქმდება ან იცვლება იმის გამო, რომ სასამართლოები შეცდომებს უშვებენ დანაშაულებრივი ქმედობის კვალიფიკაციაში, დამატებითი სასჯელების და სასჯელის მოხდის რეჟიმის განსაზღვრისას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის საოლქო სასამართლო და თბილისის საქალაქო სასამართლო, — აღნიშნა დასასრულს მომხსენებელმა, — მაღალ მოთხოვნებს არ უყენებენ ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილი განაჩენების ხარისხს, სისტემატურად არ სწავლობენ განაჩენების გაუქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის და შეცვლის მიზეზებს, ყოველთვის არ ღებულობენ ზომებს კანონის დარღვევების და შეცდომების დროულად გასწორების, მათი თავიდან აცილებისათვის.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის **დ. ლორიას** მოხსენება — „რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მიერ მოქალაქეთა პირადი ქონების ხელყოფის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1974 წლის 29 მარტისა და 1976 წლის 30 სექტემბრის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ".

რესპუბლიკის სახალხო სასამართლოები — თქვა მომხსენებელმა, — ძირითადად სწორად ასრულებენ მოქალაქეთა პირადი ქონების ხელყოფის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმების დადგენილებებს და წარმატებით ახორციელებენ ბრძოლას ძარცვისა და ყაჩაღობის წინააღმდეგ. უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის ვადები და ხარისხი. სასამართლოებს განჩინებებთან ერთად უფრო ხშირად გამოაქვთ კერძო განჩინებები ამ დანაშაულებათა პროფილაქტიკისა და საერთოდ, ცალკეულ სამართალდარღვევათა შესახებ.

მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში კვლავ დიდია ამგვარი დანაშაულის ნასამართლობის დონე.

ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღური თავდასხმა და სხვა ამგვარი დანაშაულობანი ძირითადად მუქთახორა ელემენტებისა და ნასამართლევი პირების მიერ ხდება. ისინი ხშირად დანაშაულში აბამენ არასრულწლოვანებს, მაგრამ სასამართლოები ყოველთვის არ ავლენენ დანაშაულის ჩადენაში არასრულწლოვანთა წამქეზებლებს.

სასამართლოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ქურდების, ძარცვისა და ყაჩაღობის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ შეესაბამება იმ ამოცანებსა და მოთხოვნებს, რომლებიც რესპუბლიკის მართლმსაჯულობის ორგანოების წინაშე დგას, მთლიანად არ არის აღმოფხვრილი სამსჯავრო პროცესზე წინასწარ გამოძიების მასალების ზერელედ განხილვის, მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების ნორმების დარღვევის შემთხვევები, ვსვდებით დანაშაულთა მცდარი კვალიფიკაციის შემთხვევებსაც.

ზოგიერთი სასმართლო დამაკმაყოფილებლად არ ასრულებს კანონის მოთხოვნასა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო მითითებებს სასჯელთა ინდივიდუალიზაციის შესახებ. მოქალაქეთა პირადი ქონების ფარულად გატაცების საქმეთა გამო არის ლმობიერი სასჯელების შეფარდების ფაქტები, სათანადო ყურადღება არ ექცევა ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენას.

ზემდგომი სასამართლო ინსტანციები საკასაციო და ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვისას დროულად არ ასწორებენ ქვემდგომ სასამართლოთა შეცდომებს და ყოველთვის არ ახდენენ რეაგირებას კანონის ამა თუ იმ დარღვევებზე.

მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასმართლოს თავმჯდომარე **მ. არღუნი**, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე **შ. მახარაძე**, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. ფარასტაევი**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასმართლოს სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს წევრი **ო. გამყრელიძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი **ო. ჯიბლაძე**, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი **უ. კობიაშვილი**, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი **ა. შუშანაშვილი**, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. კობახიძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი **თ. გერსამია**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი **მ. უგრეხელიძე**, ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **თ. ყაჭეიშვილი**, ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **ს. მაღლაკელიძე**, ქ. ცხინვალის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **დ. ხუგაევი**, ქ. ბათუმის სახალხო მოსამართლე **თ. ხვედელიძე**.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე პროტესტები სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კონკრეტულ საქმეთა გამო.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ პროკურორი **ა. ბარაბაძე**, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი **ა. შუშანაშვილი**, რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეები და მოსამართლეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ადვოკატთა მერვე კონფერენცია

1979 წლის 26 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ ადვოკატთა მერვე კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. **შუშანაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი **ნ. შაშკინი,** თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე **შ. მახარაძე** და სხვა.

კონფერენციის დელეგატებმა მოისმინეს **მოხსენებები:** 1. საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ანგარიში (მომხსენებელი გ. როინიშვილი). 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხსენებელი დ. ბაღათურია), 3. საფინანსო ანგარიში და 1978 წლის ხარჯთაღრიცხვა (მომხსენებელი გ. მირზელაშვილი).

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავჯდომარემ **გ. როინიშვილმა** ილაპარაკა განვლილი სამი წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის შესახებ და აღნიშნა, რომ დაცვის ინსტიტუტის კონსტიტუციურ რანგში აყვანა მაქსიმალურად ზრდის კოლეგიის თითოეული წევრის პასუხისმგებლობას. ადვოკატთა კოლეგიების ავტორიტეტის ამაღლებისათვის ზრუნვის ნათელი დადასტურებაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება „სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოთხოვნათა შესრულების საქმეში რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ორგანიზატორული საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილების **რეალიზაციის მიზნით უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯი.** საქართველოს ადვოკატთა ისტორიაში პირველად თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ისმენენ „საბჭოთა ადვოკატურის“ კურსს, ფაკულტეტის დეკანატთან ერთად შემუშავებულია ადვოკატთა კოლეგიებში სტუდენტთა საწარმო პრაქტიკის გავლის პროგრამა; განხორციელდა ღონისძიებები იურიდიული კოლეგიებისათვის ნორმალური სამუშაო პირობების შესაქმნელად.

დამნაშავეობასთან და სამართალდარღვევასთან ბრძოლაში თავისი წვლილი შეაქვთ ადვოკატებსაც. 1976 წელს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიებში გაერთიანებულმა ადვოკატებმა იურიდიული დახმარება აღმოუჩინეს 64.382 მოქალაქეს, 1977 წელს — 67.098-ს; 1978 წელს — 71.302-ს, სულ საანგარიშო პერიოდში კი 202. 782 მოქალაქეს; აქედან იურიდიული რჩევა მიეცა 57.777 პირს; მათ შორის უფასო — 53.963-ს, ანუ 90,3 პროცენტს.

ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის იურიდიული მომსახურების მოცულობა, მათ შორის უფასო, იზრდება მაგრამ ერთი ადვოკატის საშუალო თვიური დატვირთვა საერთო-საკავშიროსთან შედარებით მაინც მცირეა.

შემდეგ მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა ადვოკატურის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ჩვენი კორპორაციაც ძირითადად შედგება ღირსეული პირებისაგან, მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდებიან დაბალი პროფესიული დონის ადვოკატებიც. ზოგიერთი მათგანი უბასუხისმგებლოდ ეკიდება წინასწარ გამოძიებაში ბრალდებულთა კანონიერი ინტერესების დაცვას, მიაჩნიათ, რომ სამართალში მიცემულის დარღვეული უფლებები შემდგომ ინსტანციებში გამოსწორდება.

ადვოკატები დიდ მუშაობას ეწევიან სამართალ წარმოების ნორმების დარღვევის აღსაკვეთად. ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როცა გამომძიებელი რთულ საქმეთა გამო ადვოკატს გამოძიების დამთავრების დღეს იწვევს ხოლმე. ადვოკატები საკმაოდ არ მონაწილეობენ სამართალში მიცემის სტადიაში. არ იჩენენ ინიციატივას პროცესის ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე დაცვის განსაზღვრიელებლად. არასახარბიელო მდგომარეობაა ადვოკატთა მონაწილეობის მხრივ სასამართლო ორგანოებშიც. აქ ადვოკატები ძირითადად სწორად წარმართავენ საქმეს, ირჩევენ დაცვის საფუძვლიან პოზიციებს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთი ადვოკატი ისე გადის პროცესზე, რომ საქმეს საფუძვლიანად არ იცნობს და საბოლოო ანგარიშით ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელებას. შემოწმებით დადგენილია, რომ ადვოკატების ნაწილი უმიზეზოდ იგვიანებს პროცესზე, ზოგჯერ კი სულაც არ ცხადდება. ამას წინათ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ იმსჯელა სასამართლოში საქმეთა განხილვის ვადების დაცვის საკითხზე და პრეზიდუმს წინადადება მისცა შეესწავლა, თუ რით არის გამოწვეული საქმეთა განხილვის გაჭიანურება. დამაკმაყოფილებელი არ არის საკასაციო და ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვაში ადვოკატთა მონაწილეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი და ხარისხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საანგარიშო პერიოდში პრეზიდიუმმა ექვსჯერ შეისწავლა ადვოკატების საქმიანობა საკასაციო ინსტანციაში და მიიღო შესაბამისი დადგენილება. არიან ადვოკატები, რომლებსაც საკასაციო ინსტანციაში და ზედამხედველობის წესით არც ერთი საქმე არ უწარმოებიათ, მაგალითად ახმეტის, დმანისის, ბოგდანოვსკის, ვანის, გეგეჭკორის, ყვარლის, ჩხოროწყუს და სხვა იურიდიული კონსულტაციების ადვოკატებს.

გაითვალისწინა რა ეს ნაკლოვანებები, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა განახორციელა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისიძებანი ადვოკატთა მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის გასამტკიცებლად.

საანგარიშო პერიოდში ადვოკატებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საქმეში. რესპუბლიკის ადვოკატთა უმრავლესობა საზოგადოება „ცოდნის" წევრია. ქალაქებისა და რაიონების იურიდიული კონსულტაციების გემგეები ამ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და ამხანაგური სასამართლოთა რაიონულ საბჭოს თავმჯდომარეები ან მოადგილეები არიან. კონსულტაციის გამგეთა და ადვოკატთა დიდი ნაწილი მუშაობს შტატგარეშე ლექტორად. მათ წაკითხული აქვთ 14.222 ლექცია-მოხსენება; ადვოკატები 775-ჯერ გამოვიდნენ ტელევიზიით, რადიოთი, პრესაში; მოაწყეს 2.229 კითხვა-პასუხის საღამო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რესპუბლიკის ადვოკატთა აქტიური მონაწილეობა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვისა და მის დებულებათა პროპაგანდის საქმეში.

ადვოკატთა კოლეგიების საქმიანობაში თვალსაჩინო ადგილი უკავია სახალხო მეურნეობის ობიექტების სამართლებრივ მომსახურებას, რასაც ადვოკატები ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებენ. ასეთი ხელშეკრულება ქალაქებისა და რაიონების იურიდიულ კონსულტაციებს 1976 წელს დადებული ჰქონდათ 361 ორგანიზაციასთან, 1977 წელს 257-თან, ხოლო 1978 წელს — 241-თან. საანგარიშო პეროდში გაიზარდა მომთხოვნელობა ხელშეკრულებით მომუშავე **ადვოკატებისადმი, გაძლიერდა კონტროლი მათი საქმიანობისადმი.**

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი განსაკუ**თრებულ** ყურადღებას აქცევს კადრების სწო**რად** შერჩევა-განაწილებასა და ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდას. ჩვენს **რიგებს** ყოველწლიურად ემატება 10-12 ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლებიც სტაჟირებას გადიან მაღალკვალიფიციურ ადვოკატებთან, რის შემდეგ მათ ვიღებთ ადვოკატთა რიგებში. ადვოკატთა კადრების თეორიული ცოდნის ამაღლებაში თავისი წვლილი შეაქვს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ რესპუბლიკურ კურსებსაც. დიდი ყურადღება ექცევა მუშაობაში წარმოჩენილ ადვოკატთა წახალისებას. ამასთანავე ერთად პრეზიდიუმი მკაცრად სჯის იმ ადვოკატებს, რომლებიც არა მარტო არცხვენენ ჩვენს კორპორაციას, არამედ მართლმსაჯულების წმინდათა წმინდა სახელსაც სცხებენ ჩირქს. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა დებულება რესპუბლიკის ადვოკატთა ატესტაციის შესახებ. მინისტრის ბრძანებით შექმნილია ფართო წარმომადგენლობითი და ავტორიტეტული კომისია. ახლო მომავალში საატესტაციო კომისია შეუდგება მუშაობას. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხელს შეუწყობს ადვოკატთა კადრების ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ ადვოკატთა **კოლეგიის** სარევიზიო კომისიის ანგარიში კონფერენციას ჩააბარა **კომისიის** თავმჯდომარემ **დ. ბალათურიამ.** მან თქვა: **დებულების** შესაბამისად სარევიზიო კომისია ამოწმებდა, სწორად წრმოებდა თუ არა იურიდიული კონსულტაციების დ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის საფინანსო სამეურნეო ოპერაციები, **აკონტროლებდა** მათ მიერ ფულადი სახსრების ხარჯვის, საფინანსო და საშტატო დისციპლინის დაცვის, საჰონორარო პრაქტიკის საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების კანონიერებას.

სარევიზიო კომისია დამოუკიდებლად და პრეზიდიუმის საფინანსო განყოფილებასთან ერთად აწყობდა რევიზიებს, რომლის შედეგები განიხილებოდა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმზე. მიუხედავად ამისა, განხორციელებული ღონისძიებები საკმარისი არ არის. სარევიზიო კომისია არ წარმართავდა მუშაობას სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ბძანებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

დასასრულს დ. ბალათურიამ თქვა, **რომ** ახლად არჩეულმა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის სარევიზიო კომისიის შემადგენლობამ თავის მომავალ მუშაობას საფუძვლად უნდ დაუდოს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის სარევიზიო კომისიის დებულება, რეკომენდაციები და საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ცნობილი დადგენილება.

კონფერენციაზე საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის 1976-1978 წლების საფინანსო ანგარიში და 1979 წლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ მოხსენება გააკეთა პრეზიდიუმის საფინანსო განყოფილების უფროსმა **გ. მირზელაშვილმა.** მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

აფხაზეთის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. შამბა:

მადლობა მინდა მოვახსენო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიას იმ დიდი დახმარებისათვის, რომელსაც გვიწევს.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა არასრულწლოვანთა საქმების რესპუბლიკურმა კომისიამ მოიწონა აფხაზეთის ადვოკატთა კოლეგიის ინიციატივა შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილების ინსპექციებთან ერთად შეფობა გაუწიოს რესპუბლიკის მოზარდებს, იზრუნოს მათი სამართლებრივი აღზრდისათვის.

აჭარის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ფალავა:

აჭარის ადვოკატები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან წარმოება-დაწესებულებებისა და მოქალაქეების იურიდიული მომსახურეობის სფეროში. ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ მთელი ჩვენი კოლექტივი დაირაზმა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. აჭარის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი მომავალში კიდევ უფრო გააუმჯობესებს მუშაობას.

ქ. თბილისის პირველი მაისის ადვოკატთა კოლეგიის ადვოკატი ა. ლომინაძე:

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადვოკატურის როლი უგულებელყოფილი იყო, შერყეული იყო ამ ინსტიტუტის ავტორიტეტი. დღეს მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. თითოეული ადვოკატი მოვალეა დღითი დღე იმაღლებდეს თავის პროფესიულ დონეს, პროცესზე გასვლისას ღრმად იცნობდეს საქმეს.

საავტომობილო ტრანსპორტის ინტენსიურ ზრდასთან ერთად საგრძნობლად იმატა ავტოსაგზაო შემთხვევამ დაღუპულ და დასახიჩრებულ ადამიანთა რიცხვმა. ამ კატეგორიის სიხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ხარისხი მეტად დაბალია. საქმეთა უმრავლესობა ურთულეს კატეგორიას მიეკუთვნება. საქმის განხილვაში მონაწილე ადვოკატს დიდი შრომის გაწევა სჭირდება.

ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი მ. ალხაზიშვილი: სტატიორთა მომზადება დიდმნიშვნელოვანი საკითხია. პირველი ინსტანციის სასამართლოში და სასამართლო კამათში სტატიორის მონაწილეობას შემთხვევითი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს.

კონსულტაციებში წინათ არსებობდა ე.წ. გასაცნობი ორდერი, საქმის განხილვისათვის საჭირო დროის დაზუსტებისა და დაცვის საფუძვლების განსაზღვრის მიზნით. ასეთ ორდენს კონსულტაცია აფორმებდა კლიენტთან ხელშეკრულების დადებამდე. ეს წესი, სამწუხაროდ, გაუქმდა. საჭიროა გასაცნობი ორდერების კვლავ შემოღება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა კრებული ყველა ადვოკატისათვის აუცილებელია ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობისას. მისი ტირაჟი კი იმდენად მცირეა, რომ არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, რათა იურიდიულ კონსულტაციებს დაურიგდეს რამდენიმე კომპლექტი მაინც.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის, მმაჩის ორგანოების სამმართველოს უფროსის მოადგილე **ვ. კოღუაშვილი:**

1974 წლიდან საუკეთესო იურიდიული კონსულტაციების გამოსავლენად იმართება დათვალიერება-კონკურსი. შარშან პირველი ადგილი დაისაკუთრეს ქ. სოხუმისა და ქ. ტყიბულის იურიდიულმა კონსულტაციებმა. საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდათ გორის რაიონის, გაგრის, თბილისის ორჯონიკიძის რაონის იურიდიულ კონსულტაციებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალა ადვოკატებს შეუქმნან მუშაობის ნორმალური პირობები.

იუსტიციის სამინისტრომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გაუგზავნა წერილი, რათა იურიდიულ კონსულტაციებისათვის გამოეყოთ შესაფერისი ფართობი, მგრამ საკითხი სამწუხაროდ, დღემდე გადაუწყვეტელია. კეთილმოწყობილი შენობა კი მოსახლეობის კულტურული მომსახურების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

კამათში მონაწილეობდნენ აგრეთვე ცხინვალის იურიდიული კონსულტაციის გამგე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. გასიევი, ახალქალაქის იურიდიული კონსულტაციის გამგე **ა. ხორშიკიანი**, ადვოკატები **ა. ჯინჭველაძე, შ. რჩეულიშვილი** და სხვა.

კონფერენციამ აირჩია პრეზიდიუმი და მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

იმავე დღეს გაიმართა ახლადარჩეული პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიმის თავმჯდომარედ აირჩიეს **გ. როინიშვილი**, ხოლო პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ **ნ. ბირკაია**.

თათბირი თბილისის საქალაქო სასამართლოში

გაიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მუშაკთა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ქ. თბილისის რაიონების სახალხო სასამართლოთა თავმჯდომარეები, მოსამართლეები, აღმასრულებლები.

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის დადგენილების შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 1978 წელს გაწეული მუშაობის შედეგები და დედაქალაქის სასამართლო ორგანოების ამოცანები საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 37-ე პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე“, — ასეთი იყო მოხსენების თემა, რომლითაც თათბირზე გამოვიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე **შ. მახარაძე**.

თბილისის საქალაქო სასამართლო თავისი არსებობის მხოლოდ სამიოდე წელს ითვლის. მისი შექმნა თითქმის ემთხვევა თბილისის 36-ე საქალაქო პარტიულ კონფერენციას, რომელზეც მკაცრად იყო გაკრიტიკებული სასამართლო ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები.

სასამართლოების და საერთოდ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ ასევე საგანგებოდ ითქვა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმზე, რომელმაც ადმინისტრაციულ ორგანოებს მოსთხოვა შეურიგებლად იბრძოლონ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ჩვენი საზოგადოების წინსვლას.

1978 წელს და განსაკუთრებით ამ წლის მეორე ნახევარში, — თქვა მომხსენებელმა,— დედაქალაქის სასამართლო ორგანოებმა ვაჟლიერეს ბრძოლა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ, მაგრამ მიღწეული შედეგები ჯერ კიდევ არ გვაკმაყოფილებს. დედაქალაქში შექმნილი ოპერატიული მდგომარეობა დამაფიქრებელია. დანაშაულის, მათ შორის ქონებრივი და განსაკუთრებით სამშიში დანაშაულის რაოდენობა, აგრეთვე არასრულწლოვანთა დანაშაული არ მცირდება.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა მოქალაქეთა სამართალში არსწორად მიცემის და უკანონოდ მსჯავრდების შესახებ და აღნიშნა, რომ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების პირობებში ამ საკითხებს საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს.

შემდეგ შ. მახარაძემ თათბირის მონაწილეებს გააცნო სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის შედეგები, აღნიშნა, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა საქმეთა სამსჯავრო გამოძიება, საქმეები იხილება კანონით დაწესებულ ვადებში, დამაკმაყოფილებელია გამოტანილი განაჩენების სტაბილობა.

ამასთან ერთად ჯერ კიდევ იშვიათად **რიდი** ირღვევა **საქმეთა** განხილვის ვადები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლომ 1978 წელში პირველი ინსტანციით სულ დაამთავრა 82 სისხლის სამართლის საქმე 164 პირის მიმართ, აქედან ვადის დარღვევით განხილულია 9 საქმე ანუ 10,9 პროცენტი. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ განსახილველი საქმეები რთულია, სამსჯავრო გამოძიების დროს საჭირო ხდება ფსიქიატრიული და სხვა სახის ექსპერტიზის ჩატარება და სხვა.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეების განხილვა საერთოდ არ ექვემდებარება, მაგრამ ქალაქის სასამართლო ხელმძღვანელობს რა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 10 აპრილის № 15 დადგენილებით „სასამართლოების საქმიანობაში გაჭიანურების ფაქტების აღმოფხვრის შესახებ“, წარმოებაში იღებს განსაკუთრებით რთულ და სახალხო სასამართლოებში გაჭიანურებულ სამოქალაქო საქმეებს. 1978 წელს პირველი ინსტანციით განხილულ იქნა 32 ასეთი სამოქალაქო საქმე.

მომხსენებელი შეეხო საქმეთა უსაფუძვლოდ აცილების საკითხს და თქვა, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ 1978 წლის 12 იანვარს იმსჯელა ამ საკით-

ხებზე და აღნიშნა, რომ გვაქვს საქმეთა უსაფუძვლოდ აცილების ბევრი ფაქტი, რაც ხშირად კანონისა და პროფესიული მოვალეობისადმი უპატივცემულობით არის გამოწვეული. ეს კი იწვევს საქმეთა განხილვის გაჭიანურების.

შესწავლილ იქნა საქმეთა დამატებით გამოძიებაში **დაბრუნების** კანონიერების სასამართლო **პრაქტიკა** და **გამოიკვა**, რომ საქმეთა ვადებში **განხილვას ხელს** უშლის დამატებით გამოძიებაში **საქმეთა** უსაფუძვლო **დაბრუნებაც. 1977 წელს** საქალაქო სასამართლოს **მიერ ხელახალი** განხილვისათვის პირველი **ინსტანციით** დაბრუნებულ იქნა შემოსულ **საქმეთა 11 პროცენტი, 1978** წელს კი — 7,9 **პროცენტი.**

მოშხსენებელმა ყურადღება გაამახვილა **დამნაშავეობის** პროფილაქტიკის საკითხებზე. საქალაქო **სასამართლომ** სპეციალური მსჯელობის **საგნად** აქცია კერძო **განჩინებათა** გამოტანისა და რეალიზაციის, აგრეთვე სამართლებრივი პროპაგანდის და **სახალხო** მსაჯულებთან მუშაობის **საკითხები. ითქვა, რომ** დამაკმაყოფილებლად **ამ** მხრივ გამოიყურება **მხოლოდ** პირველი ინსტანცია, სადაც **განაჩენის** გამოტანით დამთავრებულია 62 **საქმე** და **გამოტანილია 76** კერძო **განჩინება. განაჩენები** ეგზავნება ყველა ორგანიზაციას, **სახალხო** მსაჯულებს იყენებენ იმისათვის, რათა **განაჩენები** გააცნონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, სადაც ჩადენილია დანაშაული ან მსჯავრდებული მუშაობდა. თათბირზე ითქვა, **რომ** ზოგიერთ სასამართლო კოლეგიას იშვიათად ეს სულაც არ გამოაქვს კერძო **განჩინებები.**

მოხსენებაში ფართო ადგილი დაეთმო ავტოსატრანსპორტო შემთხვევების, მოქალაქეთა ქონების ქურდობის, საცხოვრებელი სადგომების გაცვლის, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის, სპეკულაციის და **სხვა** საქმეთა **განხილვისა** და **სასჯელის** შეფარდების სასამართლო პრაქტიკის მდგომარეობას. **აღინიშნა** ისიც, **რომ** საქალაქო სასამართლოს **გვგმით** გათვალისწინებული აქვს შეისწავლოს ნარკომანიის, არასრულწლოვანთა დანაშაულის, **მაწანწალობისა** და ზოგიერთი სხვა კატეგორიის, აგრეთვე **უნებართვო** მშენებ**ლობის**, მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე **აღდგენის** და სხვა სასამართლო **პრაქტიკა.**

მოხსენების დასასრულს **შ. მახარაძემ** თქვა, **რომ** თბილისის საქალაქო სასამართლოს ყველა მუშაკს **კარგად** აქვს **შეგნებული**, თუ **რა** დიდი ამოცანები **დაუსახეს** მათ **პარტიამ** და **მთავრობამ.** ისინი **მთელ** თავიანთ **ძალღონესა** და **შესაძლებლობებს** მოიხმარენ, **რათა** წარმატებით **შეასრულონ** ეს ამოცანები.

საინტერესო **საკითხები** წამოჭრეს **თავიანთ** გამოსვლებში **საქართველოს** სსრ **იუსტიციის** მინისტრის **მოადგილემ ა. აბესაძემ**, **თბილის** საქალაქო **სასამართლოს** თავმჯდომარის **მოადგილეებმა ლ. ჩორგოლაშვილმა**, **ა. კობახიძემ. თბილისის** პროკურორის **მოადგილემ ს. ნანიტაშვილმა**, **ბირველი** მაისის **რაიონის** სახალხო **სასამართლოს** თავმჯდომარემ **ვ. შადურმა**, **თბილისის** საქალაქო **სასამართლოს** წევრმა **გ. ბახტურიძემ**, 26 **კომისრის** **რაიონის** **სახალხო** **სასამართლოს** **მოსამართლემ** **ნ. ანდღულაძემ**, **ორჯონიკიძის** **რაიონის** **სახალხო** **სასამართლოს** **თავმჯდომარემ** **ფ. კვაჭაძემ**, **ლენინის** **რაიონის** **სახალხო** **მოსამართლემ** **მ. დათეშიძემ.**

თათბირის **მუშაობაში** **მონაწილეობდნენ** **საქართველოს** **კომუნისტური** **პარტიის** **თბილისის** **კომიტეტის** **იდმინისტრაციული** **ორგანოების** **განყოფილების** **გამგე** **თ. ტურაბელიძე**, **საქართველოს** **კომუნისტური** **პარტიის** **ცენტრალური** **კომიტეტის** **იდმინისტრაციული** **ორგანოების** **განყოფილების** **ინსტრუქტორი** **ნ. შაშკინი**, **ქ. თბილისის** **პროკურორი** **ვ. რაზმაძე.**

სრულიად საკავშირო კოლოკვიუმი

შავი ზღვის სანაპიროზე, ბიჭვინთაში, 28-31 მაისს გაიმართა სრულიად საკავშირო კოლოკვიუმი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებს. იგი მოეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ინიციატივით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტთან ერთად. კოლოკვიუმში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგის, ვლადივასტოკის, ომსკის, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წამყვანი მეცნიერები, აგრეთვე ქართველი სწავლული იურისტები.

პლენარული სხდომა, რომელზეც რამდენიმე მოხსენება მოისმინეს, გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის მოდაგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თ. შავგულიძემ.

კოლოკვიუმის მუშაობა შემდგომ გაგრძელდა სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის (ხელმძღვანელი — რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი რ. ხალფინა), სამოქალაქო და შრომის სამართლის (ხელმძღვანელი — რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ო. იოფე) და სისხლის სამართლის (ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი თ. წერეთელი) სექციებში.

კოლოკვიუმზე განიხილეს საბჭოთა კანონმდებლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საკითხი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ახალი კონსტიტუციების მიღებასთან დაკავშირებით. კოლოკვიუმის მონაწილეებმა კონსტიტუციის დებულების შესაბამისად წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი საბჭოთა კანონმდებლობის სხვადასხვა დარგის სრულყოფისათვის.

კოლოკვიუმის ყურადღების ცენტრში იდგა კანონთა კორპუსის შედგენის და საზოგადოდ კანონმდებლობის სრულყოფის აქტუალური საკითხები. წარმოდგენილი იყო მოხსენებები საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოს ამოცანებისა და ფუნქციების, განვითარებული სოციალიზმის პირობებში სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფის, საკანონმდებლო სფეროში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპეტენციების გამიჯვნის კონსტიტუციური საფუძვლების შესახებ, აგრეთვე ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის კონსტიტუციური პრინციპების, რეფერენდუმისა და განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში მისი სამართლებრივი რეგულირების თაობაზე, იურიდიული მეცნიერების როლზე კანონმდებლობის სრულყოფის საქმეში.

ინტერესი გამოიწვია გამოსვლებმა, რომლებიც შეეხებოდა მოქალაქეების მიერ სასამართლოში ადმინისტრაციული აქტების გასაჩივრების წესს, სასამართლოსადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის, პიროვნებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხებს, იმ კანონმდებლობის სრულყოფას, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას გაყიდული საქონლის ხარისხის გამო, აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრების სამართლებრივ რეგულირებას და სხვა.

ყველაზე მეტი მოხსენება მოსმენილი იქნა სისხლის სამართლის სექციაში. ცხარე კამათი გაიმართა იმ მოხსენების ირგვლივ, რომლის თემა იყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები და დანაშაულის ცნების საკანონმდებლო განსაზღვრება. ყურადღება მიიპყრო ერთიანი დანაშულისა და დანაშულთა სიმრავლის, გარემოს სისხლისსამართლებრივი დაცვის, ბრალის პრინციპისა და თანამონაწილეობის საკანონმდებლო კონსტრუქციის, სისხლის სამართლის კოდექსებში იძულების ზოგადი შედგენილობის შეტანის მიზანშეწონილობის, ხანდაზმულობის ინსტიტუტის საკანონმდებლო დადგენილების გაუმჯობესებისა და სხვა საკითხებმა.

კოლოკვიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილემ ზ. ხაზალიამ. საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანმა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ი. არგუნმა და სხვ.

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კოლოკვიუმის მასალები გამოქვეყნდეს კრებულის სახით, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს სწავლულ და პრაქტიკოს იურისტთა ფართო წრისათვის.

კოლოკვიუმის მონაწილეებმა დაათვალიერეს ათონის გამოქვაბული, იყვნენ რიწის ტბაზე.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია არასრულწლოვანთა აღზრდის საკითხებზე

არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებასა და მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს მიეძღვნა სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც ძერჟინსკის სახელობის კლუბში ჩატარდა. იგი მოეწყო საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, ქ. თბილისის პროკურატურის, საქალაქო სასამართლოს, სახალხო დეპუტატთა თბილისის საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა და განათლების სამმართველოების და საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციის ინიციატივითა და მონაწილეობით. კონფერენციაზე მოწვეულ იყვნენ ქ. თბილისის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების დირექტორები და პედაგოგები, რომელთაც უშუალოდ უხდებათ მუშაობა არასრულწლოვანებთან.

სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ **თ. ტურაბელიძემ.**

საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ კონფერენციის მონაწილეთა წინაშე ქ. თბილისის პროკურორი **ვ. რაზმაძე**, დედაქალაქის პროფესორ-ტექნიკური განათლებისა და სახალხო განათლების სამმართველოების უფროსები **რ. მერკვილაძე და ლ. ჩიქვანია**, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე **შ. მახარაძე**, **იურიდიულ მეცნიერებათა** დოქტორი, **პროფესორი ნ. წერეთელი**, **კალინინის** რაიონის **პროკურორის** მოადგილე **ა. ჭანია**, **მე-15** საშუალო სკოლისა და **მე-5** **პროფესიულ-ტექნიკური** სასწავლებლის **დირექტორები ა. მათითაშვილი** და **ო. შავლაყაძე.**

კონფერენციის მონაწილეებმა იმსჯელეს არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე, არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების გზებსა და საშუალებებზე, აღნიშნეს, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი, უპასუხეს პედაგოგთა შეკითხვებზე.

კონფერენციას ესწრებოდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი **კ. კეთილაძე.**

იურისტების თანამშრომლობა არქიტექტორებთან

გაიმართა საქართველოს სსრ სახმშენის აქტივის კრება, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **გ. კოლბინი**, სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბოროვი**. მოხსენება— „საქართველოს ქალაქებისა და რაიონების დაპროექტების საქმის შესახებ“ გააკეთა თავმჯდომარემ **გ. მირიანაშვილმა.**

საქართველოს სახმშენის პასუხისმგებელმა მუშაკებმა აქტივის კრების მეორე დღეს მუშაობა განაგრძეს თათბირ-სემინარის სახით, რომელზეც მოწვეული იყვნენ იურისტები — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **გ. დევდარიანი** და ადვოკატი **ა. ხოჭოლავა.** აქ **განსაკუთრებული** ყურადღება დაეთმო სამშენებლო-საპროექტო ურთიერთობის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებს. თათბირ-სემინარის მონაწილეებს დაურიგდათ 1955 წლიდან 1978 წლამდე მიღებული მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტები სამოქალაქო მშენებლობის შესახებ, რომელთა რიცხვი 785-ია. სამართლებრივი ნორმების განხილვამ მაღალ დონეზე ჩაიარა. თათბირ-სემინარის მონაწილენი განმარტავდნენ ნორმებს, ასაბუთებდნენ და ადგენდნენ მათი გამოყენების ფარგლებს და სხვა.

ცხოველი ინტერესი გამოიწვია საკითხმა — საკალდებულოა თუ არა სოფლად ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის პროექტები. ა. ხოჭოლავამ აღნიშნა, რომ არც ერთ რაიონში არ არის იმის პირობები, **რომ** სოფლად მშენებლობა ხორციელდებოდეს **პროექტებით**, ვინაიდან ასეთ მშენებლობას **სჭირდება** სტანდარტული ნაკეთობანი, სახლისათვის **დეტალების** სახით დამზადებული **კომუნიკაციები** და სხვა, რის **შესაძლებლობაც** ყოველთვის არ არის. ამასთან სახლის მშენებლობა სოფლად რამდენიმე წელი მიმდინარეობს და ასეთ პირობებში **პროექტით** სახლის მშენებლობის განხორციელების მოთხოვნა და ასეთის დარღვევისათვის სახლის ჩამორთმევა (დანგრევა) მეტისმეტი სიმკაცრის **გამოჩენა** იქნებოდა **კანონმდებლის** მიერ. ამის **გამო** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს **დადგენილება**, **რომ**ლითაც 1974 **წ**ლის 1 **ი**ანვრიდან **სოფ**ლად **აკრძალ**ულია **საცხოვ**რებელი **სახ**ლების **უპ**როექტო **მშ**ენებლობა, **გაგ**ებული **უნ**და **იყ**ოს **ი**მ **თვ**ალსაზრისით, **რომ** **სოფ**ელში **არ**მ**ცხ**ოვ**რ**ებ **პ**ირებს, **ეკ**რძალ**ათ** **უპ**როექტო **სახ**ლის **მშ**ენებლობა, **ხ**ოლ**ო** **სოფ**ლად **მ**ცხ**ოვ**რ**ებ**ლ**ებ**მ**ა **უ**ნ**და** **შ**ეუ**ო**ნ**ხ**ლ**ო**ნ**ს** **ი**გ**ი** **ა**დ**გ**ილ**ობ**რ**ივ **ა**რ**ქ**ი**ტ**ექ**ტ**ორ**ს. **დ**ღ**ეისათვის** **სა**ს**ურ**ვ**ელ**ია **სოფ**ლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებელი სახლის პროექტით მშენებლობას ჰქონდეს სარეკომენდაციო ხასიათი ან სავალდებულო იყოს განსაზღვრული სოფლებისათვის, რომელთა სრული ნუსხა საქართველოს სსრ მთავრობამ უნდა შეადგინოს. ალ. ხუჭოლავა შეეხო სოფლად არმცხოვრებ პირთათვის მიწის ნაკვეთის ოდენობის განსაზღვრის წესს. რსფსრ მიწის კოდექსის 73-ე მუხლისაგან განსხვავებით, საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 82 მუხლში ნათქვამია, რომ „სოფლად მდებარე საცხოვრებელ ნაგებობაზე საკუთრების უფლების გადასვლა არ იწვევს სარგებლობის უფლების გადასვლას საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე **წინანდელი ოდენობით**". აქედან უნდა დავასკვნათ, — თქვა მან, რომ თუ **წინანდელი ოდენობით** არა, რაღაც ოდენობით მაინც გადადის სახლის ახალ მესაკუთრეზე მიწის ნაკვეთი. როგორც ცნობილია, ქალაქად მიწის ნაკვეთის მინიმუმი განსაზღვრულია 300 მ2-ით, ამის გამო იმ პირს, რომელიც სოფლად არ ცხოვრობს, მაგრამ იქ სახლი აქვს, უნდა დარჩეს მიწის ნაკვეთი არა ნაკლებ 300 მ2-ისა. ამიტომ სოფლად მდებარე საცხოვრებელი სახლის გასხვისებისათვის ხელშეკრულების დასადასტურებლად არ უნდა წარმოადგენდეს წინააღმდეგობას კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სოფლის საბჭოს აღმასკომის უარყოფითი პასუხი სახლის გასხვისებაზე, თუ ახალ მესაკუთრეზე მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება უნდა გადავიდეს ზემოაღნიშნული ოდენობით. საკითხის ამგვარად გადაწყვეტა თათბირ-სემინარის მონაწილეებმა სწორად ჩათვალეს.

თათბირ-სემინარზე დიდი ყურადღება დაეთმო თვითნებური მშენებლობის არსის გარკვევას. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. დევდარიანმა განმარტა სასამართლო პრაქტიკის მიხედვით თვითნებური მშენებლობის ცნება და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. თვითნებური ნაგებობის განსაზღვრის საკითხი, თქვა მან, განიხილება როგორც იურიდიული, ისე სამშენებლო ტექნიკის, კერძოდ სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახმშენის მიერ. მოქმედი სამოქალაქო კოდექსის შემოღებამდე მრავალი ნორმატიული აქტი განსაზღვრავდა თვითნებური მშენებლობის ცნებას და აწესრიგებდა ამ ფენომენს, მაგრამ ყველაზე უფრო სრულყოფილად იგი დადგენილია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც თვითნებურ მშენებლობად ითვლება სათანადო ნებართვის ან დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტის გარეშე, ანდა პროექტისაგან არსებითი გადახვევით, ან ძირითადი სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით აგებული საცხოვრებელი სახლი.

სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის თვალსაჩინოების მიუხედავად, განაგრძო გ. დევდარიანმა, დიდი სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო მისი პრაქტიკული გამოყენების დროს. საქმე ის არის, რომ მშენებლობაზე სათანადო ნებართვის უქონლობამ ყოველთვის არ უნდა გამოიწვიოს 107-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, რადგან დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტი და აღმასკომის გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ სრულიად ზედმეტს ხდის ნებართვის წარმოდგენის საჭიროებას. ყოველ შემთხვევაში, მარტოოდენ ნებართვის უქონლობა ვერ გახდება საფუძველი ნაგებობის თვითნებურად აღიარებისათვის. ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის ნებართვის გაცემა საყალდებულოა, თუ მშენებლობა ხორციელდება საბანკო სესხის საშუალებით. ამის გამო ჩვენ არ ვიზიარებთ სასამართლო ორგანოების ზოგ გადაწყვეტილებებს, რომლითაც მშენებლობის პროექტის არსებობის მიუხედავად მშენებლობა უნებართვოდ სცნეს ნებართვის წარმოუდგენლობის გამო.

პროექტისაგან არსებითი გადახვევა ან ძირითადი სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევის გაგება, განაგრძო გ. დევდარიანმა, გადმოცემულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 25 თებერვლის № 5 დადგენილებაში, რომლის მიხედვითაც ასეთ დარღვევად ჩაითვლება სართულიანობის ან გაბარიტების მკვეთრი გაზრდა პროექტთან შედარებით, დასახლებული პუნქტის ქუჩის დაგეგმარების, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის დარღვევა.

დასასრულ გ. დევდარიანმა და ალ. ხუჭოლავამ პასუხი გასცეს მრავალ შეკითხვას.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარემ გ. მირიანაშვილმა, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ მომავალში არქიტექტორებისა და იურისტების ნაყოფიერი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაფართოვდება.

დ. სუხიტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანმანათლებლო-მეთოდიკური სავჭოს სხდომა კიევში

1979 წლის 17-19 მაისს ქ. კიევში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სტუდენტთა და მოსწავლეთა სამართლებრივი სწავლების სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხები: 1. სამართლებრივი აღზრდის როლი სტუდენტებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა ცხოვრების აქტიური პოზიციების ფორმირებაში (მომხსენებელი — საბჭოს თავმჯდომარე პროფ. ვ. ლისოვსკი). 2. ქალაქ კიევის არაიურიდიული უმაღლესი სასაწავლებლების სტუდენტების სამართლებრივი აღზრდის შესახებ (მომხსენებელი — კიევის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგე დოც. ნ. ანდრონოვი). 3. „საბჭოთა სამართლის" სწავლების მეთოდიკა ახალი სასაწავლო პროგრამების მიხედვით (მომხსენებელი — პროფ. ნ. ტეპლოვა). 4. უცხოელი სტუდენტების სამართლებრივი აღზრდა და მათთვის განკუთვნილი „სამართლის საფუძვლების" სასწავლო კურსის შინაარსი და სისტემა (მომხსენებელები — პროფ. ვ. ლისოვსკი და რუსეთის სფსრ სასოფლო-სამეურნეო აკადემიის კათედრის გამგე პროფ. ა. პერგუშინი). 5. სამართლებრივი დისციპლინების სწავლების სპეციფიკა ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტებისათვის (მომხსენებელი — რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფ. ი. კუნიაკი). 6. „საბჭოთა სამართლის" სწავლების პროცესში ტექნიკურ და სხვა საშუალებათა გამოყენება (მომხსენებელი — დონეცკის უნივერსიტეტის „სამართლის საფუძვლების" კათედრის გამგე დოც. მარკოვა).

მოხსენებები საბჭოს ფართო მსჯელობის საგანი გახდა. მიიღეს დადგენილებები და რეკომენდაციები.

საქართველოდან საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდა ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო მოსამართლე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ჟვანია, რომელმაც საბჭოს გააცნო სამართლებრივი აღზრდის და სამართლებრივი განათლების მდგომარეობა საქართველოში, კერძოდ კი ის საქმიანობა, რომელსაც პუშკინის სახელობის პედაგოგიურ და თეატრალურ ინსტიტუტებში ეწევიან.

მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის დონისძიებანი

* * *

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის ახლად შექმნილ თბილისის ფაკულტეტზე დიდი ყურადღება ეთმობა პირადი შემადგენლობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღესთან დაკავშირებით, ფაკულტეტის კოლექტივმა შეხვედრა მოუწყო დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, „მცირე მიწის" ეპოპეის გმირებს: ღვაწლმოსილ ჩეკისტს, ლეგენდარული მე-18 სადესანტო არმიის განსაკუთრებული განყოფილების ყოფილ უფროსს, თადარიგის გენერალ-მაიორს ვ. ზარელუას და ამავე არმიის რიგით მებრძოლს, ც. კუნიკოვის პირველი საზღვაო-სადესანტო ჯგუფის მონაწილეს, ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს, მცხეთის რვაწლიანი სკოლის დირექტორს შ. თათარაშვილს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანმა ზ. ალავიძემ.

ვ. ზარელუა შეკრებილთ ესაუბრა იმ დიდ პარტიულ-პოლიტიკურ და მასობრივ მუშაობაზე, რომელსაც „მცირე მიწის" განთავისუფლებისათვის შეტევის მომზადების პერიოდში მებრძოლთა შორის ეწეოდა მე-18 არმიის პოლიტგანყოფილება ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით. საპატიო სტუმარი საგანგებოდ შეეხო ლ. ი. ბრეჟნევის ისეთ პირად თვისებებს, როგორიც არის გულისხმიერება და ადამიანებისადმი ყურადღება, უბადლო უნარი — საჭიროების შემთხვევაში სწორად გამოენახა ყველაზე უფრო შესაფერისი სიტყვა, მეგობრულად შეხმიანებოდა ჯარისკაცებს. შ. თათარაშვილი დამსწრეთ ესაუბრა მცირემიწელ პეტრე ვერეშაგინთან თავისი ომისდროინდელი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომისშემდგომი მეგობრობის შესახებ. მან უამბო მსმენელებს, რომ 1943 წლის 15 თებერვალს, დაბადების დღეს, როცა მას 23 წელი შეუსრულდა, მორიგ შეტევაზე წასვლის წინ მისმა თანამებრძოლმა პ. ვერეშაგინმა საკუთარი ავტომატის დისკოდან როგორ გამოიღო 23 ვაზნა, აჩუქა მას და მეგობრულად უთხრა: „აი, გავრეკავთ ფაშისტებს, დამთავრდება ომი და შენი დაბადების დღეს მერე უფრო ფართოდ აღვნიშნავთო“. შ. თათარაშვილმა მოიგონა აგრეთვე როგორ გამოიყვანა მძიმედ დაჭრილი პ. ვერეშაგინი ბრძოლის ველიდან და ყველაფერი იღონა მის გადასარჩენად.

შეხვედრის მონაწილეებს მოგონებები გაუზიარეს აგრეთვე დიდი სამამულო ომის მონაწილე ოფიცრებმა, რომლებიც ამჟამად ფაკულტეტზე პედაგოგებად მუშაობენ.

საპატიო სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ წარჩინებული კურსანტები—კომკავშირის კომიტეტის მდივანი ე. ქობალავა, სწავლის ფრიადოსანი ნ. თაფლაძე და სხვები.

სტუმრებმა ინტერესით დაათვალიერეს ფაკულტეტის სასწავლო-მატერიალური ბაზა. მათ ახალგაზრდა ჩეკისტთა აღზრდის გაუმჯობესების პერსპექტივებზე ესაუბრა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსის მოადგილე, თბილისის ფაკულტეტის უფროსი, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორი გ. სოგორაშვილი.

---

* * *

ყამირი მიწების ათვისების 25-ე წლისთავთან დაკავშირებით, ფაკულტეტის კოლექტივმა შეხვედრა მოუწყო ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების აქტიურ მონაწილეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-ყამირელთა რაზმის ყოფილ ხელმძღვანელს, საბჭოთა კავშირის გმირს დოდავით ჯაბიძეს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანმა ზ. ალავიძემ.

საპატიო სტუმარი შეკრებილთ ესაუბრა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების სახელოვან ეპოპეაზე, მსმენელებს საინტერესოდ უამბო, თუ რა სიძნელეების გადალახვა უხდებოდათ ყაზახეთის ტრამალებში პირველ ყამირელებს, ილაპარაკა ახალგაზრდობის დიდ ენთუზიაზმსა და შემართებაზე, რომელსაც ისინი იჩენდნენ დასახული ამოცანების ღირსეულად შესრულებისათვის.

სტუმარმა შთამბეჭდავად უამბო ახალგაზრდებს, თუ როგორ გასწირეს ხანძრის სტიქიისაგან სახალხო დოვლათის გადარჩენის დროს საკუთარი სიცოცხლე უკრაინელმა ჭაბუკმა დანიელ ნესტერენკომ და უნივერსიტეტის კოლექტივის წარგზავნილმა, ახალგაზრდა დოცენტმა ნოდარ ნოდიამ, თქვა, რომ ყოველდღიურ მშვიდობიან ცხოვრებაშიც არის ადგილი მოქალაქეობრივი გმირობისათვის.

ძვირფას სტუმარს მიესალმნენ წარჩინებული კურსანტი ვ. მხეიძე და სხვები.

---

* * *

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მილიციის სპეციალურმა საშუალო სკოლამ 54 წელი იარსება. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში. სკოლის კურსდამთავრებულები თავის დროზე აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოში კონტრრევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ებრძოდნენ კულაკურ ელემენტებს, იყვნენ სახალხო მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობის მშვიდობიანი მშენებლობის მოწინავეთა რიგებში, ერთგულად იცავდნენ სამშობლოს დიდი სამამულო ომის წლებში.

ომისშემდგომ პერიოდში სკოლის კურსდამთავრებულთა სასახელო საქმეებს ამშვენებს მრავალი თავიდან აცილებული დანაშაული, გატაცებასა და განიავებას გადარჩენილი სახელმწიფო სახსრები და მრავალი სხვა სიკეთე. ამ ბოლო წლებში მათ ასევე ღირსეული წვლილი შეაქვთ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სკოლის კოლექტივის ცხოვრებაში ჭეშმარიტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ვასული, 1978 წელი. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება სკოლის რეორგანიზაციისა და მის ბაზაზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის შექმნის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ იგი ამ ტიპის პირველი უმაღლესი სასწავლებელია ამიერკავკასიაში. ფაკულტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით განზრახულია შეიქმნას სასწავლებლის საბრძოლო და შრომითი დიდების მუზეუმი.

მუზეუმში თვალსაჩინო ადგილი დაეთმობა სკოლის კურსდამთავრებულის გალაქტიონ რაზმაძის კუთხეს, რომელსაც დიდ სამამულო ომში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. აქვე ცენტრალურ ადგილს დაიჭერს აგრეთვე სკოლის იმ აღზრდილთა ცხოვრება, რომლებმაც ჩვეულებრივ მშვიდობიან დღეებში სიცოცხლე შესწირეს დამნაშავეებთან ბრძოლას.

ფაკულტეტის ხელმძღვანელობა, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, სთხოვენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანებს, სკოლის ყოფილ თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს, კურსდამთავრებულებს, მილიციის ორგანოების ყველა პატრიოტს, ყველას, ვისაც მუშაობა უხდება საისტორიო-საარქივო დოკუმენტებსა და მასალებზე, გადმოგვიგზავნონ სკოლის ისტორიასთან დაკავშირებული ყოველგვარი ცნობა, ფოტოდოკუმენტი, საოჯახო რელიკვიები და ა. შ.

ჩვენი მისამართია: თბილისი — 380119, ქერჩის შესახვევი, № 1, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტი.

ბავშვთა საერთაშორისო წელიწადს მიეძღვნა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობამ, პარტბიურომ, პროფკავშირის ადგილკომმა და ქალთა საბჭომ თანამშრომელთა ბავშვებს მოუწყვეს შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა ბავშვის საერთაშორისო წელს.

საზეიმო შეკრება გახსნა უმაღლესი სასამართლოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ჭაბუკიანმა. ბავშვებს მიესალმნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ედიშერაშვილი და უმაღლესი სასამართლოს პარტბიუროს მდივანი ჯ. ყიფიანი.

დიდი მოწონება ხვდა კონცერტს, რომელშიც მონაწილეობდა ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხალხურ საკრავთა ორკესტრი „საუნჯე“.

დასასრულ ბავშვებმა ქართულ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე წაიკითხეს ლექსები სამშობლოზე, დედაზე, მშვიდობაზე, იმღერეს და იმხიარულეს. ბავშვებს დაურიგეს სამახსოვრო საჩუქრები.

ეს შეხვედრა, ალბათ, დიდხანს დაახსომდება მასში მონაწილე ყველა ბავშვს.

დ. ნანობაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომში გაიმართა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი: „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების შემდგომი ამოცანების შესახებ“.

აქტივის კრება შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კობაიძემ.

მოხსენება გააკეთა რაიონის პროკურორმა ტ. მეტრეველმა.

კამათში მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი ჯ. ბაჩიაშვილი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ო. გულიაშვილი, საქართველოს ალკკ თელავის რაიკომის პირველი მდივანი მ. ოთარაშვილი, სამართალდარღვეკათა წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოებრივი საყრდენი პუნქტის საბჭოს თავმჯდომარე ბ. ხუცურაული და სხვები.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ ვ. ჭილაშვილმა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. კავსაძემ.

ბ. ახალმოსულიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ჟვანიას ხსოვნას



ქართველი საზოგადოებრიობა გლოვობს თავის ღირსეულ წევრს, ნიჭითა და ჯანღონით აღსავსე მადლიან შემოქმედს — დღე მოესწრაფა გივი ჟვანიას, ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო ნოღვაწეს.

მისი ცხოვრების გზა აღბეჭდილია ჭეშმარიტი მამულიშვილობით, შემკულია საშურველი მხნეობით, დიდი და მრავალფეროვანი შინაარსით.

გრიგოლ (გივი) ერემიას ძე ჟვანია, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სკკპ წევრი 1945 წლიდან, დაიბადა ქუთაისში 1918 წელს. 1941 წელს მან დაასრულა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და მაშინვე წავიდა სამამულო ომის ფრონტზე, 47-ე არმიის პოლიტსამმართველოს ინსტრუქტორად. 1942 წელს მძიმე ჭრილობის გამო იგი გამოაკლდა მეომართა რიგებს. 1944 წელს გ. ჟვანია გაიგზავნა სასწავლებლად მოსკოვს, უმაღლეს დიპლომატიურ სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგაც, 1946 წელს, მიავლინეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სამუშაოდ. იქიდან დაბრუნებული, იგი შედის მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტურაში საერთაშორისო სამართლის სპეციალობით და სამეცნიერო ხარისხის მოპოვების შემდეგ 1951 წელს ბრუნდება საქართველოში. ამ ხნიდან იწყება მისი ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა, როგორც სწავლული იურისტისა.

თითქმის ოცდაათი წელი გ. ჟვანია კითხულობდა საერთაშორისო სამართლის კურსს თბილისის უნივერსიტეტში; იგი კითხულობდა იქ ლექციებს ზოგ სხვა დისციპლინაშიც. მისი ლექციები იტაცებდა სტუდენტობას ფაქტობრივი მასალის სიუხვითა და ნიშანდობლიობით, მისი განხილვით, მაღალი დემოკრატიული იდეების შესაბამისად, თვითონ ლექტორის ცოცხალი აზრით, მეტყველების კულტურითა და ლაზათით.

როდესაც 1957 წელს ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სამართლის პრობლემების საკვლევაძიებო უჯრედი შეიქმნა, გ. ჟვანია მაშინვე ჩაება მის მუშაობაში, რადგან შეგნებული ჰქონდა ამ უჯრედის ზრდისა და წარმატების მნიშვნელობა ქართული სამართლებრივი აზრის ჯეროვანი განვითარებისათვის. ამასვე უკარნახებდა საკუთარი სამეცნიერო ინტერესები.

გ. ჟვანია თავდადებით, სრული მონდომებითა და მთელი თავისი შეძლებით ეზიარა ახალ საქმეს. იგი ქართული სამართალმცოდნეობითი კერის — აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის პირველი გულშემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკივართაგანი, მისი შენებისა და განმტკიცებისათვის მებრძოლი გახდა. აგერ ოცი წელია, რაც იგი სექტორის მთელი ცხოვრების შუაგულში იდგა, წამოწყება ან ღონისძიება არ ყოფილა, რომ მისი თაოსნობისა თუ არა, მონაწილეობის გარეშე მაინც განხორციელებულიყო. გ. ჟვანიას ღვაწლით სექტორში 1963 წლიდან ჩამოყალიბდა სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილება და იმთავიდანვე შეუცვლელად თვითონვე ხელმძღვანელობდა ამ განყოფილებას.

სექტორის წიაღშივე გაიშალა მთელი სიღრმით გ. ჟვანიას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. აქ ჩამოყალიბდა იგი საბოლოოდ როგორც საკუთარი მიმართულების მქონე ნაყოფიერი მეცნიერი. მისი მონოგრაფია „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი გარანტიები" (1959), რომელშიც მჭიდრო კავშირით არის განხილული თემის პოლიტიკური, სამართლებრივი და ზნეობრივი ასპექტები, ამ საჭირბოროტო და რთული პრობლემის პირველი საგანგებო გამოკვლევაა საბჭოთა საერთაშორისო-სამართლებრივ ლიტერატურაში. ამ ნაშრომითვე სათავე დაედო საერთაშორისო სამართლის საკითხების კვლევას ქართულ საბჭოურ მეცნიერებაში. აღნიშნული პრობლემის აღება დასამუშავებლად კანონზომიერია გ. ჟვანიასათვის. ასევე დამახასიათებელია მისთვის სხვა მისი შრომების თემებიც. მათს განსაზღვრაში აშკარად გამოსჭვივის პროგრესულად და თავისთავად მოაზროვნე, დამჯდარი მეცნიერი, რომელიც გაბედულად ისახავს ახალ პრობლემებს და შემოქმედებითად ეძებს გზებს მათ გადასაჭრელად.

დასახელებულ წიგნში თავმოყრილია დიდძალი მასალა, დაწყებული XVIII ს. პრეცედენტებით (სარწმუნოებრივ უმცირესობებთან დაკავშირებით) და დამთავრებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებითა და შესაბამისი საქმიანობით. დახარისხებული და იურიდიულად განხილული ამ მასალის საფუძველზე გაკრიტიკებულია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის სისტემა, რომელიც ერთა ლიგაში მოქმედებდა, აგრეთვე ბურჟუაზიულ მეცნიერთა ცდები მისი თეორიული დასაბუთებისა; დასასრულ, წარმოდგენილია დასკვნები პრობლემის გადაჭრის საერთაშორისო-სამართლებრივ საშუალებათა თაობაზე.

გ. ჟვანიას შემდგომ მონოგრაფიაში „სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი" (1963) ისტორიულად განხილულია საერთაშორისო სამართლის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ინსტიტუტი და ახლებურად არის გადაწყვეტილი მისი საკვანძო საკითხები. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ ნეიტრალიტეტი შეიძლება განისაზღვროს შიდასახელმწიფოებრივი კონსტიტუციური აქტით, თუ კი იგი სხვა სახელმწიფოებმა იდუმალად მაინც გაიზიარეს ასევე, რომ თავისთავად ნეიტრალიტეტის პოლიტიკა სამართლებრივ სტატუსს ვერა ქმნის, და სხვა.

საერთაშორისო სამართლის წყაროების საკითხს მიეძღვნა გ. ჟვანიას შრომა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი საერთაშორისო სამართლის განვითარებაში" (1974). მასში განხილულია ამ ორგანიზაციის წესდების დებულებები, რომლებიც სამართლებრივ საფუძველს უქმნის მისი ორგანოების, უმთავრესად გენერალური ასამბლეის, ნორმაშემოქმედებითს საქმიანობას საერთაშორისო სამართლის შემდგომი პროგრესული განვითარებისათვის, აგრეთვე მისი კოდიფიკაციისათვის; კერძოდ, ნათელყოფილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული უნიკალური შეთანხმებისა და მის რეზოლუციათა ნაწილის ნორმატიული ხასიათი, მათი მნიშვნელობა საერთაშორისო სამართლის არსებითად ახალი პრინციპების წარმოყენებაში.

გ. ჟვანიას ამ საფუძვლიანმა შრომებმა, მეტადრე პირველმა, ცხოველი გამოხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურება პოვა ჩვენშიც და უცხოეთშიც, ჯეროვანი ადგილი დაიმკვიდრა საერთაშორისო-სამართლებრივ ლიტერატურაში; ისინი მოკლებული არ არიან მნიშვნელობას საერთაშორისო პრაქტიკისთვისაც. ასევე საყურადღებოა გ. ჟვანიას მრავალი წერილი სხვა აქტუალურ საკითხებზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ,რომ მაღალ მეცნიერულ ღირსებასთან ერთად გ. ჟვანიას ნაშრომები სანიმუშოა დახვეწილი ფორმითაც. ამ მხარეს იგი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამიტომ ისინი მიმზიდველი და სახალისო წასაკითხია საერთაშორისო სამართლის სირთულეებში გაუწაფავი მკითხველისთვისაც. უნდა დავძინოთ, რომ გ. ჟვანიას ახასიათებდა შესანიშნავი ენობრივი ალღო, მისი ზეპირი და წერილობითი სიტყვა შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ ნიმუშად კარგი, თანამედროვე ქართულისა, რომელშიც დედაენა ზომიერად შეხამებულია ახალ მოთხოვნილებებთან.

გ. ჟვანია არაერთი ნაშრომის რედაქტორი იყო და მისებურმა გარჯამ მათ საკმაო სიკეთე შემატა. იგი არჩეულ იყო ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" სარედაქციო კოლეგიის წევრად.

სამეცნიერო-კვლევითსა და პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად გ. ჟვანიას წილი ედო დიდი საზოგადოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის სხვა საქმეებშიც.

დაიწყო თუ არა პასუხსაგები და მძიმე შრომა ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის დაზუსტება-დამუშავებისათვის, გ. ჟვანია თავის კოლეგებთან ერთად ჩაუდგა მას კვალში და ბოლომდე არ მოშვებია. მას ნათლად ჰქონდა შეგნებული, რომ ყოველი მეცნიერებისა და, კერძოდ, სამართალმცოდნეობის გასავითარებლად საჭიროა ზუსტი, მეცნიერულად შემუშავებული ტერმინოლოგია, რომ ასეთი ტერმინოლოგია აუცილებელია სახელმწიფო, ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების მართებული და წარმატებული საქმიანობისათვის. გ. ჟვანია სწორედ რომ საგანგებოდ მოწოდებული იყო ტერმინოლოგიური მუშაობისათვის. საფუძვლიანი იურიდიული და ფილოლოგიური მომზადება, ქართულის, რუსულისა და უცხო ენების კარგი ცოდნა შესაძლებლობას აძლევდა გამოეყენებინა მრავალი და სულ სხვადასხვა წყარო სამართლებრივი ცნებების ქართულ შესატყვისთა დასადგენად. 1963 წელს გამოსული „იურიდიული ტერმინოლოგიის" რუსულ-ქართული ნაწილის შემდგენელთა შორის მას საპატიო ადგილი უჭირავს.

1966 წლიდან გაიშალა მუშაობა პირველი ეროვნული ენციკლოპედიის — „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" გამოსაცემად. გ. ჟვანია აღტაცებით შეეგება და გამოეხმაურა ამ დიდ მოვლენას საბჭოთა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი უშუალოდ ჩაება ამ საშვილიშვილო საქმეში. მასთან დაკავშირებული მთელი რიგი მეთოდიკური საკითხების დამუშავებასა და გადაჭრაში, კერძოდ, სამართლის დარგის საენციკლოპედიო სიტყვარის შედგენაში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის. გ. ჟვანია ღრმად ჩაუკვირდა საენციკლოპედიო სტატიების თავისებურებას და სულ მალე დაეუფლა მათი შედგენის ძნელ პრაქტიკას. მან თავი გამოიჩინა როგორც საენციკლოპედიო სტატიების რედაქტორობით, ისე ავტორობითაც. ენციკლოპედიის უკვე გამოსულსა და სასტამბოდ გამზადებულ ტომებში გ. ჟვანიას 120-ზე მეტი სტატია ეკუთვნის საერთაშორისო სამართლის საკითხებზე.

გ. ჟვანია აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ცხოვრებაში. იგი არჩეული იყო საერთაშორისო სამართლის ასოციაციის კოსმოსური სამართლის ინსტიტუტის წევრად; შედიოდა საერთაშორისო სამართლის საბჭოთა ასოციაციის აღმასკომის შემადგენლობაში; არაერთხელ ღირსეულად წარმომადგენლობდა საბჭოთა კავშირის ხაზით საერთაშორისო ფორუმებზე; უშუალოდ და ყოველდღიურად მონაწილეობდა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საქმიანობაში, ხელმძღვანელობდა ამ საზოგადოების იურიდიულ სექციას, როგორც მისი პრეზიდენტი. გ. ჟვანიას აღსასრულმა უწია სწორედ საზოგადოებრივი ვალის მოხდის დროს შორეულ ინდოეთში, კალკუტაში.

გ. ჟვანია თავისი პროფესიით არასდროს შეზღუდულა, იურისტობის, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტობის ჩარჩოებში არ გამოკეტილა. მდიდარი და ნატიფი ბუნება, ნიჭიერება, ფართო განათლება და მწიგნობრობა — ყოველივე ეს განაპირობებდა მის დაუცხრომელ ინტერესს კულტურული ცხოვრების ყველა მხარისადმი, ჩახედულობასა და დახვეწილ გემოვნებას ხელოვნების სხვადასხვა დარგში. რაზედაც უნდა ჩამოვარდნილიყო საუბარი გ. ჟვანიასთან. სპეციალური საკითხი იქნებოდა ეს თუ საერთოდ კულტურული ცხოვრების მოვლენა, იგი აოცებდა ადამიანს იმით, რომ მუდამ გაუზიარებდა საკუთარ შეხედულებას, ყოველთვის შინაგანად მოფიქრებულსა და დასაბუთებულს; კიდევაც რომ არ დასთანხმებოდი, არ შეიძლებოდა ყურად არ გეღო და მის თავისთავადობას არ მოეხიბლე. გ. ჟვანია ჩამწვდარი იყო მხატვრობას, ქანდაკებას, თეატრსა და კინოს, უყვარდა მუსიკა, ღრმად განიცდიდა მას. მაგრამ განსაკუთრებით ახლო იყო მისთვის სიტყვაკაზმული მწერლობა; იგი კარგად იცნობდა მშობლიურ, რუსულსა და მსოფლიო კლასიკურ და ახალ ლიტერატურას, იყო მისი ნამდვილი მკითხველი, მოყვარული და შემფასებელი, და სწორედ ამიტომ ახლო იდგა ჩვენს ლიტერატურულ წრეებთან; წლების მანძილზე მონაწილეობდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას "მუშაობაში, როგორც მისი სარედაქციო კოლეგიის წევრი. გატაცებამ ლიტერატურით წააქეზა გ. ჟვანია ეცადა მთარგმნელობა. ისევე, როგორც ყველაფერი, რასაც იგი ხელს ჰკიდებდა და აკეთებდა, მისი თარგმანებიც, კერძოდ დრამატურგიული ნაწარმოებებისა, ჩინებულად, პროფესიულად არის შესრულებული.

გ. ჟვანიას თვისებად ჰქონდა იშვიათი გულზიარობა. მასთან ურთიერთობა ეხარბებოდა სულ სხვადასხვა ცოდნისა და ხელობის ადამიანებს. იგი მეტად მიმზიდველი იყო არათუ მარტო ფართო ინტერესებით, არამედ სიცოცხლისმოყვარეობით, თითქოსდა ბავშვური უშუალობით, კეთილმოსურნეობითა და გულითადობით. ბევრზედ ბევრთან მას მტკიცე, უანგარო მეგობრობა აკავშირებდა.

მას იზიდავდა ახალგაზრდობა, უყვარდა მასთან ლაღი საუბარი ნაირ-ნაირ საგანზე. მასსა და ყმაწვილებს შორის სულ ადვილად, თავისთავად მყარდებოდა სადა, ამხანაგური დამოკიდებულება, იგი თითქმის დაუკლებელი ხალისიანი მონაწილე იყო მათი სხვადასხვა, საქმიანი თუ მოსალხენი შეკრებებისა. ახალგაზრდობა აღიქვამდე გ. ჟვანიას, ვითარცა მაგალითს იმისას, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე განათლებული ქართველი კაცი, იგი უყვარდათ, მას ბაძავდენ.

ასეთად იცნობდა გ. ჟვანიას ჩვენი იურიდიული საზოგადოებრიობა, მთელი ქართველი ინტელიგენცია.

ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონია, ვინც კი იცნობდა, ძნელად დაივიწყებს ამ განუმეორებელი ადამიანის ნათელ სახეს.

თინათინ წერეთელი, ვლადიმერ მაჟაშვილი, დავით ფურცელაძე, ოთარ კაციტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეკროლოგი

კ. ვ. გვილავა

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 72 წლის ასაკში გარდაიცვალა ღვაწლმოსილი იურისტი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1939 წლიდან კლიმენტი ვლადიმერის ძე გვილავა.

კ. ვ. გვილავა დაიბადა 1907 წელს აბაშის რაიონის სოფ. ძველ აბაშაში გლეხის ოჯახში. 1926 წელს დაამთავრა აბაშის საშუალო სკოლა და 1934 წლამდე მოღვაწეობდა აჭარის ასსრ მასწავლებლად, შვიდწლიანი სკოლის გამგის მოადგილედ. 1934 წელს მას ნიშნავენ ბათუმის რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებლად, შემდგომ წლებში მუშაობს ქ. თბილისის ორჯონიკიძის და აბაშის რაიონებში პროკურატურის გამომძიებლად, 1938-1966 წლებში კ. გვილავა ზემოსვანეთის, ორჯონიკიძის (ხარაგაულის), ხობის, აბაშის რაიონების პროკურორია. 1966 წლიდან 1968 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე, მუშაობდა გეგეჭკორის რაიონის პროკურორის თანაშემწედ. პენსიაზე გასვლის შემდეგ იყო საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი. კ. გვილავამ 1948 წელს დაუსწრებლად დაამთავრა საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალი და მიიღო იურისტის წოდება.

კ. გვილავა გამოირჩეოდა მაღალი პრინციპულობით, მომთხოვნელობით, იყო კეთილი, თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანი.

კ. გვილავა არაერთხელ იყო არჩეული პარტიის ზემო სვანეთის, ორჯონიკიძის, ხობის და აბაშის რაიონული კომიტეტების წევრად და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების დეპუტატად. მისი დამსახურება აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით, მიღებული ჰქონდა მედლები პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, სსრ კავშირის პროკურორის ბრძანებით გამოცხადებული ჰქონდა მადლობები, დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

კ. ვ. გვილავას სახე სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგებისა და ყველა ამათ გულში, ვისთანაც მას უმუშავნია.

ამხანაგების ჯგუფი.

ცნობები ავტორთა შესახებ

შალავანდიშვილი აპოლონ ვლადიმერის ძე — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს განყოფილების უფროსი, მეოთხედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

შვანია გივი იერემიას ძე — იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი, სამოცამდე ნაშრომის, მათ შორის სამი მონოგრაფიისა და ორი მეცნიერულ-პოპულარული გამოცემის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობდა ჩვენს ჟურნალში.

ხეცურიანი ჯოანი გიორგის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, შვიდი ნაშრომის ავტორი, მესამედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» № 3, 1979. (на грузинском языке). Двухме-
ный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокурат
ГССР, Верховного Суда ГССР.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

б 63/121

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲑᲚᲝ 50 ᲐᲡᲐ.

ИНДЕКС 70185